მაია ბლიაძე
მანანა სეხნიაშვილი

# გეოგრაფია 11

## მასწავლებლის წიგნი



სულაკაურის გამომცემლობა

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2023 წელს.

გეოგრაფია 11
მასწავლებლის წიგნი
ავტორები: **მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი**

რედაქტორი **მანანა ნიჟარაძე**
დიზაინერი **ია მახათაძე**
ტექნიკური დიზაინერი **თინათინ ბერბერაშვილი**

პირველი გამოცემა, 2023
© სულაკაურის გამომცემლობა, 2023
ყველა უფლება დაცულია.

შპს „სულაკაურის გამომცემლობა“
მისამართი: დავით აღმაშენებლის 150, თბილისი 0112
ტელ.: 291 09 54, 291 11 65
ელფოსტა: info@sulakauri.ge

ISBN 978-9941-30-434-7

Geography 11
Teacher's Book

© Sulakauri Publishing, 2023
All rights reserved.

Tbilisi, Georgia
www.sulakauri.ge

# შინაარსი


1. შესავალი ........................................ 5
2. საშუალო საფეხურის სტანდარტი ........................................ 8
3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ........................................ 11
4. მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის ........................................ 12
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ........................................ 18
6. თემატური მატრიცები ........................................ 23
7. დამატებითი საკითხავი მასალა ........................................ 74
8. შეფასება ........................................ 88
9. დამატებითი ლიტერატურა და სასარგებლო ინტერნეტრესურსები ........................................ 104

# 1. შესავალი

XI კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს მთავარი საგანმანათლებლო ფუნქცია მოსწავლეებში გეოგრაფიული ცოდნის შეძენა და გამოყენების უნარის ჩამოყალიბებაა.

სახელმძღვანელო სამი ერთეულისგან შედგება: მოსწავლის წიგნი, მასწავლებლის წიგნი და მოსწავლის რვეული.

გეოგრაფიის სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, XI კლასის სახელმძღვანელოს მიზანია, მოსწავლემ შეძლოს:

- გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად;
- ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად;
- მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად;
- მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით, რესურსების რაციონალური გამოყენება და მართვა.

ასევე, სახელმძღვანელო მოსწავლეს დაეხმარება:

- შეიმეცნოს ზოგადგეოგრაფიული კანონზომიერებები, საზოგადოებრივ და ბუნებრივ სისტემებს შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირები;
- სწორად განსაზღვროს თავისი ადგილი ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ სტრუქტურებში სხვადასხვა – ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ დონეებზე.

გეოგრაფიის XI კლასის სახელმძღვანელო მოიცავს 2 თემას:

1. კლიმატის გლობალური ცვლილება;
2. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები.

სახელმძღვანელოს შინაარსი – თემის ფარგლებში წარმოდგენილი საკითხები - სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მისაღწევ შედეგებს.

სახელმძღვანელოში ტექსტურ, საგაკვეთილო ნაწილს ერთვის მრავალფეროვანი კარტოგრაფიული მასალა (თემატური რუკები), ასევე სქემები, ნახაზები, ცხრილები, დიაგრამები, ინფოგრაფიკები და ილუსტრაციები (ფოტოსურათები, აეროფოტოსურათები). სახელმძღვანელოში წარმოდგენილ ყველა თემას ახლავს ჩანართი, რომელშიც, საკითხის შინაარსიდან გამომდინარე, მოცემულია რუბრიკა „მცველი“, ხოლო თითოეული საკითხი მთავრდება რუბრიკით – „ეს საინტერესოა“.

ყოველ განხილულ თემას ახლავს დავალებები, რომელთა უმეტესობა მოსწავლეებისგან მოითხოვს ანალიტიკურ, კრიტიკულ, შემოქმედებით აზროვნებასა და საკუთარი პოზიციის გამოხატვას.

დავალებების ბლოკში ცალკე გამოიყოფა „საქართველო და მსოფლიო“. აქ მოცემული დავალებები, საკითხიდან გამომდინარე, საქართველოს უკავშირდება და მოსწავლეს საშუალებას აძლევს, დაინახოს და განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის ადგილი და პოზიცია მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა საზოგადოებრივ პროცესში.

სახელმძღვანელოში, დავალებების გარდა, წარმოდგენილია რუბრიკები – შემთხვევის ანალიზი, კომპლექსური დავალება, ხოლო მოსწავლის რვეულში მოცემულია თითოეულ საკითხთან დაკავშირებული გეოგრაფიული კვლევა და პრაქტიკული სამუშაო. აქვე განვმარტავთ, რომ რუბრიკებში – „შემთხვევის ანალიზი“ და „გეოგრაფიული კვლევა“ – მოცემული მასალა მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს როგორც კომპლექსური დავალებების დამუშავების ეტაპზე, ისე, სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია მასწავლებელმა გარდაქმნას ისინი კომპლექსურ დავალებად.

XI კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოში წარმოდგენილი დავალებები და რუბრიკები სწავლების კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს ეფუძნება და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, ცნებების დამუშავებასა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე.

ისინი ხელს შეუწყობს მოსწავლეებს, განივითარონ სხვადასხვა სახის რესურსზე მუშაობისა და

ინფორმაციის მოძიების, ორგანიზების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი, გახდნენ ცნობისმოყვარენი, გაუჩნდეთ გეოგრაფიული შეკითხვები და თავად ეძებონ მათზე პასუხები და შეძლონ ცხოვრებისეულ კონტექსტში ცოდნის ტრანსფერი. მოცემული კომპლექსური დავალებები და მასზე მუშაობის ეტაპებზე განსახორციელებელი ნაბიჯები ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის დინამიკურად წარმართვას, ორიენტირებული იქნება ხარისხიანი ცოდნის მიღებასა და არა – მასალის ზედაპირულ დასწავლაზე.

XI კლასის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს ახლავს დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელო – მასწავლებლის წიგნი. მასში მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- თემებისა და შეფასების კრიტერიუმების დამაკავშირებელი ცხრილები;
- თემატური მატრიცები, რომლებშიც დეტალურადაა აღწერილი კომპლექსური დავალებების ნიმუშები საკითხების მიხედვით და მათი განხორციელების ეტაპები;
- სტანდარტის შედეგების მიღწევისა და წიგნის შინაარსის ურთიერთკავშირის რუკა;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების, მათ შორის, სოლო ტაქსონომიის ნიმუშები და შესაბამისი შეფასების რუბრიკები;
- დამატებითი საგანმანათლებლო რესურსები.

მასწავლებლის წიგნი დაეხმარება პედაგოგებს გაკვეთილებზე კომპლექსური დავალებების შესრულების ეტაპების ეფექტიანად დაგეგმვასა და საინტერესოდ წარმართვის პროცესში.

მასწავლებლის წიგნში, ასევე, მოცემულია სწავლების დიფერენცირებული მიდგომის განხორციელებისთვის საჭირო აქტივობები, შეტანილია სხვადასხვა ტიპის რეკომენდაცია.

ვიმედოვნებთ, მოცემული სახელმძღვანელოსა და სამუშაო რვეულის დახმარებით მოსწავლე მიიღებს ცოდნას იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მას მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგება და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში თავიანთი ქვეყნისა და მთლიანად სამყაროს მიმართ ინტერესის გაღვივებასა და გეოგრაფიული აზროვნების, ასევე სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, ხოლო მასწავლებლის წიგნი დაეხმარება გეოგრაფიის პედაგოგებს კომპლექსურ დავალებაზე დაფუძნებული სწავლების წარმატებით განხორციელებაში.

XI კლასის „გეოგრაფიის“ მოსწავლის წიგნი 2 თემისა და 16 საკითხისგან შედგება. სახელმძღვანელოსა და მოსწავლის რვეულში წარმოდგენილია რუბრიკები:

**გაიხსენე**

1. რომელი კატასტროფული ხასიათის ქარებს იცნობ და სად არის გავრცელებული?
2. როგორ აზიანებს გვალვა და სეტყვა მოსახლეობას?
3. რომელია საქართველოს ყველაზე ღვარცოფული მდინარე?

**1.** გაიხსენე – კითხვები ნასწავლი მასალიდან და გაიაქტიურე წინარე ცოდნა

**რისკი**

მოვლენის ალბათობისა და მისი უარყოფითი შედეგების კომბინაცია.

**2.** ლექსიკონი – ახალი ტერმინების, უცხო სიტყვების განმარტება

**დავალება**

1. როგორ ფიქრობ, სტიქიური მოვლენა და ბუნებრივი კატასტროფა ერთი და იგივეა თუ არა? მოიყვანე შენი მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტები.

**3.** დავალებები – რომელთა უმეტესობა სრულდება გაკვეთილზე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, ხოლო ნაწილს მოსწავლეები საშინაო დავალების სახით ასრულებენ.

**! ეს საინტერესოა**

- პირველად, ტერმინი მწვანე ეკონომიკა 1972 წელს სტოკჰოლმში გაერთიანებული ერების კონფერენციაზე გაჟღერდა, ხოლო 1980 წელს გამოქვეყნდა მსოფლიო კონსერვაციის სტრატეგიის ანგარიშში – „რესურსების კონსერვაცია მდგრადი განვითარებისთვის“, რომელიც ერთობლივად განახორციელეს ისეთმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, როგორებიცაა: ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი ( IUCN – International Union for Conservation of Nature), ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF – World Wildlife Fund) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP (United Nations Development Programme).

**4.** ეს საინტერესოა – ამ ნაწილში მოსწავლეები გაეცნობიან დამატებით ცნობებს გაკვეთილში მოცემულ მასალასთან დაკავშირებით.

## საქართველო და მსოფლიო

თანამედროვე მსოფლიოში ყველა სახელმწიფო ცდილობს მოძებნოს საკუთარი ადგილი და ფუნქცია საერთაშორისო ეკონომიკურ გარემოში. შენი აზრით, როგორია საქართველოს ადგილი და ფუნქცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში?

**5.** საქართველო და მსოფლიო – დავალებები, რომლებიც უკავშირდება საქართველოს.

## შემთხვევის ანალიზი 2

**გაეცანი ინფორმაციას და უპასუხე კითხვებს:**

გაეროს უშიშროების საბჭომ და გენერალურმა ასამბლეამ შეიმუშავა ორი რეზოლუცია, რომელიც წყალგამყოფი აღმოჩნდა მშვიდობის საკითხის გააზრების ისტორიაში.

2016 წლამდე მშვიდობის ცნება მოიაზრებოდა, როგორც პოსტკონფლიქტური სიტუაციის/სტადიის თანმდევი პროცესი. თუმცა, გაეროს რეზოლუციების მიხედვით, მდგრადი მშვიდობა განიმარტება, როგორც „მიზანი და პროცესი, რომლის ამოცანაა კონფლიქტის ესკალაციის, განმეორების, გაღვივებისა და განახლების თავიდან აცილება“. ამგვარად, რეზოლუცია გაეროს წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებდა, სამშვიდობო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას კონფლიქტამდე, კონფლიქტის დროსა და კონფლიქტის შემდგომ პერიოდებში.

**კითხვები**

ა. როგორ ფიქრობ, რატომ გახდა საჭირო რეზულიციის შეცვლა 2016 წლის შემდეგ?

ბ. შენი აზრით, თანამედროვე მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, კიდევ ხომ არ არის საჭირო რეზოლუციის მოდიფიცირება?

**6.** შემთხვევის ანალიზი – სიტუაციის გაანალიზება, კითხვებზე პასუხის გაცემა და დასკვნის გამოტანა.

ჩანართი

## მეცნიერები – კლიმატის მცველები




### ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში 1960 წლიდან მიმდინარეობს გლაციოლოგიური კვლევები. შესწავლილია კავკასიონის მრავალი მყინვარი. კავკასიონის მყინვარული ჩამონადენის რუკები შესულია მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში. ინსტიტუტის უახლესი საქმიანობიდნ აღსანიშნავია 2010 წელს ჩატარებული ექსპედიციები მყინვარ ზოფხიტოზე. ინსტიტუტი აგრძელებს საველე და კამერულ კვლევებს საქართველოს თოვლ-მყინვარების მონიტორინგზე. ასევე, მნიშვნელოვანი კვლევები ტარდება საქართველოს კლიმატისა და კლიმატური რესურსების, კლიმატის ცვლილების გამოვლინებისა და ზემოქმედების თაობაზე.

ინსტიტუტის თანამედროვე ნაშრომებს შორის უმნიშვნელოვანესია: „საქართველოს ეროვნული ატლასი“ (2012), „გეოგრაფიული კარტოგრაფიის ტერმინოლოგიური ცნობარი“ (გულიკო ლიპარტელიანი, დავით ლიპარტელიანი, 2012), „საქართველოს რელიეფი“ (რამინ გობეჯიშვილი, 2011), „საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი“ (ზურაბ ტატაშიძე და სხვანი, 2009) და ა.შ.

https://goo.su/7JI7K4

თუ გინდა, მეტი შეიტყო გეოგრაფიის ინტიტუტის შესახებ, ეწვიე ინტერნეტგვერდებს:

16

**7.** ჩანართი – მოსწავლეებს აცნობს განხილულ საკითხთან დაკავშირებულ დარგებსა და პროფესიებს, ორგანიზაციებს, მეცნიერებსა და მკვლევრებს, ცნობილ და უცნობ ადამიანებს, რომლებსაც საკუთარი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა პრობლემის შესწავლისა და გადაწყვეტის პროცესში.

სახელმძღვანელოსა და მოსწავლის რვეულში წარმოდგენილი რუბრიკები გარკვეულ რესურსს წარმოადგენს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს.

# 2. საშუალო საფეხურის სტანდარტი

## შესავალი

საზოგადოებრივი მეცნიერებები საშუალო საფეხურზე გულისხმობს ისტორიის, საზოგადოებრივი გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას. სწავლა-სწავლებისთვის შერჩეულია ისეთი თემები და საკითხები, რომლებიც აქტუალურია თანამედროვე საზოგადოებისთვის და შეიძლება დამუშავდეს სამივე საგნობრივი მიმართულების პერსპექტივიდან.

სტანდარტში შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები.

შინაარსი აღიწერება თემების (ქვეთემების), საკითხებისა და ქვეცნებების სახით. ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს სავალდებულო თემებს. თემების შესაბამის საკითხებს კი სკოლა თავად ირჩევს.

თითოეულ თემას ახლავს შედეგების მიღწევის ინდიკატორები. ისინი განსაზღვრავს, თუ რა უნდა შეფასდეს სწავლა-სწავლების პროცესში. ინდიკატორები დაჯგუფებულია სამიზნე ცნებების მიხედვით.

### საფეხურის შედეგები

საშუალო საფეხურზე სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, რომელიც მიუთითებს საგანს, სწავლების ეტაპსა და სტანდარტის შედეგის ნომერს; მაგალითად, **გეო.საშ.1.**:

**„გეო.“** – მიუთითებს საგანს „გეოგრაფია“;

**„საშ.“** – მიუთითებს საშუალო საფეხურს;

**„არჩ“** – მიუთითებს გაღრმავებულ არჩევით კურსს;

**„1“** – მიუთითებს სტანდარტის შედეგის ნომერს.

| გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე | | |
|---|---|---|
| **შედეგების ინდექსები** | **მოსწავლემ უნდა შეძლოს:** | **სამიზნე ცნებები:** |
| **გეო.საშ. არჩ.1.** | გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად; | **გეოგრაფიული გარსი** (შედეგები 1, 2, 3, 4) |
| **გეო.საშ. არჩ.2.** | ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; | **მოსახლეობა და მეურნეობა** (შედეგები 3, 4) |
| **გეო.საშ. არჩ.3.** | მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად; | **მდგრადი განვითარება** (შედეგები 1, 2, 3, 4) |
| **გეო.საშ. არჩ.4** | მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა. | |

| სასწავლო თემები |
| --- |
| 1. გლობალური დემოგრაფიული გამოწვევები და ცვლილებები |
| 2. რესურსების გამოყენებისა და მართვის გლობალური გამოწვევები და ცვლილებები |
| 3. კლიმატის გლობალური ცვლილება |
| 4. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები |
| 5. განვითარებული და განვითარებადი სამყარო |
| 6. გლობალური თანამშრომლობა და კავშირები |

სწავლა-სწავლების პროცესში სკოლამ უნდა დაიცვას თემების ზემოთ შემოთავაზებული თანმიმდევრობა.

**სავალდებულო თემებისა და შეფასების ინდიკატორების დამაკავშირებელი ცხრილები:**

თითოეულ ცხრილში მოცემულია თემის დასახელება, მისი აღწერა და შეფასების ინდიკატორები, რომლებშიც ნაჩვენებია, თუ როგორ რეალიზდება შედეგები კონკრეტულ თემაში.

**XI კლასი**

| თემა: კლიმატის გლობალური ცვლილება |
| --- |
| თემა გულისხმობს მოსახლეობისა და მისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად გამოწვეული კლიმატის ცვლილების შედეგების შესწავლას გლობალურ დონეზე. მათი დამანგრეველი და ზიანის მომტანი საფრთხეების შერბილებას, მიტიგაციასა და პრევენციას. |
| **სარეკომენდაციო საკითხები:**<br>1. მყინვარების დნობა;<br>2. ჰიდროლოგიურ-მეტეოროლოგიური ბუნებრივი საფრთხეები;<br>3. ლტოლვილები, დევნილები;<br>4. ენერგიის ალტერნატიული წყაროები (მწვანე ენერგეტიკა);<br>5. „მწვანე“ ეკონომიკა;<br>6. ჰაერის დაბინძურება;<br>7. მტკნარი წყლის პრობლემა;<br>8. ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიტიგაცია და პრევენცია. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:**<br><br>**გეოგრაფიული გარსი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების (მთლიანობა, რიტმულობა) დასადგენად და მათი დაკავშირება კლიმატის გლობალურ ცვლილებებთან (მყინვარების დნობა, ჰიდროლოგიურ-მეტეოროლოგიური ბუნებრივი საფრთხეები).<br>**მოსახლეობა და მეურნეობა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და მათი სამეურნეო საქმიანობის (ლტოლვილები, დევნილები, ენერგიის ალტერნატიული წყაროები, „მწვანე“ ეკონომიკა) დაკავშირება კლიმატის გლობალურ ცვლილებასთან.<br>**მდგრადი განვითარება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• რესურსების რაციონალურად მოხმარება და მართვა მომავალი თაობების კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (ჰაერის დაბინძურება, მტკნარი წყლის პრობლემა, ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები-მიტიგაცია და პრევენცია). |

| თემა: გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები |
|---|
| თემა გულისხმობს პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების მიზეზებისა და შედეგების შესწავლას. კერძოდ, იმის გაანალიზებას, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი გარემო ქვეყნის კონფიგურაციაზე, მათი საზღვრის ტიპებზე, გლობალურ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ მახასიათებლებსა და განვითარებაზე. როგორ უნდა ვმართოთ ეს პროცესები სათანადოდ, რათა თავიდან ავიცილოთ გართულებები და მოსალოდნელი საფრთხეები. |
| **სარეკომენდაციო საკითხები:**<br>1. ქვეყნების კონფიგურაცია, საზღვრის ტიპები;<br>2. ქვეყნების დაჯგუფება - ჩრდილოეთი და სამხრეთი;<br>3. პოლიტიკური და კულტურული გლობალიზაცია;<br>4. სოციალური გლობალიზაცია: ჯანდაცვა, განათლება, შიმშილი;<br>5. კონფლიქტები, რესურსული „ომები“, ტერორიზმი;<br>6. უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა. |
| **თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორები სამიზნე ცნებების მიხედვით:**<br><br>**გეოგრაფიული გარსი** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გაანალიზება გეოგრაფიული გარსის ზეგავლენა მსოფლიო ქვეყნების მახასიათებლებსა (მაგ.: ქვეყნების კონფიგურაცია, საზღვრის ტიპები) და გლობალურ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ პროცესებზე (ქვეყნების დაჯგუფება - ჩრდილოეთი და სამხრეთი, პოლიტიკური და კულტურული გლობალიზაცია).<br>**მოსახლეობა და მეურნეობა** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• პოლიტიკურ პროცესებსა და მოსახლეობის ძირითად სოციალურ მახასიათებლებს (ჯანდაცვა, განათლება, შიმშილი) შორის ურთიერთზეგავლენის გაანალიზება.<br>**მდგრადი განვითარება** – მოსწავლემ უნდა შეძლოს:<br>• გლობალურ პოლიტიკურ პროცესებზე (კონფლიქტები, რესურსული „ომები“, ტერორიზმი, უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა) მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით მსჯელობა. |

# 3. სახელმძღვანელოს შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან

| თემებისა და საკითხების დასახელება | გეოგრაფიის სტანდარტის შედეგები საშუალო საფეხურზე | | | |
|---|---|---|---|---|
| | გეო.საშ.1. გეოგრაფიული გარსის მთლიანობის აღქმა და მისი გეოსფეროების (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო, ნოოსფერო, დედამიწის შინაგანი აგებულება) ურთიერთდამოკიდებულების გაანალიზება გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების დასადგენად; | გეო.საშ.2. ბუნებრივი პირობების გავლენის გაანალიზება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობასა და ცხოვრების წესზე განვითარების ზოგადი სივრცითი კანონზომიერებების დასადგენად; | გეო.საშ.3. მოსახლეობის ძირითადი მახასიათებლებისა და დინამიკის გაანალიზება ბუნებრივ და საზოგადოებრივ სისტემებზე მათი გავლენის დასადგენად; | გეო.საშ.4 მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით რესურსების რაციონალური მოხმარება და მართვა. |
| | 1 | 2 | 3 | 4 |
| **თემა 1. კლიმატის ცვლილება** | | | | |
| 1. მყინვარების დნობა; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 2. ჰიდროლოგიურ-მეტეოროლოგიური ბუნებრივი საფრთხეები; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 3. ბუნებრივი საფრთხეების საადაპტაციო ღონისძიებები – მიტიგაცია და პრევენცია; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 4. ლტოლვილები, დევნილები; | | ■ | ■ | |
| 5. მწვანე ეკონომიკა; | | ■ | ■ | ■ |
| 6. მწვანე ენერგეტიკა; | | | ■ | ■ |
| 7. მტკნარი წყლის პრობლემა; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 8. ჰაერის დაბინძურება. | ■ | ■ | | ■ |
| **თემა 2. გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები** | | | | |
| 9. ქვეყნების კონფიგურაცია, საზღვრების ტიპები; | | ■ | ■ | ■ |
| 10. ქვეყნების დაჯგუფება - ჩრდილოეთი -სამხრეთი; | ■ | | | |
| 11. გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 12. პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაცია; | | ■ | ■ | ■ |
| 13. კულტურული გლობალიზაცია; | | ■ | | ■ |
| 14. ჯანდაცვა, განათლება, შიმშილი; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 15. კონფლიქტები, რესურსული ომები, ტერორიზმი; | ■ | ■ | ■ | ■ |
| 16. უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა. | | | | ■ |

**სამიზნე ცნებები და ცნების მკვიდრი წარმოდგენები:**

**გეოგრაფიული გარსი (შედეგები 1, 2, 3, 4)**
- გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისაგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც ახასიათებს ბევრი კანონზომიერება;
- ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.

**მოსახლეობა და მეურნეობა (შედეგები 3, 4)**
- ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს.
- მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში.
- სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.

**მდგრადი განვითარება (შედეგები 1,2,3,4)**
- ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;
- მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის.

# 4. მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის

## რა არის და როგორ შევქმნათ ლეპბუკი?

ინფორმაციის გადმოცემისა და ორგანიზების ძალიან ორიგინალური და ინოვაციური საშუალებაა, ამავე დროს, ლამაზიცაა და სასარგებლოც. მისი პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდება როგორც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, ასევე მშობლებს შორისაც. წიგნების მაღაზიებში სხვადასხვა სახის ლეპბუკის შეძენა უკვე შესაძლებელია, თუმცა მისი შექმნა მოსწავლეს საკუთარი ხელითაც შეუძლია.

ლეპბუკის იდეის ავტორად ამერიკელი ტემი დიუბი ითვლება. მან არც თუ ისე დიდი ზომის საქაღალდეზე პატარა ჯიბეები დაამაგრა, თითოეულ „ჯიბეს“ სახელი დაარქვა და მათში ის სურათები, ლექსები, პატარა კომიქსები და სხვა რესურსები თუ ინფორმაციის წყაროები შეინახა, რომლებითაც თავის შვილებთან სარგებლობდა, ანუ „ჯიბეებიანი“ საქაღალდე დახარისხებული ინფორმაციის შესანახად გამოიყენა.

ლეპბუკი სასწავლო პროცესში ინოვაციურ ტექნოლოგიად მიიჩნევა, რომელსაც ძალიან ბევრი ღირსება აქვს. ლეპბუკი – როგორც მას ხშირად უწოდებენ ინტერაქტიური თემატური საქაღალდე – ხელნაკეთი ქაღალდის ჯიბეებიანი, ფანჯრებიანი, კარებიანი, სხვადასხვა მოძრავი დეტალით შექმნილი წიგნია. ბავშვს მისი გამოყენებისას შეუძლია ამ განყოფილებებში ჩალაგებული ინფორმაციის ამოღება, გადატანა, თავისი შეხედულებისამებრ გადალაგება და ჩალაგება. ლეპბუკში თავმოყრილია მასალა ერთი რომელიმე კონკრეტული თემის შესახებ. ამასთან, ლეპბუკი ესაა მოსწავლის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის დასკვნითი ეტაპი, რომელიც მან მოცემული საკითხის/თემის შესწავლისა და კვლევის ფარგლებში გაიარა. ამ საქაღალდის შესავსებად მოსწავლემ სხვადასხვა დავალება უნდა შეასრულოს, აწარმოოს დაკვირვება, ჩაატაროს ცდა, სხვადასხვა წყაროდან დეტალურად შეისწავლოს საკითხი, აღრიცხოს დაკვირვების შედეგები, დაახარისხოს ინფორმაცია და სხვა.

ლეპბუკის შექმნა მოსწავლეს შესასწავლი საკითხის შესახებ ინფორმაციის მოძიებაში, სისტემატიზაციაში დაეხმარება. შემდგომში კი, ამ საქაღალდეების გადახედვისას, იგი ადვილად გაიხსენებს გავლილ საკითხს/თემას და მარტივად მოიძიებს მისთვის საჭირო და მნიშვნელოვან კონკრეტულ მასალას.

სიტყვა ლეპბუკი (lapbook) ინგლისურიდან ითარგმნება, როგორც „დასაკეცი წიგნი“, „მუხლების წიგნი“ – ორივე ვარიანტი მისაღებია, რადგან ლეპბუკი დიდი ზომის არაა. იგი დაკეცილი A4 ფორმატის ზომისაა და გამოყენებისას მოსწავლისთვის მოსახერხებელია მისი კალთაში ჩადება. გარდა ამისა, ეს საოცარი წიგნები სავსეა საიდუმლოებებითა და გამოცანებით. ისინი იშლება და აქვს მრავალი ჯიბე, ჩანართი, ბლოკნოტი, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს თემატურ ინფორმაციას, რაც ძალიან მოსწონთ და იზიდავთ პატარა გამომძიებლებსა და საიდუმლოებების მოყვარულთ.

**ლეპბუკის ნიმუშები**









**ლეპბუკს ორი მკვეთრად გამოხატული უპირატესობა აქვს:**

- ინტერაქტიულობა – მოსწავლე არა მხოლოდ ათვალიერებს მას, არამედ ურთიერთობს კიდეც საქაღალდესთან. ბავშვის ეფექტიანი მონაწილეობა მნიშვნელოვნად ზრდის მის ინტერესს ამ დამხმარე სასწავლო რესურსის მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ასეთი დამოკიდებულება კინესთეტიკური სწავლის სტილის მქონე მოსწავლეებისთვის, რადგან ყველასთვის ცნობილია, თუ რაოდენ დიდი როლი აკისრია თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესში როგორც ვიზუალური რესურსების (ილუსტრაციების, ვიდეოების, სლაიდებისა და სხვა მასალის დემონსტრირებას), ასევე მუსიკისა და აუდიოჩანაწერების გამოყენებას.
- თემატურობა – მცირე საქაღალდეში სხვადასხვა თემის შესახებ ინფორმაციის შეგროვება არც თუ ისე მარტივია. დაწყებით საფეხურზე, პირველ და მეორე კლასებში, ბავშვებისთვის რთული იქნება მისი ასიმილაცია და გაგება, ამიტომ ლეპბუკები, ჩვეულებრივ, ერთ რომელიმე კონკრეტულ თემას ეძღვნება, მაგალითად, დაწყებით საფეხურზე ეს შეიძლება იყოს ისეთი თემები, როგორებიცაა: „შემოდგომა“, „ფრინველები“, „ოჯახი“, „სოკოები“, „კოსმოსი“, „ამინდი“, და სხვა. უფრო მაღალ კლასებში (3-6 კლასები), როცა მოსწავლეები თემებს შედარებით სიღრმისეულად სწავლობენ; შესაძლებელია ლეპბუკში უფრო კონკრეტული ქვეტექსტების წარმოჩენა, მაგალითად: „შემოდგომის ნობათი“, „გადამფრენი ფრინველები“, „ოჯახური დღესასწაულები“, „მზის სისტემის პლანეტები“, „ამინდის ცვლილება“ და სხვა.

ასევე, განსხვავებულია ლეპბუკების გამოყენების მიზნებიც. ესაა როგორც პროექტის განხორციელების პროცესში შესწავლილი მასალის განმტკიცება, ასევე ინფორმაციის შეგროვებისა და სისტემატიზირების შესწავლა, შემოქმედებითობისა და კრეატიულობის განვითარება, პროდუქტის მიმართ მზრუნველობითი დამოკიდებულება, ჯგუფური მუშაობისას კომუნიკაციური უნარების განვითარება და სხვისი შრომის პატივისცემა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ლეპბუკების საშუალებით ხდება მოსწავლეებში შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულაცია, მოტივაციის ამაღლება და სწრაფვა ახლის გაგებისა და შემეცნებისკენ.

მოსწავლეებმა ლეპბუკები შეიძლება გამოიყენონ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას, როგორც დამხმარე რესურსი (მაგალითად, ლეპბუკის თითოეულ უჯრაში შეინახონ ერთი რომელიმე შეფასების ინდიკატორის შესატყვისი მასალა), ან შექმნან კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის სახით. ლეპბუკები დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს გასართობი (სათამაშო), სასწავლო, მისალოცი, ბიოგრაფიული და სხვა.

გასართობი (სათამაშო) ლეპბუკი გამიზნულია ჯგუფური ან დამოუკიდებელი თამაშისთვის, ამიტომ ყურადღება, ძირითადად, უნდა გამახვილდეს გართობასა და ინფორმაციის ადვილად აღქმაზე. ამ ტიპის ლეპბუკში მოძრავი სათამაშო ელემენტების (ფანჯრები, წრეები, გასაწევი ჯიბეები) გარდა, შესაძლებელია დავამატოთ ბარათები ისეთი ლოგიკური თამაშებისთვის, როგორებიცაა „გამოიცანი ვინ ვარ?“, „რა ჩავიფიქრე“ და სხვა.

სასწავლო ლეპბუკი არაჩვეულებრივი საშუალებაა ორგანიზებული სასწავლო საქმიანობისა და ინდივიდუალური მუშაობისთვის. ამ ტიპის ლეპბუკში შეიძლება მოთავსდეს არა მხოლოდ

სასწავლო თამაშები, ინფორმაციული ბარათები, ანდაზები, სტატისტიკური მასალები, თემატური ფოტოები და რუკები, არამედ, ასევე, სხვა საინტერესო ფაქტები და კითხვებიც.

**გეოგრაფიული შინაარსის ლეპბუკები**

ამრიგად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლეპბუკი წარმოადგენს თემატურ ინტერაქტიულ საქაღალდეს (წიგნს), რომელიც სისტემატიზებულ და მრავალფეროვან ინფორმაციას მოიცავს.







## RAFT მეთოდი

RAFT მეთოდი მიზნად ისახავს გარკვეული თემის შესახებ წერილობითი ტექსტების შექმნას. შემოქმედებითი პროდუქტი შეიძლება განსხვავდებოდეს ჟანრითა და დიზაინით. ეს მეთოდი მოსწავლეებს ასწავლის თემის განხილვას სხვადასხვა კუთხითა და თვალსაზრისით, უვითარებს მათ წერის უნარებს. იგი კრიტიკული აზროვნების სწავლის ერთ-ერთი გზაა და აყალიბებს აზროვნების სისტემას, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს ობიექტებისა და შინაარსის გაანალიზებაში, საკუთარი დასკვნებისა და შეფასების ჩამოყალიბებაში.

RAFT გაშიფრულია შემდეგ ცხრილში:

| R – როლი | A – აუდიტორია | F – ფორმა | T – თემა |
|---|---|---|---|
| როლის განსაზღვრა | ვისთვისაა განკუთვნილი მოცემული ტექსტი | ჟანრისა და თხრობის ფორმის არჩევა | თემისა და ძირითადი იდეების შერჩევა, ტექსტის განსაზღვრა |

RAFT მეთოდის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს თემა. გაკვეთილის დაწყებამდე უნდა მოამზადოთ ცხრილი, შეგიძლიათ, უბრალოდ, დაფაზე დახაზოთ. აღსანიშნავია, რომ ცხრილის განხილვისას გრაფაში მასწავლებელმა უნდა ჩაწეროს ყველა აზრი ისე, რომ ისინი მოსწავლეებისთვის მთელი გაკვეთილის განმავლობაში თვალსაჩინო იყოს, რადგან ეს დაეხმარება მათ გაანალიზებისა და შეფასების თვალსაზრისით.

კრიტიკული აზროვნების სწავლების სტრუქტურისა და მეთოდების თანახმად, RAFT მეთოდის რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა.

**გამოწვევის ეტაპი:** ამ ეტაპზე მთავარი ამოცანაა მოსწავლეების გააქტიურება, მათი მოტივირება. ოპტიმალურია იმ მეთოდების შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად დააინტერესებს

და ჩართავს ყველა მოსწავლეს, მაგალითად, ასოციაციური რუკისა და გონებრივი იერიშის გამოყენება.

ცხრილში 4-5 პოზიცია ფიქსირდება:

მეორე სვეტში იწერება ის ადამიანები, ადამიანების ჯგუფები, ორგანიზაციები, ვისთვისაცაა ეს ტექსტი განკუთვნილი. აუდიტორია თემის შესაბამისად განისაზღვრება: მოსახლეობა, მშობლები, უფროსკლასელები, დაწყებითი კლასების მოსწავლეები, მთავრობისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მეურნეობის დარგის მუშაკები და ასე შემდეგ.

შემდეგ გრაფაში იწერება ის შესაძლო ფორმები, რომლებიც უკავშირდება სოციალურ როლებსა და სავარაუდო მკითხველს. ეს შეიძლება იყოს წერილი, ბუკლეტი, პოსტერი და  სხვა. ბოლო გრაფაში კი ტექსტის ძირითადი იდეები აისახება.

მასწავლებელი შევსებულ ცხრილს კითხულობს. მონაწილეთა შორის ნაწილდება როლები და იწყება ტექსტის წერა. სამუშაო შეიძლება შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. აუცილებელია, რომ მოსწავლეებს ავუხსნათ, რამდენად მნიშვნელოვანია გრძნობებისა და ემოციების გადმოცემა, ამავე დროს, უნდა გაითვალისწინონ პერსონაჟი, ობიექტი, მოვლენა, ანუ „თემის გმირი“ რა პირობებში შეიძლება მოხვდეს. სამუშო შეიძლება იყოს ჯგუფური. უპირატესობა მცირე ჯგუფებს ენიჭება. მოსწავლეები წარადგენენ ნამუშევარს.

**გააზრების ეტაპი** მოიცავს სახელმძღვანელოს ან დამატებითი მასალის გაცნობას. ამ ეტაპზე მოსწავლეები იღებენ ახალ ინფორმაციას, ინიშნავენ შენიშვნებს.

**რეფლექსიის ეტაპი** გააზრებასა და ანალიზს მოიცავს. ამ ეტაპზე მოსწავლეები იღებენ ახალ ინფორმაციას, განიხილავენ და ადარებენ ადრე ცნობილ ფაქტებსა და მათთვის ახალ ინფორმაციას. უკეთესი ეფექტის მისაღწევად რეკომენდებულია მოცემულ თემაზე ვიზუალური მასალის გამოყენება (ფოტოები, სლაიდები, ნახატები). ეს ხელს უწყობს შეძენილი ცოდნის კონსოლიდაციასა და გამოსახულების ფორმირებას დისკუსიის დროს.

ეს სტრატეგია ასევე ხელს უწყობს იმპროვიზაციის, კომუნიკაციის, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, აგრეთვე, პრეზენტაციის მნიშვნელობისა და სპეციფიკის გაგებისა და გააზრების საშუალებას გვაძლევს.

## QAR მეთოდი (Question-Answer-Relationship) შეკითხვა-პასუხი-ურთიერთმიმართება

QAR მეთოდის ავტორი ტეფი რაფაელია – QAR-ის სტრუქტურა მოსწავლეს ეხმარება პრობლემის გაგების, ანალიზისა და შეფასების პროცესში. სხვადასხვა სახის კითხვის დახმარებით, მოსწავლეები იგებენ, რომ სწორი პასუხი შეიძლება მოითხოვდეს არა მარტო ინფორმაციის წაკითხვას, არამედ ანალიზსა და ინტერპრეტაციას. ისინი გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას, აზრს, იშველიებენ გამოცდილებას წაკითხულის ირგვლივ და აფასებენ ფაქტს ან მოვლენას.

კითხვა, რომელიც გრაფიკულ მონაცემებს ან ტექსტს უკავშირდება, მოიცავს კომპლექსურ, მრავალმხრივ პროცესს, რომელიც მოითხოვს კითხვის გააზრებას. განსაზღვრავს, თუ როგორ შეიძლება მისი გაანალიზება და პასუხის ჩამოყალიბება.

კითხვები დაყოფილია 4 ჯგუფად: „პირდაპირ ტექსტში“, „დაფიქრდი და მოძებნე“, „ავტორი და შენ“, „შენ თვითონ“.

QAR – მეთოდი აუმჯობესებს წაკითხულის გააზრების დონეს:

- ასწავლის მოსწავლეს შეკითხვის დასმასა და მასზე პასუხის გაცემის ხერხებს;
- ეხმარება მოსწავლეს, იფიქროს ტექსტზე მისი წაკითხვის შემდეგაც;
- ხელს უწყობს კრიტიკული და შემოქმედებით უნარების განვითარებას, უბიძგებს მკითხველებს უფრო მაღალი, სიღრმისეული აზროვნებისკენ.

ზოგადი ჩარჩო:

| | |
|---|---|
| **სწორედ მანდ ან უშუალოდ ტექსტში**<br>**განმარტება:**<br>კითხვაზე პასუხის გასაცემად ინფორმაცია მკაფიოდაა ასახული გრაფიკულ ორგანიზატორებსა და ტექსტში. ეს პირდაპირი კითხვებია, რომელთა პასუხები შეგიძლიათ იხილოთ ტექსტში. მოსწავლეებს მხოლოდ გრაფიკული გამოსახულების ან ტექსტის წაკითხვა და მიწოდებული ინფორმაციის გამოყენება, სწორი პასუხების პოვნა სჭირდებათ. | **ავტორი და შენ**<br>**განმარტება:**<br>პასუხი პირდაპირ არ არის გრაფიკულ ორგანიზატორებსა და ტექსტში.<br>თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ის ინფორმაცია, რაც უკვე იცით თემის შესახებ. გამოიყენეთ თქვენი ცოდნა და ავტორის ინფორმაცია კითხვაზე პასუხის გასაცემად. პასუხი მოითხოვს არა მარტო ინფორმაციის გამოყენებას, არამედ ინტერპრეტაციას. |
| **იფიქრე და მოძებნე**<br>**განმარტება:**<br>პასუხი გრაფიკებზე და ტექსტშია, თუმცა თქვენ ყურადღება უნდა მიაქციოთ მრავალრიცხოვან მონაცემს, ფაქტორს, უნდა დააკავშიროთ სხვადასხვა გრაფიკული ელემენტი, რათა სწორად უპასუხოთ. თქვენ უნდა დაადგინოთ მიზეზშედეგობრივი კავშირი. იფიქრე და მოძებნე სხვადასხვა ელემენტი.<br>ოლის განსაზღვრა | **შენ თვითონ (დამოუკიდებლად)**<br>**განმარტება:**<br>პასუხი არ არის გრაფიკულ ორგანიზატორებსა და ტექსტში.<br>პასუხი შეგიძლიათ გასცეთ თქვენთვის უკვე ცნობილი თემის შესახებ არსებული ინფორმაციის დახმარებით ან თქვენი გამოცდილების საფუძველზე. გრაფიკები და ტექსტი, როგორც წესი, დაგეხმარებათ, გასცეთ კონკრეტული და ნათელი პასუხი კითხვაზე. |

**უშუალოდ ტექსტში** აზროვნების დაბალი დონის შეკითხვათა ტიპი ექსპლიციტური (ფაქტობრივი) ინფორმაციის მოძიებას ემსახურება, მაღალი დონის შეკითხვათა ტიპები კი იმპლიციტურის (ანუ წვდომასა და გააზრებაზე ორიენტირებული) ინფორმაციის მოძიებას გულისხმობს. იმპლიციტური შეკითხვები ტექსტში მოცემული ინფორმაციის გააზრებას, გმირთა ხასიათების ამოცნობას, პრობლემათა დაფიქსირებას, მისი გადაწყვეტის გზების ძიებას, ნაწარმოების დედააზრის გამოკვეთას, შეფასებასა და სხვა ფაქტორებს უზრუნველყოფს. **იფიქრე და მოძებნე, ავტორი და შენ, შენ თვითონ კი** იმპლიციტური აქტივობებია.

## PRES ფორმულა – ეფექტური სასწავლო პროცესისთვის

PRES-ფორმულა (პოზიცია – მიზეზი ანუ ახსნა – განმარტება ან მაგალითი – შეჯამება) გამოიყენება შესწავლილი მასალის გასაძლიერებლად, ცოდნის სისტემატიზაციის მიზნით, ჯგუფური დისკუსიების ორგანიზებისას.

ეს ინტერაქტიული მეთოდი ეფექტური საშუალებაა სასწავლო მასალის ცოდნის კონტროლისათვის. მისი ავტორი სამხრეთ აფრიკელი სამართლის პროფესორი დევიდ მაკკოიდ-მეისონია.

ამ ფორმულის გამოყენება მოსწავლეებს დაეხმარება ზეპირი გამოსვლის მოწესრიგებაში, რადგან იგი სიტყვის ორგანიზების უმარტივესი გზაა, რომელიც დიდად დაეხმარება ჩვენს მოსწავლეებს გამოსვლებსა და წერის პროცესში.

მისი კომპონენტები საშუალებას გვაძლევს დავშალოთ და დავამუშაოთ საგანმანათლებლო პრობლემა, გავამყაროთ განვლილი თემები. საკონტროლო ტესტის ფორმისგან განსხვავებით, რომელშიც ხშირად ხდება შემთხვევითი, ინტუიციური პასუხების გაცემა, ეს ფორმულა უფრო ნათლად გამოავლენს მოსწავლეებში არსებული ცოდნის ხარვეზებს.

ეს ტექნიკა შეიძლება იყოს შესანიშნავი ინსტრუმენტი დისკუსიის ჩასატარებლად. იგი საშუალებას გვაძლევს, მოკლედ და დასაბუთებულად გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნა, რაც იწვევს მოსწავლეთა დაინტერესებასა და მათ დისკუსიაში ჩართვას.

PRES ფორმულის სტრუქტურა შეიცავს 4 მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც წარმოადგენს ამ აბრევიატურის დაშიფვრას. იგი ტექსტის აგების აუცილებელი ელემენტია.

P – პოზიცია – აუცილებელია, გამოთქვან საკუთარი აზრი მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით. ამისათვის შეიძლება შემდეგი ფორმულირებების გამოყენება: „მჯერა, რომ...“, „ჩემი აზრით, ეს პრობლემა იმსახურებს / არ იმსახურებს ყურადღებას“, „ვეთანხმები...“; „ვფიქრობ, რომ...“);

R – დასაბუთება (არა მარტო ხსნის მის პოზიციას, არამედ ასაბუთებს საკუთარს) – აქ უნდა წარმოადგინონ ყველა შესაძლო არგუმენტი მოსაზრების დასამტკიცებლად. პასუხი უნდა იყოს დასაბუთებული. მასზე უნდა იყოს საუბარი სასწავლო თემიდან, გავლილი ცნებების გამოყენებით. ამ ბლოკში მთავარი კითხვაა, რატომ ფიქრობთ ასე? და ეს ნიშნავს, რომ უნდა დაიწყოს სიტყვებით: „იმიტომ...“; „რადგან...“ ან „მას შემდეგ...“.

E – მაგალითი (მისი პოზიციის არსის ახსნისას იყენებს კონკრეტულ მაგალითებს) – მათი სიტყვების გაგების სიცხადისა და დადასტურებისთვის, აუცილებელია ფაქტების ციტირება. ეს პუნქტი გვიჩვენებს მოსწავლეების უნარს, დაადგინონ თავიანთი პოზიციის სისწორე პრაქტიკაში. შეიძლება გამოიყენონ როგორც საკუთარი გამოცდილება, ასევე სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული ცოდნა ან სოციალური კვლევების შედეგები. მთავარია, რომ იყოს დამაჯერებელი. ამ ეტაპზე იყენებენ ფრაზებს, როგორებიცაა: „მაგალითად...“, „შემიძლია დავამტკიცო ეს მაგალითით...“; „ამის დადასტურებისთვის შემიძლია ვთქვა, რომ...“.

S – შედეგი-რეზიუმე (დასკვნა) – ეს ბლოკი საბოლოოა. იგი შეიცავს დასკვნებს, რომლებიც დაადასტურებს დასახელებულ პოზიციას. მასში წინადადებების დასაწყისი შეიძლება იყოს: „ამ გზით...“, „ასე, რომ...“, „მაშასადამე...“, „ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დავასკვენი რომ...“; „ამის საფუძველზე დავასკვნი, რომ...“).

PRES-ს შეიძლება შევუსაბამოთ კითხვები: რა? (P – პოზიცია), რატომ? (R – დასაბუთება მიზეზი), როგორ? (E – მაგალითი – განმარტება) და What If / რა მოხდება, თუ... (შეჯამება / წინადადება / შედეგი). ამ ტექნიკის ღირებულება ისაა, რომ იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მოკლედ და სრულყოფილად გამოხატონ საკუთარი პოზიცია პრობლემის შესახებ.

# 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში ჩართვა

კლასში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლის შემთხვევაში, მასწავლებლის უმთავრეს ამოცანას საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლის თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა და თითოეულისთვის დასახული მიზნის შესაბამისი ცოდნის გადაცემა წარმოადგენს. პედაგოგმა ეს უნდა შეძლოს მიუხედავად იმისა, რომ ის განსხვავებულ მოსწავლეებთან სხვადასხვა სტრატეგიითა და გეგმით მუშაობს.

მაგალითად, დასაშვებია, რომ მასწავლებლის მიზანი პირველკლასელი მოსწავლეებისთვის იყოს დაფიდან მარტივი წინადადებების გადაწერის უნარის განვითარება; მათი თანაკლასელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის დასახულ მიზანს კი წარმოადგენდეს წერის წინმსწრები ფიგურების ხატვის უნარის განვითარება. დაუშვებელია, რომ მასწავლებელი კლასის მოსწავლეებისთვის გეგმავდეს მიზნის შესაბამის აქტივობას – დაფაზე წერდეს წინადადებებს, მოსწავლეები მას იწერდნენ რვეულში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე კი ამ დროს უქმად იჯდეს და არ იყოს ჩართული რაიმე სახის წერილობით აქტივობაში. სწორი იქნება, თუკი პარალელურად, მასწავლებელი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს გეომეტრიული ფიგურების გაფერადებას ან გადახატვას დაავალებს. მეტიც, მასწავლებელი შეიძლება მის გვერდითაც დარჩეს, სანამ სხვა მოსწავლეები წერენ და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე წაახალისოს დავალების შესრულების პროცესში.

მასწავლებელი უნდა ეცადოს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის შერჩეული აქტივობები არ იყოს გაკვეთილის კონტექსტიდან და საგაკვეთილო თემიდან ამოვარდნილი მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია სხვა მოსწავლეების მიზნებისგან სრულიად განსხვავებულ მიზანს ემსახურებოდეს. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა ყოველი აქტივობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობებისა და დასახული მიზნების გათვალისწინებით განსაზღვროს და არ დაივიწყოს მთავარი პრინციპი – მიუხედავად განსხვავებული მიზნებისა, მან უნდა უზრუნველყოს ყველა თავისი მოსწავლის თანაბარი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესსა და აქტივობებში.

იდეალური იქნება თუ მასწავლებელი მოახერხებს, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინებასა და თავისი საგაკვეთილო პროცესის იმგვარად დაგეგმვას, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზუსტად იმავე საგაკვეთილო აქტივობებში ჩართოს და იმ ხანგრძლივობით, როგორშიც მის სხვა თანაკლასელებს. მაგალითად, თუ მასწავლებლის ერთი კონკრეტული დღის საგაკვეთილო განრიგი ითვალისწინებს მოსწავლეთა ზეპირ გამოკითხვას, მან ზეპირი გამოკითხვის პროცესში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეც უნდა ჩართოს (ოღონდ, შესაბამისად შერჩეული მეთოდით); თუ დარჩენილი საგაკვეთილო პროცესი საკლასო წერით აქტივობას ან სავარჯიშოების შესრულებას ეთმობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემაც უნდა განახორციელოს შესაბამისი აქტივობა, თუმცა შესაძლებელია, რომ, როცა სხვები წერენ, მან ხატოს, როგორც ეს წინა მაგალითშია განსაზღვრული.

არსებული რეალობიდან გამომდინარე, საგაკვეთილო პროცესის ამგვარად დაგეგმვა ყოველთვის არ ხერხდება და ხშირად გამართლებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზეპირად სწორედ მაშინ გამოიკითხოს, როდესაც მისი თანაკლასელები წერენ. ასე მასწავლებელი უფრო კონცენტრირდება ამ მოსწავლეზე, ან პირიქით, გამართლებულია, მოსწავლემ ხატოს მაშინ, როდესაც სხვების ზეპირი გამოკითხვის დროა.

ამ შემთხვევაში, მთავარია, რომ მასწავლებლმა წინასწარ შერჩეული სტრატეგია კარგად მოიფიქროს და მოსწავლის შესაძლებლობები, კლასის სტრუქტურა და საგაკვეთილო პროცესი

გაითვალისწინოს. მთავარია, რომ მასწავლებელმა არ დაუშვას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უქმად ჯდომა გაკვეთილზე მაშინ, როდესაც მისი თანაკლასელები აქტიურობენ.

ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი ხდება მოსწავლისთვის კლასის აქტივობებისგან სრულიად განსხვავებულის შეთავაზებაც. მთავარია, თითოეულ შემთხვევაში, მოსწავლისთვის საინტერესო აქტივობები შეირჩეს და სხვა მოსწავლეების ზედმეტმა ინტერესმა საგაკვეთილო პროცესის ჩაშლა არ გამოიწვიოს. ამგვარი აქტივობების გამოყენებისას გადამწყვეტია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს ისინი დავალების სახით მისცეს და შესრულების პროცესი გაკვეთილის მსვლელობისას გააკონტროლოს.

**ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის აუცილებლობის შესახებ საკითხი წამოიჭრება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება აქვს და რეგულარულად მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებს სწავლებისა და შეფასებისას. არ აღენიშნება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო (ხანგრძლივი ავადმყოფობა), განსაზღვრული დროით საჭიროებს სპეციალურ სასწავლო პროგრამას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო და სასკოლო აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობაა. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა საშუალებას გვაძლევს მოსწავლეზე ორიენტირებულად დავგეგმოთ დროის ყოველი ის მონაკვეთი, რომელსაც მოსწავლე სასკოლო სივრცეში გაატარებს ან დაუთმობს სასწავლო საქმიანობას სკოლასა თუ სახლში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სახელმძღვანელო დოკუმენტია, რათა მოსწავლე მექანიკურად არ დაესწროს გაკვეთილებს, რაც ასე ხშირად ხდებოდა ამ უკანასკნელ წლებში.

აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მოსწავლის ჩართულობას არა მხოლოდ საკლასო და აკადემიურ საქმიანობაში, არამედ აქ მოიაზრება ყველა არააკადემიური აქტივობა, რომლის განხორციელებაც მოსწავლეს უწევს სკოლაში და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ის დოკუმენტია, რომელშიც განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები მოსწავლის საჭიროებების, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დადგენილი სასწავლო მიზნები შესაძლებელია განსხვავდებოდეს მოსწავლის საფეხურის შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნებისგან. შესაბამისად, ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში დასახული სასწავლო მიზნების განხორციელება სწავლების სპეციფიკური სტრატეგიებისა და პროცესის განსაზღვრას გულისხმობს.

მნიშვნელოვანია, ეს პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესისაგან მოწყვეტილად და სხვა მოსწავლეებისგან იზოლირებულად (მხოლოდ რესურსოთახში) არ მიმდინარეობდეს. პირიქით, ინდივიდუალურმა გეგმამ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი მოსწავლის სოციალიზაციასა და ინტეგრაციას კლასში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეხმარება პედაგოგს, გააკონტროლოს მოსწავლის მიღწევები და წარმოადგენს მოსწავლის შესახებ ინფორმაციის სხვადასხვა პირს შორის გაზიარების საშუალებას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა განახლდება რეგულარულად, წინასწარ დათქმულ ვადებში და მასში აღიწერება ის ცვლილებები, რომლებიც აუცილებელია მოსწავლის ეფექტიანი განათლების უზრუნველყოფისთვის. სასწავლო გეგმა მოსწავლის შეფასების შედეგებისა და მისი სასწავლო მიღწევების საფუძველზე განახლდება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ასახავს პედაგოგის, სკოლის ადმინისტრაციის, მშობლისა და თავად მოსწავლის შეთანხმებას სპეციალური სასწავლო პროგრამის თაობასა და სერვისზე, რომლის უზრუნველყოფა შესაძლებელია აღნიშნული სკოლის ფარგლებში და არსებული რესურსების გათვალისწინებით.

მაშასადამე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სახელმძღვანელოა, რომელშიც ასახული და დასაბუთებულია კონკრეტული მოსწავლისთვის საჭირო მხარდაჭერა, რომელსაც მასთან მომუშავე ყველა მასწავლებელი თუ პროფესიონალი უნდა იზიარებდეს და მისდევდეს. ეს არის არა ხისტი, არამედ სამუშაო დოკუმენტი, რომელიც რეგულარულ ცვლილებებს მოითხოვს. დროის გარკვეულ მონაკვეთში იგი აუცილებლად უნდა გადაიხედოს/გადაფასდეს მოსწავლის შესაძლებლობებისა და მიღწევების შესაბამისად და განისაზღვროს საჭირო ცვლილებები.

## ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში გეოგრაფიაში

**მოსწავლის ცოდნის აქტუალური დონის აღწერა**

| მოკლევადიანი მიზანი/მიზნები | | მოსწავლის მიღწევა |
|---|---|---|
| მკვიდრი წარმოდგენები | სწავლის შედეგები | |
| ცნება: გეოგრაფიული გარსი | | მოსწავლე ასხვავებს ლითოსფეროს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ბიოსფეროს შემადგენელ ნაწილებს. |
| • გეოგრაფიული გარსი შედგება გეოსფეროებისგან (ლითოსფერო, ატმოსფერო, ჰიდროსფერო, ბიოსფერო), რომლებსაც ახასიათებს მთელი რიგი კანონზომიერებები;<br>• ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე. | მოსწავლე ეცნობა სხვადასხვა ქვეყნის რელიეფს, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ბიოსფეროსა და ნოოსფეროს. | |
| ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა | | მოსწავლემ იცის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია მოსახლეობის რაოდენობა და ეროვნული შემადგენლობა. |
| • ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>• მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>• სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მისი განვითარების დონეზე აისახება. | მოსწავლემ იცის მოსახლეობის საქმიანობის შესახებ. ასხვავებს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის მაჩვენებლებს. | |
| ცნება: მდგრადი განვითარება | | მოსწავლე ზრუნავს და იცავს გარემოს, იცის, რომ მისი ქმედება ეკოლოგიურ პრობლემებს გამოიწვევს. |
| • ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>• მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | მოსწავლემ იცის, რომ საჭიროა გეოგრაფიული გარემოს დაცვა. | |

### გრძელვადიანი მიზნები

| მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს: | მოსწავლემ უნდა შეძლოს: |
|---|---|
| ცნება: გეოგრაფიული გარსი | |
| ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე. | მოსწავლე ასხვავებს ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს. |
| ცნება: მოსახლეობა და მეურნეობა | |
| ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს. | მოსწავლე გაარჩევს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის მეურნეობის დარგებს. მაგალითად, იცის, რომ სოფლად ადამიანები, ძირითადად, სოფლის მეურნებაში არიან დასაქმებულნი. |
| ცნება: მდგრადი განვითარება | |
| ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს. | მოსწავლე გააცნობიერებს, რატომ და როგორ უნდა დაიცვას გარემო იმისათვის, რომ ბედნიერად იცხოვროს. |

### კომპლექსური დავალება, მოკლევადიანი მიზნები, აქტივობები

| თემა/მიმართულება:<br>კომპლექსური დავალების განხორციელების პერიოდი: | | |
|---|---|---|
| **გრძელვადიანი მიზნები** | **საკითხი/საკითხები** | **კომპლექსური დავალება<br>მოკლევადიანი მიზნები** |
| გეოგრაფიული გარსი<br><br>1. გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისაგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br><br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე. | საკითხი/ქვესაკითხები<br><br>**ტუპუნგატოს მყინვარი – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა (მყინვარების დნობა).**<br><br>**ქვესაკითხები:**<br>მთის მყინვარები;<br>მთის მყინვარების დნობა;<br>ანთროპოგენური საქმიანობა;<br>სათბური აირები;<br>გლაციოლოგია;<br>მეტეოროლოგია. | წარმოიდგინე, რომ ორგანიზაციის – „მთის მყინვარების მცველი“ – წევრი ხარ და შენი მიზანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს საკუთარი როლი მყინვარების დნობის პროცესში. შენი ამოცანაა, შეისწავლო ტუპუნგატოს მწვერვალი – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა; დაადგინო, როგორ იცვლება და რა ურთიერთკავშირია ტუპუნგატოს მთის მყინვარების დნობასა და ადამიანის საქმიანობას შორის. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით შექმენი ბლოგი.<br><br>**ბლოგში ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• როგორ აისახება გლობალური კლიმატცვლილება ტუპუნგატოს მთის მყინვარსა და პლანეტის მყინვარებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**<br>• როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მყინვარის დნობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და ცხოვრების დონე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**<br>• რატომაა მნიშვნელოვანი მყინვარებისა და, მათ შორის, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შეჩერება და როგორ აისახება ეს მოვლენა მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებაზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**<br><br>მოკლევადიანი მიზნები:<br>1. მოსწავლემ უნდა შეძლოს მყინვარის აღწერა ფიზიკურ ნიშნებზე დაყრდნობით;<br>2. მოსწავლემ უნდა შეძლოს, გაიაზროს, რა მნიშვნელობა აქვს მყინვარების დნობის შეჩერებას. |

მოსწავლის პროგრესის შეფასება

| რას ვაფასებ? | | |
|---|---|---|
| **სოლო ტაქსონომიის დონე** | **მოსწავლის შესრულების აღწერა** | **განმავითარებელი უკუკავშირი** |
| • აბსტრაქტული<br>• მიმართებითი<br>• მულტისტრუქტურული<br>• უნისტრუქტურული<br>• პრესტრუქტურული | მოსწავლეს შეუძლია აღწეროს მყინვარი გარეგნული მახასიათებლების მიხედვით. შეუძლია, აღწეროს და ისაუბროს მყინვარების დნობის პროცესზე, მიზეზებსა და საფრთხეებზე. თუმცა, ერთმანეთთან ვერ აკავშირებს. | მოსწავლეს ვაჩვენებ ვიდეოფილმს მყინვარის დნობისა და მისი შედეგების შესახებ და ვთხოვ, დახატოს ფილმში გადმოცემული ამბავი წარმოდგენილი სიუჟეტების მიხედვით. შემდეგ, ვთხოვ, ერთმანეთთან ისრებით დააკავშიროს მყინვარების დნობის გამომწვევი მიზეზები  და საფრთხეები. |

# 6. თემატური მატრიცები

როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის წიგნში გთავაზობთ თითქმის ყველა საკითხის კომპლექსურ დავალებას, თუმცა მასწავლებელი თავად გადაწყვეტს, რომელ მათგანს ახორციელებს კლასის საჭიროებისა და მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე. ასევე, წარმოგიდგენთ რეკომენდაციას, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით უნდა დამუშავდეს კომპლექსური დავალება. თემატურ მატრიცებში კონკრეტული კომპლექსური დავალება დამუშავების ეტაპების მიხედვითაა ნაჩვენები.

**კომპლექსური დავალების დამუშავების ეტაპები (აქტივობები, რესურსები):**

**ეტაპი 1.** კომპლექსური დავალების არსის გაცნობა (რა საკითხს ეხება, რა ფორმით მოხდება კომპლექსური დავალების პრეზენტაცია)

საკვანძო შეკითხვა: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?

1. გავაცნობ კომპლექსური დავალების პირობას. ყურადღებას გავუმახვილებ, კონკრეტულად რა პროდუქტი უნდა შექმნან კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის შედეგად;
2. ავუხსნი, რა უნდა წარმოაჩინონ მათ მიერ მომზადებულ პოსტერში. ყურადღებას გავამახვილებ, რომ ეს შეფასების კრიტერიუმებია;
3. გავაცნობ, რას ნიშნავს, წარმოაჩინონ გეოგრაფიული კვლევის ეტაპები დავალებაზე მუშაობის დროს და ავუხსნი, რას გულისხმობს გეოგრაფიული კვლევა;
4. ვთხოვ, დაფიქრდნენ, დავალების პირობისა და კრიტერიუმებიდან გამომდინარე, თუ აქვთ კითხვები, ან თუ არის რაიმე მათთვის ბუნდოვანი და კიდევ ერთხელ მივცემ მითითებებს.

**ეტაპი 2.** კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა. სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დამუშავება.

**საკვანძო შეკითხვები:** როგორ შევასრულო მოცემული დავალება?

**აქტივობა 1.** იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ.: ვიდეოფილმის ნახვა, განხილვა და სხვა.

**აქტივობა 2.** იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ.: ტექსტის ან თემატური რუკების ანალიზი, მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და სხვა.

**აქტივობა 3.** იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ.: კომპლექსურ დავალებაში მოცემული კონკრეტული პროდუქტის, მაგალითად, პოსტერის შექმნა.

**აქტივობა 4.** იწერება კონკრეტული აქტივობა, მაგ.: კომპლექსური დავალებების პრეზენტაცია.

**საკვანძო შეკითხვა:** როგორ უნდა წარმოვადგინო კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის შედეგები ისე, რომ ეს მსმენელთათვის საინტერესო და გასაგები იყოს?

მოსწავლეები წარმოადგენენ მომზადებულ პროდუქტს, გაგვიზიარებენ კვლევის იმ ეტაპებს, რომლებიც გაიარეს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს – რა დასკვნები გამოიტანეს, რა პრობლემებსა და სირთულეებს წააწყდნენ, რასაც მომავალ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას გაითვალისწინებენ.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი გადაწყვეტს მეორე თემის ფარგლებში გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებული სხვა რომელიმე კომპლექსური დავალების განხორციელებას, მას შეუძლია დამატებით გაეცნოს საკითხავ მასალას (გვ. 74.)

# I თავი

| | | | |
|---|---|---|---|
| კლასი:<br>თემის სახელწოდება:<br><br>ძირითადი რესურსი: | XI<br>კლიმატის გლობალური ცვლილება<br><br>სახელმძღვანელო | | |
| **სამიზნე ცნება** | **საკითხი 1**<br>მყინვარების დნობა – ტუპუნგატოს მყინვარი – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა. | **საკითხი 2**<br>ლტოლვილები, დევნილები – ტეიტიოტას საქმე. | **საკითხი 3**<br>მწვანე ეკონომიკა – სამხრეთ კორეა – „აზიური ვეფხვის“ მწვანე ეკონომიკა. |
| **გეოგრაფიული გარსი** | **ქვესაკითხი:** ტუპუნგატოს მთის მყინვარი, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობა, ანთროპოგენური საქმიანობა, სათბურის აირები.<br><br>**ქვეცნება:** გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებები – გეოგრაფიული გარსის მთლიანობა. | **ქვესაკითხი:**კირიბატის კლიმატის ცვლილება, სათბურის აირები, წყალდიდობა.<br><br>**ქვეცნება:** ნოოსფერო – ბუნებრივი საფრთხეები – ბუნებრივი კატასტროფები. | **ქვესაკითხი:** სამხრეთ კორეის გეოგრაფიული მდებარეობა, სამხრეთ კორეის ბუნებრივი პირობები.<br><br>**ქვეცნება:** ნოოსფერო – ანთროპოგენური ლანდშაფტები. |
| **მოსახლეობა და მეურნეობა** | **ქვესაკითხი:**გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის ცხოვრების დონე მოსახლეობის ყოველდღიურობა.<br><br>**ქვეცნება:** მოსახლეობის სტრუქტურა – მოსახლეობის ცხოვრების დონე მეურნეობის სტრუქტურა. | **ქვესაკითხი:** ეკომიგრაცია, კლიმატური ლტოლვილი, კანონი მიგრაციის შესახებ.<br><br>**ქვეცნება:** მოსახლეობის სტრუქტურა – მოსახლეობის ცხოვრების დონე. | **ქვესაკითხი:**სამხრეთ კორეის ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე სამუშაო ადგილები, სახელმწიფო სტრატეგია.<br><br>**ქვეცნება:**მეურნეობის სტრუქტურა-მომსახურების დარგები (მეოთხეული და მეხუთეული დარგები). |
| **მდგრადი განვითარება** | **ქვესაკითხი:**ტუპუნგატოს მთის მყინვარების დნობა, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები.<br><br>**ქვეცნება:** გარემო – რაციონალური ბუნებათსარგებლობა. | **ქვესაკითხი:** ტეიტიოტას ოჯახის უსაფრთხოება, კლიმატური ლტოლვილი, ადამიანის უფლებები.<br><br>**ქვეცნება:** საზოგადოება – მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა. | **ქვესაკითხი:** გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი, გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი.<br><br>**ქვეცნება:** საზოგადოება – მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა. |
| **კომპლექსური დავალება** | **კომპლექსური დავალება 1**<br>ბლოგის შექმნა ტუპუნგატოს მყინვარის – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონის – აქტუალურ პრობლემასთან დაკავშირებით. | **კომპლექსური დავალება 2**<br>ტეიტიოტას საქმის განხილვისთვის დაცვის სიტყვის მომზადება, კლიმატური ლტოლვილების პრობლემების საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით. | **კომპლექსური დავალება 3**<br>კვლევის ანგარიშის შექმნა სამხრეთ კორეის სახელმწიფოს განვითარების პროცესის შესახებ. |

| **რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად** | **სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი, პარაგრაფი 1. –** მყინვარების დნობა | **სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი, პარაგრაფი 4. –** ლტოლვილები, დევნილები | **სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი, პარაგრაფი 5. –** მწვანე ეკონომიკა |
|---|---|---|---|

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენს გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის განვითარებაზე;
- კონფლიქტები გეოგრაფიულ მდებარეობასა და რესურსებს უკავშირდება, რაც ნოოსფეროს ცვლილებას იწვევს;
- ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორის მშვიდობიან თანაცხოვრებაში;
- ანთროპოგენური ფაქტორები გავლენას ახდენს ბუნებრივ პროცესებზე;
- გლობალური პოლიტიკური მოვლენები განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული გლობალიზაციის პროცესს;
- კულტურული გლობალიზაცია მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე აისახება;
- გლობალიზაცია კულტურაში განაპირობებს გლობალური საზოგადოების ფორმირებას;
- კონფლიქტში მონაწილე მოსახლეობის ცხოვრება იცვლება, რაც მათ დინამიკასა და ყოველდღიურობაზე აისახება;
- ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენს ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და უსაფრთხოებაზე;
- სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა;
- ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და მოსახლეობის ურთიერთქმედება დამოკიდებულია მოსახლეობის ცნობიერების დონეზე;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურული გლობალიზაციის პროცესში;
- კონფლიქტები ქმნის გარემოსდაცვით პრობლემებს, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე, ასევე, გარემოს მდგრადობაზე აისახება;
- გლობალური გეოპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა.

## კომპლექსური დავალება 1

**თემა** – კლიმატის გლობალური ცვლილება
**საკითხი** – ტუპუნგატოს მყინვარი – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა (მყინვარების დნობა)

**სამიზნე ცნება** – გეოგრაფიული გარსი; **ქვეცნება** – გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებები – გეოგრაფიული გარსის მთლიანობა; **ქვესაკითხი**: ტუპუნგატოს მთის მყინვარი, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობა, ანთროპოგენური საქმიანობა, სათბურის აირები.

**სამიზნე ცნება** – მოსახლეობა და მეურნეობა; **ქვეცნება** – მოსახლეობის სტრუქტურა-მოსახლეობის ცხოვრების დონე; მეურნეობის სტრუქტურა; **ქვესაკითხი**: გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის ცხოვრების დონე მოსახლეობის ყოველდღიურობა.

**სამიზნე ცნება** – მდგრადი განვითარება; **ქვეცნება** – გარემო – რაციონალური ბუნებათსარგებლობა; **ქვესაკითხი**: ტუპუნგატოს მთის მყინვარების დნობა, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები.

**საკვანძო შეკითხვა –** როგორ გავაცნო საზოგადოებას ბლოგის დახმარებით, თუ როგორ უნდა დავიცვათ ტუპუნგატოს მყინვარი (მთის მყინვარები) გლობალური კლიმატცვლილების უარყოფითი ზეგავლენისგან?

## კომპლექსური დავალების პირობა



კლიმატის ამჟამინდელი ცვლილების დაწყებასთან ერთად მყინვარების დნობის პროცესიც აჩქარდა და ამ უნიკალურ გეოგრაფიულ ობიექტებს, მათ განუმეორებელ ეკოსისტემას, დიდი საფრთხე დაემუქრა. მეცნიერთა აზრით, სწორედ მყინვარია კლიმატის ცვლილების ყველაზე კარგი საზომი.

აშშ-ის თოვლისა და ყინულის ეროვნული ცენტრის მონაცემების მიხედვით, მნიშვნელოვნად შემცირდა შელფურ და მთის მყინვარების ფართობები. უკანდახეული მყინვარები ტოვებენ ნაკვალევს, რომელიც „წარსულის შესახებ გვიყვება“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთიანი ტერიტორიების სამეცნიერო შესწავლას, მათი ბუნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული სირთულეების წარმოჩენას, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების კვლევას, რეკრეაციული შესაძლებლობებისა და რესურსების მარაგის განსაზღვრას, მდგრად ტერიტორიულ დაგეგმარებასა და სივრცით მოწყობას.

წარმოიდგინე, რომ ორგანიზაცია „მთის მყინვარების მცველის“ წევრი ხარ და შენი მიზანია, საზოგადოებამ მყინვარების დნობის პროცესთან მიმართებით საკუთარი როლის მნიშვნელობა გააცნობიეროს. შენი ამოცანაა, შეისწავლო ტუპუნგატოს მწვერვალი – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა; დაადგინო, როგორ იცვლება იქაური გარემო-პირობები და რა ურთიერთკავშირია მთის მყინვარების დნობასა და ადამიანის საქმიანობას შორის.

საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად შექმენი ბლოგი.

**ბლოგში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- როგორ აისახება ანთროპოგენული ფაქტორით გამოწვეული გლობალური კლიმატცვლილება ტუპუნგატოს მთისა და ჩვენი პლანეტის სხვა მყინვარებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**
- როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და ცხოვრების დონე და როგორ უმკლავდება სახელმწიფო ამ გამოწვევებს **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2 );**
- რატომაა მნიშვნელოვანი მყინვარებისა და, მათ შორის, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შეჩერება და როგორ აისახება ეს მოვლენა მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებაზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: |
|---|---|---|
| **გეოგრაფიული გარსი**<br>1. გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მათთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>1. ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>2. მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>3. სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მისი განვითარების დონეზე აისახება.<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>1. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>2. მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | **გეოგრაფიული გარსი**<br>• კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, გეოგრაფიულ გარსში შემავალი სფეროების ურთიერთდამოკიდებულება და მთლიანობის გაანალიზება **(მ. წ. 1);**<br>• ადამიანის საქმიანობის გავლენის გააზრება ტუპუნგატოს მყინვარის პრობლემებზე **(მ. წ. 2).**<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>• მყინვარის დნობის შედეგებით გამოწვეული ცვლილებების გავლენის შეფასება მოსახლეობის კეთილდღეობაზე **(მ. წ. 1, 2);**<br>• ტუპუნგატოს მყინვარის დნობის შესაჩერებლად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიების შედეგების გაანალიზება **(მ. წ. 3).**<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>• ტუპუნგატოს მყინვარის დნობის შეჩერების მნიშვნელობის გააზრება მთიანი რეგიონის მდგრადი განვითარებისა და მომავალი თაობის კეთილდღეობისთვის **(მ. წ. 1, 2).** | • როგორ აისახება ანთროპოგენური ფაქტორით გამოწვეული გლობალური კლიმატცვლილება ტუპუნგატოს მთის მყინვარსა და ჩვენი პლანეტის სხვა მყინვარებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ.1);**<br>• როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მყინვარის დნობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და ცხოვრების დონე და როგორ უმკლავდება სახელმწიფო ამ გამოწვევებს **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ.1, 2);**<br>• რატომაა მნიშვნელოვანი მყინვარებისა და, მათ შორის, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შეჩერება და როგორ აისახება მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებაზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).** |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსები/განსახილველი შემთხვევები (ქეისები):**

**სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი**
**პარაგრაფი 1. – მყინვარების დნობა**

1. როგორ შევქმნათ ბლოგი – http://www.ict.tpdc.ge/video/48?ch=431
2. პროგრამა – earth.google.com
3. არქტიკის მოხსენებითი ბარათი – https://www.youtube.com/watch?v=_WbWjLUTvZM
4. ანტარქტიდის ყინულის მასის დაკარგვა 2002-2020 წლებში – https://www.youtube.com/watch?v=AmSovbt5Bho
5. https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html – მდგრადი განვითარების მიზნები
6. ვიდეო – „მყინვარები" – https://www.youtube.com/watch?v=WJgpDyP9ewQ
7. მყინვარების დნობასთან ერთად ჩნდება დაკარგულ ალპინისტთა გვამები და უძველესი ვირუსები – https://1tv.ge/news/myinvarebis-dnobastan-ertad-chndeba-dakargul-aplinistta-gvamebi-da-udzvelesi-virusebi/
8. ჩრდილოეთის ხალხები – http://mastsavlebeli.ge/?p=13628
9. დნობის სადარაჯოზე – https://nationalgeographic.ge/story/dnobis-sadarajoze/
10. სვანეთში მყინვარების ეროვნული პარკის შექმნა იგეგმება – https://mtisambebi.ge/news/ecology/item/377-svanet-shi-mybinvarebis-erovnuli-parkis-sheqmna-igegmeba
11. მყინვარი – წყლის ბუნებრივი რეზერვუარი – https://helloblog.ge/story/myinvari

**რესურსი 1**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 1-ის საფუძველზე):**

- როგორ შევქმნათ ბლოგი?
- რა უნდა გაითვალისწინოთ ბლოგის მომზადებისას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ ბლოგის მომზადების დროს?

**რესურსი 2**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 2-ის საფუძველზე):**

**პროგრამა – Google Earth – გუგლი დედამიწა – დაგეხმარება, რომ გაეცნო:**

- ტუპუნგატოს მყინვარის გეოგრაფიულ მდებარეობას;
- მდინარეებს, რომლებიც მისგან იღებს სათავეს;
- მყინვარის არეალში მდებარე დასახლებულ პუნქტებს.

**რესურსი 3**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 3-ის საფუძველზე):**

**არქტიკის მაგალითის განხილვა:**
სად და რატომ დნება მყინვარები?
რა შედეგები მოჰყვება მყინვარების დნობას?

**რესურსი 4**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 4-ის საფუძველზე):**

**ანტარქტიდის მაგალითის განხილვა:**
სად და რატომ დნება მყინვარები?
რა შედეგები მოჰყვება მყინვარების დნობას?

**რესურსი 5**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 5-ის საფუძველზე):**

დაგეხმარება გაეცნო მდგრადი განვითარების მიზნებს;
რა როლს ასრულებს ადამიანი და სახელმწიფო მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების პროცესში?

**რესურსი 6 – ვიდეორგოლი**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 6-ის საფუძველზე):**

**მოცემული ვიდეორგოლის განხილვა დაგეხმარება გაეცნო:**

- როგორ წარმოიქმნება მყინვარები?
- როგორ მოქმედებს მყინვარები გეოსფეროებზე?
- რა გავლენას ახდენს გლობალური კლიმატცვლილება მყინვარების დნობის პროცესზე?

**რესურსი 7 და 8**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 7-ისა და 8-ის საფუძველზე):**

რა შედეგები მოჰყვება მყინვარების დნობას?
დნება თუ არა მყინვარები მთებში?
როგორ ცხოვრობს ჩრდილოეთის ხალხები?
რა გავლენას მოახდენს მთის მყინვარების დნობის დაჩქარება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე?

**რესურსი 9 და 10**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 9-ისა და 10-ის საფუძველზე):**

ვინ და როგორ იცავს მყივარებს?
როგორ და რატომ უნდა დავიცვათ მყინვარები?

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**
**ქვესაკითხი – გლობალურ კლიმატცვლილებებასა და მყინვარების დნობას შორის ურთიერთკავშირი**
- რატომ დნება მთის მყინვარები?
- რა გავლენას ახდენს მყინვარების დნობა სათბურის აირების კონცენტრაციაზე?

**ქვესაკითხი – ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობის ცხოვრების დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება**
- როგორი აისახება ბუნებრივი გარემოს ცვლილებები მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?
- როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ მოსახლეობის უსაფრთხოება?

**ქვესაკითხები: მოსახლეობის უფლებების დაცვა განაპირობებს მოსახლეობის უსაფრთხოებასა და ცხოვრების დონეს.**
- როგორ დავიცვათ მოსახლეობა მთის მყინვარების დნობის შედეგად წარმოქმნილი ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეებისგან?

**კომპლექსური დავალება**
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთი-ლის განმავლობაში მოგიწევს მუშაობა?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა**
**სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი**
**ქვეცნება** – გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებები, გეოგრაფიული გარსის მთლიანობა
**ქვესაკითხი** – მთის მყინვარები, მთის მყინვარების დნობა, ანთროპოგენური საქმიანობა, სათბურის აირები, გლაციოლოგია, მეტეოროლოგია

**ნაბიჯი 1**

როგორ აისახება ანთროპოგენური ფაქტორით გამოწვეული გლობალური კლიმატცვლილება ტუპუნგატოს მთისა და ჩვენი პლანეტის სხვა მყინვარებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ.წ.1)?**

**აქტივობა 1 – ინტერაქტიულ რუკაზე მუშაობა:**

1. გაეცანი პროგრამა https://goo.su/TzzDjD7-ის (earth.google.com) საშუალებით გაეცანი ტუპუნგატოს მწვერვალს და დაადგინე, ტუპუნგატოს მთის მყინვარის:

- გეოგრაფიული მდებარეობა;
- მდინარეები, რომლებიც მისგან იღებს სათავეს;
- მყინვარის არეალში მდებარე დასახლებული პუნქტები.

**აქტივობა 2 – გეოგრაფიული კვლევა:**

მოსწავლეები ეცნობიან სამუშაო რვეულში მოცემულ დავალება 7 – გეოგრაფიულ კვლევას (გვ. 16), პასუხობენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ, რატომ დნება მყინვარები.

**აქტივობა 3 – ტექსტის ანალიზი:**

მოსწავლეები სახელმძღვანელოში მოცემული ჩანართის – მყინვარებისა და კლიმატის მცველები (გვ. 11) – გაცნობის შემდეგ მსჯელობენ, რა როლს ასრულებენ გლაციოლოგები და მეტეოროლოგები გლობალური კლიმატცვლილებებისა და მყინვარების შესწავლის პროცესში?

**აქტივობა 4 – გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენება:**
მოსწავლეები ასრულებენ სამუშაო რვეულში დავალება 3-ს (გვ. 13), ავსებენ გრაფიკულ ორგანიზატორებს და პასუხობენ კითხვებს:

1. როგორ მოქმედებს გეოგრაფიული გარსის სფეროებზე კრიოსფეროს ცვლილება?
2. ახსენი, რა გავლენას მოახდენს ტუპუნგატოს მყინვარის დნობა გარემოზე?

**აქტივობა 5 – გეოგრაფიული კვლევა:**

მოსწავლეები სამუშაო რვეულში ასრულებენ დავალება 4-ს (გვ. 15) და ადგენენ, როგორ იცვლება ადამიანის ზემოქმედების შედეგად ტემპერატურა და რა გავლენას ახდენს მყინვარებზე? როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მთის მყინვარი?

**აქტივობა 6 – შემთხვევის ანალიზი:**

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზ 1-ს (გვ. 18), პასუხობენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე ხსნიან, რა გავლენას ახდენს ადამიანი თავისი საქმიანობით მყინვარების დნობაზე.

ავსებენ მიზეზშედეგობრივ გრაფიკულ ორგანიზატორს:




**საამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა**
**ქვეცნება** – მოსახლეობის ცხოვრების დონე
**ქვესაკითხი** – გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის ცხოვრების დონე, მოსახლეობის ყოველდღიურობა

**ნაბიჯი 2**

როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და ცხოვრების დონე და როგორ უმკლავდება სახელმწიფო  ამ გამოწვევებს; **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2)?**

**აქტივობა 7 – როლური თამაში:**

მოსწავლეები ჯგუფურად განიხილავენ სახელმძღვანელოში ჩანართს – მთის მყინვარების მცველი – შემთხვევის ანალიზ 2-ს (გვ. 21) და მსჯელობენ:

როგორ იცვლება ადამიანის ზემოქმედების შედეგად ტემპერატურა და რა გავლენას ახდენს მყინვარებზე?
როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მყინვარი?
დნება თუ არა მყინვარები მთებში და რატომ?
რა გავლენას ახდენს ადამიანი თავისი საქმიანობით მყინვარების დნობაზე?
რა პრობლემები შეიძლება წარმოიქმნას მთებსა და მთისწინებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შედეგად?
როგორ შეიცვლება იმ ადამიანების საქმიანობა, რომლებიც ოდითგანვე ზღვის ყინულის სეზონურ მატება-კლებასთან იყვნენ ადაპტირებულნი?
რა დადებითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს არქტიკული მყინვარების დნობას ჩრდილოეთის ხალხების ცხოვრებაში?
რამდენად შესაძლებელია ჩრდილოეთ რეგიონებში სოფლის მეურნეობის – მემცენარეობის სხვადასხვა დარგის – განვითარება გლობალური კლიმატცვლილებისა და მყინვარების ინტენსიური დნობის პირობებში?
რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის, რომ ჩრდილოეთში მცხოვრებ მოსახლეობას ცვალებად კლიმატურ პირობებთან ადაპტაციაში დავეხმაროთ?
როგორ ზემოქმედებს მყინვარების დნობა ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე?

ჯგუფები ავსებენ გრაფიკულ ორგანიზატროს:




**სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება**
**ქვეცნება** – გარემო, რაციონალური ბუნებათსარგებლობა
**ქვესაკითხი** – ტუპუნგატოს მთის მყინვარების დნობა, ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები

**ნაბიჯი 3**

რატომაა მნიშვნელოვანი მყინვარებისა და, მათ შორის, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შეჩერება და როგორ აისახება ეს მოვლენა მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებაზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2)?**

**აქტივობა 8 – შემთხვევის ანალიზის განხილვა:**

მოსწავლეები ჯგუფებში განიხილავენ სამუშაო რვეულში მოცემულ დავალება 8-ს, შემთხვევის ანალიზ 1-ს (გვ.18) და მსჯელობენ:

1. რატომ უწოდებენ მყინვარებს კლიმატის ცვლილების ინდიკატორებს და რა როლს ასრულებს მყინვარების დნობა კლიმატის ცვლილებაზე?

**აქტივობა 8 – ფაზლის ბადის შევსება:**

**გამოიყენე რესურსები და შეავსე ფაზლის ბადე.**

| შინაარსი | რესურსი 7 | რესურსი 8 | რესურსი 9 | რესურსი 10 |
|---|---|---|---|---|
| როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მყინვარის დნობის შედეგად სოფლის მეურნეობის სტრუქტურა? | | | | |
| შესაძლებელია თუ არა არქტიკული წრის მიღმა, მყინვარების დნობის შედეგად წარმოქმნილ ტერიტორიებზე, სოფლის მეურნეობის განვითარება? | | | | |
| რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს დედამიწასა და საქართველოში XXI ს-ის ბოლოს იმ შემთხვევაში, თუ მყინვარების დნობა გაგრძელდება? | | | | |

**შემაჯამებელი კითხვები:**
რა როლს ასრულებენ მყინვარების მცველები კლიმატის ცვლილების შედეგების თავიდან აცილების პროცეს-ში?
რა უნდა გააკეთოს საერთაშორისო საზოგადოებამ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პრობლემების, მათ შორის, მყინვარების დნობის თავიდან ასაცილებლად?

**აქტივობა 9 – ინფორმაციის ანალიზი:**
ინტერნეტგვერდზე – https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/post-2015.html – გაეცანი მდგრადი განვითარე-ბის მიზნებს და დაადგინე, რომელს უკავშირდება მყინვარების დნობა. პასუხი დაასაბუთე.

**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად:**

**აღწერე, როგორ მიმდინარეობს/წარიმართა დავალებაზე მუშაობის პროცესი:**
1. როგორ გეგმავ/დაგეგმე კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი? რას ითვალისწინებდი სამუშაო პროცესის დაგეგმვისას?
2. დაგეხმარა თუ არა პირველადი გეგმა მუშაობის პროცესში?
3. რა დეტალებზე აკეთებდი აქცენტს პრეზენტაციის მოსამზადებლად?
4. წარიმართა თუ არა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი დაგეგმილის შესაბამისად?
5. გახდა თუ არა საჭირო თავდაპირველად შემუშავებულ გეგმებში ცვლილებების შეტანა?
6. რატომაა საჭირო დავალების პირველადი ვერსიის შექმნა?
7. რითი განსხვავდება შესრულებული დავალების პირველადი ვერსია საბოლოოსგან?
8. რა ფაქტორებმა გამოიწვია/შეუძლია გამოიწვიოს პირველადი დასკვნების გადასინჯვა?
9. რა პროდუქტი შექმენით კომპლექსური დავალების სახით?
10. რატომ ფიქრობ, რომ შენ მიერ შექმნილი პროდუქტი პრეზენტაციაა?
11. რა საკითხის შესახებ გამოხატე შენი ცოდნა კომპლექსური დავალების საშუალებით?
12. რატომ განახორციელეთ კომპლექსური დავალება?
13. რა გრძელვადიან და მოკლევადიან მიზნებს ისახავდით კომლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
14. ვისთვის და რატომაა ეს პროდუქტი სასარგებლო და საინტერესო?
15. რა იცოდი შესასწავლი საკითხის შესახებ? რა გაიგე ახალი? დამატებით რის გაგებას ისურვებდი?
16. რა დასკვნებამდე მიხვედი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რითი დასტურდება შენ მიერ გაკეთებული დასკვნების მართებულობა/თანმიმდევრულობა?
17. რა ხერხები გამოიყენე სასწავლო მასალის უკეთ გასააზრებლად? / კომპლექსური დავალების უკეთ შესასრულებლად?
18. რა დაბრკოლებებს წააწყდი დავალებაზე მუშაობისას? რა დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
19. ვის წინაშე იყავი ანგარიშვალდებული სამუშაო პროცესში (მასწავლებლის, თანაკლასელების, სამეზობლო თემის)?
20. რა საერთო მიზანი გქონდათ შენ და შენს მასწავლებელს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
21. გქონდა თუ არა საერთო მიზნები თანაკლასელებთან ერთად? იყო თუ არა საინტერესო და სასიამოვნო კომ-პლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი?
22. რა გააკეთე დამოუკიდებლად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
23. რა გამოგივიდა კარგად კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში?
24. ვინ და როგორ დაგეხმარა კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? ვისთან ითანამშრომლე კომ-პლექსურ დავალებაზე მუშაობისას (როგორ დაეხმარე თანაკლასელებს/სამეზობლო თემის წევრებს/მას-წავლებელს; რა მხარდაჭერა მიიღე მათგან)?
25. წააწყდი თუ არა კონფლიქტურ სიტუაციებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ შეძელი კონფლიქტის დარეგულირება?
26. წააწყდი თუ არა გაურკვევლობებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? როგორ გაერკვიე ბუნ-დოვანებით მოცულ საკითხებში?
27. შეხვდი თუ არა განსხვავებულ მოსაზრებებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში? რამდენად შეძელი თანამშრომლობა განსხვავებული შეხედულებების ადამიანებთან? რა დაგეხმარება, რომ უკეთ გაიგო თანაკლასელების, მასწავლებლის სათქმელი?

28. გააანალიზე, რა წესებს/კანონებს იცავდი და რატომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში (მაგალითად, რამდენად მოახერხე, აზრთა სხვადასხვაობის ფონზე ორიენტირებული ყოფილიყავი პრობლემაზე და არა – კომუნიკაციაში ჩართულ ადამიანებზე? რით და როგორ გამოხატავდი ადამიანების მიმართ პატივისცემას კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში)?
29. ხვდები თუ არა თემში წინმსწრებად ჩამოყალიბებულ (დადებით ან უარყოფით) დამოკიდებულებას შესწავლის ობიექტად შერჩეული საკითხისადმი და რა განაპირობებს ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას?
30. რითი დაგეხმარა მასწავლებელთან, სხვა მოსწავლეებთან დიალოგი კომპლექსური დავალების შესრულებაში?
31. როგორ შეიძლება დაეხმაროს შენი შეკითხვები თანაკლასელებს სათქმელის უკეთ ჩამოყალიბებაში?
32. რა ფაქტორები გაითვალისწინე/უნდა გაითვალისწინო იმისათვის, რომ კომპლექსური დავალების პრეზენტაცია მსმენელისთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო (მაგ.: ფუნქციური სამეტყველო ქმედების (თხრობა, აღწერა, მსჯელობა, სწორად შერჩევა, სენსიტიური ნიუანსების წინ წამოწევა; ჟესტიკულაციის, მიმიკის, არავერბალური სიგნალების გამოყენება)?
33. გამოიყენე თუ არა ტექნოლოგიები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში და რაში დაგეხმარა ისინი?
34. რას გააკეთებდი სხვაგვარად, ახლა რომ იწყებდე დავალებაზე მუშაობას?
35. შენი აზრით, რითი ჰგავს და რითი განსხვავდება შენი დავალება თანაკლასელების ნაშრომებისგან? როგორ წარმოაჩენ ამ განსხვავებებს შეკითხვების სახით?
35. შეაფასე, რამდენად გამოგივიდა ის, რაც მასწავლებელმა დაგავალა?

**რეკომენდაცია:**

ყველა შუალედური მიზნის ბოლოს მეორდება კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად. რადგან მასწავლებლის წიგნები იბეჭდება, მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე, ფურცლის ეკონომიისა და, შესაბამისად, რესურსების დაცვის მიზნით, სხვა შუალედური მიზნების ბოლოს მათ აღარ ვიმეორებთ. ნებისმიერ შემთხვევაში იხელმძღვანელეთ პირველი შუალედური მიზნის ნიმუშით.

**შემთხვევა (ქეისი) 1. ჩანართი – მთის მყინვარების მცველი**

**მსოფლიოს უმაღლესი მეტეოროლოგიური სადგური**

2019 წელს ჟურნალ National Geographic-ისა და Rolexis-ის პროექტის –„მარადიული პლანეტის“ (Perpetual Planet) – ფარგლებში განხორციელებულ ორთვენახევრიან ექსპედიციაში 34 მეცნიერი – გეოლოგები, გლაციოლოგები, ბიოლოგები, გეოგრაფები და კლიმატოლოგები – შედიოდა. ისინი ევერესტსა და მის მეზობელ ქუმბუს მყინვარზე, სხვადასხვა სიმაღლეზე, საველე კვლევებს აწარმოებდნენ და ხუთი მეტეოროლოგიური სადგური მოაწყვეს, მათ შორის, მსოფლიოში უმაღლესი მეტეოროლოგიური სადგური ევერესტზე დაამონტაჟეს. სადგურიდან მეცნიერებს უიშვიათესი მონაცემები მიეწოდებათ კლიმატის ცვლილებისა და ტროპიკული შტორმების წარმომქმნელი ქარების შესახებ.

„ეს ახალი სარკმელია პლანეტის შესაცნობად. მიგვაჩნია, რომ მხოლოდ კომპლექსური სამეცნიერო მიდგომით შევძლებთ ევერესტის შესწავლას“, – ამბობს პოლ მეიუსკი, მენის უნივერსიტეტის კლიმატის ცვლილების ინსტიტუტის დირექტორი და ამ ექსპედიციის ხელმძღვანელი.

National Geographic-ის გუნდმა მეტეოსადგური ანდების მწვერვალებშიც დაამონტაჟა. მისი წყალობით ჩილე შეძლებს, უკეთ გაუმკლავდეს გვალვასა და დათბობას, რომელიც წყლის მიწოდებასაც უქმნის საფრთხეს.

ჩრდილოეთ კაროლინის აპალაჩების სახელმწიფო უნივერსიტეტის კლიმატოლოგი და გლაციოლოგი პერი იმ საერთაშორისო გუნდის ერთ-ერთი ლიდერია, რომელმაც 2021 წლის თებერვალში, პანდემიის მიუხედავად, მკვრივ თოვლში 15-დღიანი ლაშქრობა და ცოცვა გაბედა ტუპუნგატოს მწვერვალზე, სამხრეთ ანდებში, ჩამქრალი ვულკანის ქვეშ მეტეოსადგურის დასამონტაჟებლად, რომელიც სამხრეთ და დასავლეთ ნახევარსფეროებში ყველაზე მაღალი მეტეოსადგურია. ჩილესა და არგენტინის საზღვარზე მდებარე ეს სადგური მეცნიერებს იმის გაგებაში დაეხმარება, თუ რამდენად სწრაფად იცვლება კლიმატი ამ რეგიონში.

**წყარო:** მოსწავლის წიგნი, გვ: 29.

# კომპლექსური დავალება 2

**თემა** – კლიმატის გლობალური ცვლილება
**საკითხი** – ტეიტიოტას საქმე (ლტოლვილები, დევნილები)

**სამიზნე ცნება** – გეოგრაფიული გარსი; **ქვეცნება** – ნოოსფერო – ბუნებრივი საფრთხეები – ბუნებრივი კატასტროფები; **ქვესაკითხი**: კირიბატის კლიმატის ცვლილება, სათბური აირები, წყალდიდობა.

**სამიზნე ცნება** – მოსახლეობა და მეურნეობა; **ქვეცნება** – მოსახლეობის სტრუქტურა– მოსახლეობის ცხოვრების დონე; **ქვესაკითხი:** კირიბატის მოსახლეობის ეკომიგრაცია, კლიმატური ლტოლვილი, კანონი მიგრაციის შესახებ.

**სამიზნე ცნება** – მდგრადი განვითარება; **ქვეცნება** – საზოგადოება – მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა. **ქვესაკითხი:** ტეიოტას ოჯახის უსაფრთხოება, კლიმატური ლტოლვილი, ადამიანის უფლებები.

**საკვანძო შეკითხვა** – როგორ დავიცვათ ადამიანები კლიმატის ცვლილების უარყოფითი შედეგებისგან?

## კომპლექსური დავალების პირობა



კლიმატის ცვლილება ათობით მილიონი ადამიანის მიგრაციას იწვევს. მათ სურთ, სხვადასხვა ბუნებრივ კატასტროფას, მათ შორის, ქარიშხალს, გვალვასა და წყალდიდობას თავი დააღწიონ. გარემოს დამცველების შეფასებით, 2010 წელს მსოფლიოში 40 მილიონზე მეტი კლიმატური მიგრანტი იძულებული გახდა, მიეტოვებინა საცხოვრებელი გარემო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. 2020 წელს, მიუხედავად კოვიდ 19-ის პანდემიისა, მათმა რიცხვმა 34 მლნ-ს გადააჭარბა. პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისთვის ეკომიგრანტთა რაოდენობამ შესაძლოა, 200-250 მილიონ ადამიანს მიაღწიოს.

წარმოიდგინე, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) თანამშრომელი ხარ. როგორც ლტოლვილთა უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე მზრუნველი ორგანიზაციის წევრს, კუნძულ კირიბატის მოქალაქის, ტეიტიოტას, საქმის შესწავლა და სასამართლო პროცესზე მისი დაცვა დაგევალა. იმიტირებული სასამართლო პროცესისთვის მოამზადე სიტყვა, რომლითაც შენი კლიენტის კლიმატური ლტოლვილის უფლებებს დაიცავ.

**დაცვის სიტყვაში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება კუნძულ კირიბატის ბუნებრივ გარემოზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**
- როგორ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები კირიბატის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**
- როგორ მოქმედებს ქვეყნების მიერ გატარებული მიგრაციული პოლიტიკა კლიმატურ ლტოლვილთა პრობლემებსა და მიგრაციულ კრიზისზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 3);**
- როგორ შეიძლება კლიმატური ლტოლვილების პრობლემების მოგვარება **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: |
|---|---|---|
| **გეოგრაფიული გარსი**<br>1. გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>1. ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>2. მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>3. სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>1. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>2. მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | **გეოგრაფიული გარსი**<br>• კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, გეოგრაფიულ გარსში შემავალი გეოსფეროებისა და ნოოსფეროს ურთიერთდამოკიდებულების გააზრება **(მ. წ. 1, 2).**<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>• კლიმატის ცვლილებით გამოწვეული სახეშეცვლილი ბუნებრივი გარემოს უარყოფითი გავლენის შეფასება მოსახლეობის კეთილდღეობაზე **(მ. წ. 1, 2);**<br>• სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიების მნიშვნელობის გაანალიზება კლიმატურ ლტოლვილთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის **(მ. წ. 3).**<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>• კლიმატური ცვლილებების შედეგად დაზარებულთა პრობლემების გადაჭრის მნიშვნელობის გააზრება მდგრადი განვითარებისა და მომავალი თაობის კეთილდღეობისთვის **(მ. წ. 1, 2).** | • როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება კუნძულ კირიბატის ბუნებრივ გარემოზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**<br>• როგორ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები კირიბატის მოსახლეობის ყოფაცხოვრებაზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**<br>• როგორ მოქმედებს ქვეყნების მიერ გატარებული მიგრაციული პოლიტიკა კლიმატურ ლტოლვილთა პრობლემებსა და მიგრაციულ კრიზისზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 3);**<br>• როგორ შეიძლება კლიმატური ლტოლვილების პრობლემების მოგვარება **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**<br>• |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსები/განსახილველი შემთხვევები (ქეისები):**

1. **სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი**
**პარაგრაფი 4. – ლტოლვილები, დევნილები:**
2. ადვოკატის დასკვნითი სიტყვა და მისი მნიშვნელობა –https://goo.su/0zHre
3. კლიმატის ცვლილება და ჯანმრთელობა – https://goo.su/tzBU
4. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი – https://www.unhcr.org/
5. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი – https://data.unhcr.org/en/situations/rbap
6. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია IOM – https://worldmigrationreport.iom.int/wmr-2022-interactive/
7. IOM-ის სტრატეგია მიგრაციის გარემოსა და კლიმატის ცვლილების შესახებ – https://environmentalmigration.iom.int/
8. მიგრაციის მონაცემთა პორტალი – https://www.migrationdataportal.org/themes/environmental_migration_and_statistics
9. საკითხავი მასალა კომპლექსური დავალებისთვის „ევროპის მიგრაციული კრიზისი“ (რვეული, გვ. 131)
10. ჯონ ლენონის სიმღერის სრული ვერსია – https://www.youtube.com/watch?v=YkgkThdzX-8

**რესურსი 2**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 1-ის საფუძველზე):**

- რა მნიშვნელობა აქვს დაცვის სიტყვას?
- რა უნდა გაითვალისწინო დაცვის სიტყვის მომზადებისას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგა დაცვის სიტყვის მომზადების დროს?

**რესურსი 3**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 3-ის საფუძველზე):**

- რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება ადამიანის ჯანმრთელობაზე?
- როგორ ხდება კლიმატის ცვლილებებისა და ადამიანის ჯანმრთელობის რისკების შეფასება და მათზე რეაგირება?

**რესურსი 4, 5, 6 და 7**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 4-5-6-7-ის საფუძველზე):**

- როგორი ურთიერთკავშირია კლიმატის ცვლილების პირობებში მოსახლეობის გადაადგილებასა და სახელმწიფოთა გადაწყვეტილებებს შორის?
- რა ქმედებები უნდა განახორციელონ გაეროს ინსტიტუციებმა და ქვეყნების მთავრობებმა კლიმატური ლტოლვილებისა და დევნილების პრობლემების გადასაჭრელად?

**რესურსი 8**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 5-ის საფუძველზე):**

ეს აქტივობა დაგეხმარება, გაეცნო მსოფლიო მიგრაციის უახლეს ანგარიშს.

**რესურსი 9 – ვიდეორგოლი**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 9-ის საფუძველზე):**

უნდა შეიცვალოს თუ არა ქვეყნის პოლიტიკა ემიგრანტებისთვის სხვადასხვა კატეგორიის მინიჭების შესახებ და რატომ?

**რესურსი 10**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 10-ის საფუძველზე):**

- შენი აზრით, როგორი იქნება მიგრაციის პროცესი ასეთ საზღვრებს გარეშე სამყაროში?
- იარსებებენ თუ არა ამ მოცემულობით ლტოლვილები და დევნილები?

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**
**ქვესაკითხი – ანთროპოგენური ფაქტორებით გამოწვეული სათბურის აირების კონცეტრაცია იწვევს კლიმატის ცვლილებას, რაც აისახება მოსახლეობის ცხოვრების დონეზე:**
- რა გავლენას ახდენს გლობალური კლიმატცვლილება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე?
- როგორ შეიძლება კლიმატური მიგრანტების პრობლემების გადაჭრა?

**ქვესაკითხი – გლობალური კლიმატცვლილების შედეგების შერბილებაში სახელმწიფო გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს მოსახლეობის კეთილდღეობაზე:**
- როგორ უნდა შეიცვალოს მიგრაციის კანონი?
- რა როლს ასრულებს მოსახლეობის უფლებების დაცვაში სახელმწიფო გადაწყვეტილებები?
- როგორაა დაკავშირებული მოსახლეობის უსაფრთხოება და უფლებები?

**კომპლექსური დავალება:**
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაო?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:**
**სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი**
**ქვეცნება** – **ნოოსფერო** – ბუნებრივი კატასტროფები (საფრთხეები)
**ქვესაკითხი** – კლიმატის ცვლილება, სათბურის აირები, წყალდიდობა

**ნაბიჯი 1**

როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება კუნძულ კირიბატის ბუნებრივ გარემოზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1)?**

**აქტივობა 1 – გეოგრაფიული კვლევა:**

მოსწავლეები ასრულენენ სამუშაო რვეულში მოცემულ დავალება 3-სა (გვ. 24) და 4-ს (გვ. 24 ) – პასუხობენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ:
რა ზოგადი კანონზომიერებებით ხასითდება ბუნებრივი კატასტროფები?

**აქტივობა 2 – გეოგრაფიული კვლევა:**

მოსწავლეები ასრულენენ სამუშაო რვეულში მოცემულ დავალება 2-ს (გვ. 28), პასუხობენ თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე მსჯელობენ:

რა მიზეზებმა განაპირობა ბუნებრივი კატასტროფების მასშტაბების ზრდა და რა ფაქტორებით ფასდება ბუნებრივი კატასტროფების შედეგები?

რა გავლენას ახდენს ანთროპოგენური ფაქტორი ბუნებრივი პროცესების განვითარებაზე?

**აქტივობა 3 – ტექსტისა და რუკების ანალიზი:**

მოსწავლეები ნახ. 4.2-ის (მოსწავლის წიგნი, გვ. 78) მიხედვით ეცნობიან ლტოლვილების წარმოშობის მიზეზებს. ადგენენ, რომელი მათგანი წარმოადგენს ისტორიულს და რომელი – თანამედროვეს. პასუხები უნდა დაასაბუთონ მაგალითებით და უპასუხონ კითხვებს:

ა) იმსჯელე, რატომ იზრდება თანამედროვე მსოფლიოში იძულებით მიგრაციაში მყოფი პირების – ლტოლვილების, თავშესაფრის მაძიებლებისა და დევნილების – რაოდენობა?
ბ) რომელ ქვეყნებში ჩნდებიან კლიმატური ლტოლვილები და რატომ?
გ) რატომ დასახლდა ტეიტიოტას ოჯახი ახალ ზელანდიაში? შენი აზრით, რომელ ქვეყნებში იპოვიან თავშესაფარს ამ ბუნებრივი კატასტროფის გამო წარმოქმნილი პოტენციური კლიმატური მიგრანტები?

**სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა**
**ქვეცნება** – მოსახლეობის ცხოვრების დონე
**ქვესაკითხი** – ეკომიგრაცია, კლიმატური ლტოლვილი კანონი მიგრაციის შესახებ

**ნაბიჯი 2**

როგორ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები კირიბატის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2)?**

**აქტივობა 4 – შემთხვევის ანალიზი:**

1. მოსწავლეები მუშაობენ სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტზე, განიხილავენ შემთხვევის ანალიზ 1-ს (გვ. 79), მოსწავლის რვეულში დავალება 1-ს (გვ. 39) და პასუხობენ კითხვას:

   ა) რა შეიძლება ჩაითვალოს ზოგადად იძულებითი მიგრაციისა და კონკრეტულად ტეიტიოტას ოჯახისთვის დადებით მხარედ?

2. შემთხვევის ანალიზი 2-ის (გვ. 87) გაანალიზების შემდეგ მსჯელობენ, რატომაა კლიმატის ცვლილების შედეგები განსაკუთრებით მძიმე მსოფლიოს განვითარებადი ქვეყნებისთვის და რა სოციალური პრობლემები მწვავდება მსოფლიოში კლიმატის ცვლილების გამო?

**აქტივობა 5 – სტატიების ანალიზი:**

გაეცნობიან რესურს 3-ში მოცემულ ვებგვერდებზე სტატიას – „კლიმატის ცვლილება და ჯანმრთელობა" – დაადგენენ, რა გავლენას ახდენს კლიმატის ცვლილება ადამიანის ჯანმრთელობაზე?
შეავსებენ გრაფიკულ ორგანიზატორს:



**აქტივობა 6 – სქემის ანალიზი:**

ნახ. 4.9-ის (სახელმძღვანელო, გვ. 90) მიხედვით დაადგენენ, რომელი რეგიონები გამოირჩევა მიგრაციის „ფემი-ნიზაციით“ და იმსჯელებენ გამომწვევ მიზეზებზე.

მოსწავლეები ჩამოთვლიან, რა სირთულეები შეექმნა ტეიტიოტას ოჯახს, კიდევ რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას იმიგრაციის შედეგად და ავსებენ სქემას.



**სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება**
**ქვეცნება** – საზოგადოება, მოსახლეობის უსაფრთხოება და ცხოვრების დონე
**ქვესაკითხი** – ტეიტიოტას ოჯახის უსაფრთხოება, კლიმატური ლტოლვილი, ადამიანის უფლებები

**ნაბიჯი 3**

როგორ მოქმედებს ქვეყნების მიერ გატარებული მიგრაციული პოლიტიკა კლიმატურ ლტოლვილთა პრობლე-მებსა და მიგრაციულ კრიზისზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 3)?**
როგორ შეიძლება კლიმატური ლტოლვილების პრობლემების მოგვარება **(მდგრადი განვითარება, მ.წ. 1, 2)?**

**აქტივობა 7 – გრაფიკული ორგანიზატორის შექმნა:**

მოსწავლეები მსჯელობენ, თუ რა ღონისძიებების ჩატარება მიაჩნიათ მიზანშეწონილად კლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული სოციალური რისკების შესამცირებლად.
ავსებენ გრაფიკულ ორგანიზატორს:



**აქტივობა 8 – ტექსტსა და გეოგრაფიულ თვალსაჩინოებებზე მუშაობა:**

1. მოსწავლეები ეცნობიან საკითხავ მასალას კომპლექსური დავალებისთვის „ევროპის მიგრაციული კრიზი-სი“ (იხ. რვეული, გვ. 131) და პასუხობენ კითხვებს:
   ა. უნდა შეიცვალოს თუ არა ქვეყნის პოლიტიკა ემიგრანტებისთვის სხვადასხვა კატეგორიის მინიჭების შესახებ და რატომ?
   ბ. რა მიზეზების გამო შეიძლება მოუხდეს ქვეყანას სხვადასხვა საემიგრაციო შეზღუდვის დაწესება?

2. მოსწავლეები ასრულებენ სამუშაო რვეულში მოცემულ დავალება 2-სა (გვ. 40) და 3-ს (გვ. 43) და პასუხობენ კითხვებს:
   ა. რა გამოწვევების წინაშე შეიძლება აღმოჩნდნენ ლტოლვილები უცხო ადგილზე გადასვლისას და ახსენი, როგორ შეიძლება მათი გადაჭრა?
   ბ. გაეროს გარდა კიდევ რომელი საერთაშორისო ორგანიზაციებია ჩართული ლტოლვილებისა და დევნილების პრობლემების მოგვარების პროცესში?
   გ. რომელი სამი ქმედების საშუალებით შეუძლია მას ტეიტიოტას ოჯახისთვის დახმარების გაწევა?

**აქტივობა 9 – მუსიკალური პაუზა:**

ცნობილი ინგლისელი მომღერალი, ანსამბლ „ბითლსის“ სოლისტი ჯონ ლენონი სიმღერაში – „Imagine“ – (რესურსი 10) ამბობს: „წარმოიდგინე, რომ არ არსებებობდეს ქვეყნები და სამყარო ერთიანი იყოს საზღვრების გარეშე“.
შენი აზრით, როგორი იქნება მიგრაციის პროცესი ასეთ საზღვრებს გარეშე სამყაროში და იარსებებენ თუ არა ლტოლვილები და დევნილები?

**აქტივობა 10 – იმიტირებული სასამართლო პროცესი:**

კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დასრულების შემდეგ იმიტირებული სასამართლო პროცესი გაიმართება, სადაც ადვოკატის დაცვის სიტყვა უნდა წარადგინონ. მოსწავლეები აირჩევენ ნაფიც მსაჯულებს, რომელთა შემადგენლობაც პერიოდულად შეიცვლება, რადგან თითოეულ მათგანს აქვს ნამუშევრის წადგენის ვალდე-ბულება. ნაფიცი მსაჯულები განიხილავენ თითოეული ადვოკატის დაცვის სიტყვას, აღნიშნავენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეარჩევენ იმ ადვოკატებს, რომლებმაც ყველაზე მეტად დაარწმუნეს ისინი ტეიტიოტას ოჯახის მოთხოვნების დაკმაყოფილების აუცილებლობაში.

**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად (იხ. რეკომენდაცია, გვ. 34, კითხვები გვ. 33).**

## <u>შემთხვევა (ქეისი) **2**. შემთხვევის ანალიზი</u>

კლიმატური ლტოლვილის სტატუსის მოსაპოვებელი განაცხადის ყველაზე ცნობილი შემთხვევა კუნძულ კირიბა-ტის მოქალაქეს, იოანე ტეიტიოტას უკავშირდება. კლიმატური კრიზისი მძაფრად შეეხო ამ ქვეყანას: ზღვა უტევს და იპყრობს ხმელეთს, რაც იწვევს სასმელი წყლის დეფიციტს, ნიადაგის დეგრადაციასა და ნაყოფიერი ტერიტორიების შემცირებას. ქვეყანაში ხშირია მიწასთან დაკავშირებული კონფლიქტები. 2007 წელს ტეიტიოტა ოჯახთან ერთად ახალ ზელანდიაში გადავიდა საცხოვრებლად.

2010 წელს მან კლიმატური ლტოლვილის სტატუსის მოთხოვნით ახალი ზელანდიის მთავრობას მიმართა, მაგრამ 2013 წელს უკან დააბრუნეს. 2016 წელს ტეიტიოტამ საჩივარი შეიტანა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში.

2020 წელს დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გაეროს ექსპერტებმა გამოაქვეყნეს გადაწყვეტილება საქმეზე „ტეიტიოტა ახალი ზელანდიის წინააღმდეგ“. მასში ნათქვამია, რომ ტეიტიოტას არ ჰქონდა უფლება, ლტოლვილის სტატუსი მიეღო, რადგან მისსა და მისი ოჯახის წევრების სიცოცხლეს იმ დროისთვის საფრთხე არ ემუქრებოდა.

ამ შემთხვევის შემდეგ უფრო თვალსაჩინო გახდა ეკოლოგიური მიგრაციის პრობლემა. გაერომ ახალი სამართ-ლებრივი გადაწყვეტილება აამოქმედა, რომლის მიხედვითაც, ქვეყნებს არ შეუძლია იმ ადამიანების დეპორტაცია,

რომელთა სიცოცხლეს მათ სამშობლოში საფრთხე ემუქრება კლიმატური კრიზისის გამო. გაეროს განმარტებით, ყველა ქვეყანა ვალდებულია ხელი შეუწყოს იმ პირთა ტრანსსასაზღვრო მოძრაობას, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ისეთი უეცარი ბუნებრივი კატასტროფებისგან, როგორებიცაა ძლიერი ქარიშხალი და წყალდიდობა და, ასევე, შედარებით ნელა მიმდინარე პროცესებისგან – ზღვის დონის აწევა, წყლისა და ნიადაგის დამლაშება და მიწის დეგრადაცია.

კომიტეტის წევრებმა, ასევე, ხაზი გაუსვეს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით დაზარალებული ქვეყნების მხარდაჭერას. თუ გადამწყვეტი ნაბიჯები არ გადაიდგმება როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე, მაშინ სახელმწიფოები შესაძლოა წყლის ქვეშ აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში სიცოცხლის საფრთხე აშკარაა და მასპინძელი სახელმწიფოები ვერ შეძლებენ ასეთი ქვეყნებიდან თავშესაფრის მაძიებელთა დეპორტაციას.

**წყარო:** მოსწავლის წიგნი, გვ: 87.

## კომპლექსური დავალება 3

**თემა** – თემა – კლიმატის გლობალური ცვლილება
**საკითხი** – სამხრეთ კორეა – „აზიური ვეფხვის“ მწვანე ეკონომიკა – (მწვანე ეკონომიკა)

**სამიზნე ცნება** – გეოგრაფიული გარსი; **ქვეცნება** – ნოოსფერო – ანთროპოგენური ლანდშაფტები; **ქვესაკითხი**: სამხრეთ კორეის გეოგრაფიული მდებარეობა, სამხრეთ კორეის ბუნებრივი პირობები.

**სამიზნე ცნება** – მოსახლეობა და მეურნეობა; **ქვეცნება** – მეურნეობის სტრუქტურა-მომსახურების დარგები (მეოთხეული და მეხუთეული დარგები); **ქვესაკითხი**: სამხრეთ კორეის ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე სამუშაო ადგილები სახელმწიფო სტრატეგია.

**სამიზნე ცნება** – მდგრადი განვითარება; **ქვეცნება** – საზოგადოება-მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა; **ქვესაკითხი**: გლობალური მწვანე ეკონომიკის ინდექსი, გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი.

**საკვანძო შეკითხვა** – როგორ გადმოვცე ჩემი მოსაზრება კვლევის ანგარიშის საშუალებით სამხრეთ კორეის ეკონომიკურ სასწაულზე ისე, რომ დავაინტერესო საზოგადოება და კოლეგები?

### კომპლექსური დავალების პირობა



ეკონომიკის განვითარების არსებულმა მოდელმა ვერ უზრუნველყო ადამიანებისთვის ჯანსაღი გარემოპირობებისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო პროდუქტის შექმნა. გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) განსაზღვრავს მწვანე ეკონომიკას, როგორც ადამიანის კეთილდღეობისა და სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესების ხელშემწყობ საშუალებას.

მწვანე ეკონომიკის სტიმულირების გზაზე ლიდერია სამხრეთ კორეა, რომელმაც მწვანე ზრდა ეროვნულ სტრატეგიად აღიარა. სამხრეთ კორეის რესპუბლიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც გამოაცხადა მწვანე ზრდის კონცეფციის, როგორც ეროვნული სტრატეგიის განხორციელება. ეს სტრატეგია ფოკუსირებულია სამ ელემენტზე: მრეწველობაზე, ენერგიასა და ინვესტიციაზე.

წარმოიდგინე, რომ გლობალური მმართველობის ინსტიტუტის თანამშრომელი ხარ. შენი მიზანია, გაიცნო და შეისწავლო სამხრეთ კორეის ეკონომიკური განვითარების გზა, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში დაბალი განვითარების აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, დღეს კი მისი სახელი მაღალგანვითარებული ეკონომიკის აღსანიშნავად გამოიყენება. შენი ამოცანაა, კოლეგებს პრესკონფერენციაზე კვლევის შედეგები – „სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაული“ – გააცნო და მწვანე ეკონომიკის უპირატესობაში დაარწმუნო, რადგან იგი ინოვაციური ეკონომიკის ის ნაწილია, რომელშიც

| |
|---|
| გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება მინიმალურია და მიმართულია ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობის ამაღლებისაკენ.<br><br>**კვლევის ანგარიშში ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>• რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები სამხრეთ კორეის „ეკონომიკური სასწაულისა“ და მისი „აზიურ ვეფხვად“ ფორმირების პროცესში **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1, 2 );**<br>• როგორ აისახება მწვანე ეკონომიკის სასწაული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**<br>• როგორ მოქმედებს სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადაწყვეტილებები ქვეყნის განვითარების პროცესზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 3 );**<br>• როგორ განვითარდება მომავალში სამხრეთი კორეა და როგორ შეიცვლება ადამიანთა კეთილდღეობა ეკოლოგიური მოთხოვნების უზრუნველყოფის საფუძველზე და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში. **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2)**. |

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: |
|---|---|---|
| **გეოგრაფიული გარსი**<br><br>1. გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>1. ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>2. მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>3. სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>1. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>2. მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | **გეოგრაფიული გარსი**<br><br>• კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების გავლენის გააზრება ქვეყნის განვითარების პროცესში **(მ. წ. 1, 2).**<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>• რომელიმე ქვეყნის მაგალითის საფუძველზე მწვანე ეკონომიკის როლის შეფასება მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე **(მ. წ. 1, 2);**<br>• ეკონომიკური განვითარების პროცესში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგების გაანალიზება **(მ. წ. 3).**<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>• კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე მწვანე ეკონომიკის როლის გააზრება მდგრადი მსოფლიოს შექმნის პროცესში **(მ. წ. 1, 2).** | • რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაულისა და მისი „აზიურ ვეფხვად“ ფორმირების პროცესში **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1, 2 );**<br>• როგორ აისახება მწვანე ეკონომიკის სასწაული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**<br>• როგორ მოქმედებს სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადაწყვეტილებები ქვეყნის განვითარების პროცესზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 3 );**<br>• როგორ განვითარდება მომავალში სამხრეთი კორეა და როგორ შეიცვლება ადამიანთა კეთილდღეობა ეკოლოგიური მოთხოვნების უზრუნველყოფის საფუძველზე და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).** |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსები/განსახილველი შემთხვევები (ქეისები):**

**სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი**
პარაგრაფი 5 – მწვანე ეკონომიკა:

1. როგორ შევქმნათ კვლევის ანგარიში? https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/tool-2/toolbox-1/
2. პროგრამა – earth.google.com
3. სამხრეთ კორეის „ეკონომიკური სასწაული“ – http://geoeconomics.ge/?p=13343
4. მწვანე ეკონომიკის დილემა – https://greenalt.org/app/uploads/2019/02/Green_Economy_Dilemma_Geo.pdf
5. მწვანე ეკონომიკა და სიღარიბე – https://goo.su/VH67GZ
6. მწვანე და ლურჯი ეკონომიკის კონცეფციები გლობალური დეფიციტის პირობებში – https://goo.su/Tzuii3
7. მწვანე ეკონომიკა: არსი და გამოწვევები – https://goo.su/rpy3
8. მწვანე ეკონომიკა და საქართველო – http://geoeconomics.ge/?p=12751
9. მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და საქართველოს პოზიცია გლობალურ მწვანე ეკონომიკაში – https://goo.su/uGPu

**რესურსი 1**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 1-ის საფუძველზე):**

- როგორ შევქმნათ კვლევის ანგარიში?
- რა უნდა გაითვალისწინოთ კვლევის ანგარიშის მომზადებისას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ კვლევის ანგარიშის მომზადების დროს?

**რესურსი 2**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 2-ის საფუძველზე):**

**პროგრამა – Google Earth – გუგლი დედამიწა – დაგეხმარება, რომ გაეცნო და დაადგინო:**

- სამხრეთ კორეის გეოგრაფიული მდებარეობა;
- სამხრეთ კორეის ბუნებრივი პირობები.

**რესურსი 3 და 4**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 3 და 4-ის საფუძველზე):**

- როგორია სამხრეთ კორეის ეკონომიკური მიღწევები და მაჩვენებლები?
- როგორ აისახება სამხრეთ კორეის განვითარებაზე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია?

**რესურსი 5, 6 და 7**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 5, 6 და 7-ის საფუძველზე):**

- რატომაა მნიშვნელოვანი მწვანე ეკონომიკის კონცეფცია?
- რატომ უნდა აირჩიოს სახელმწიფომ მწვანე ეკონომიკის კონცეფცია?

**რესურსი 8 და 9**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 8-ისა და 9-ის საფუძველზე):**

- რა პოზიცია აქვს საქართველოს მწვანე ეკონომიკაში?
- როგორი ურთიერთობა აქვს საქართველოს სამხრეთ კორეასთან?

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**ქვესაკითხი – გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, გლობალური პრობლემები:**
- რა არის მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და რა როლი შეასრულა სამხრეთ კორეის განვითარების პროცესში?
- რა გავლენას ახდენს სამხრეთ კორეის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ბუნებრივი პირობები ქვეყნის განვითარებაზე?

**ქვესაკითხი – ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე სამუშაო ადგილები, სახელმწიფო სტრატეგია:**

- როგორი აისახება მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?
- როგორი გავლენა მოახდინა მწვანე ეკონომიკაზე გადასვლამ მოსახლეობის საქმიანობაზე?

**ქვესაკითხები: გლობალური „მწვანე“ ეკონომიკის ინდექსი, გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი:**

- როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ სამხრეთ კორეის მოსახლეობის მდგრადი მომავალი?

**კომპლექსური დავალება:**
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაო?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:**
**საამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი**
**ქვეცნება** – ნოოსფერო/ ანთროპოგენური ლანდშაფტები
**ქვესაკითხი** – სამხრეთ კორეის გეოგრაფიული მდებარეობა, სამხრეთ კორეის ბუნებრივი პირობები

**ნაბიჯი 1**

რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაულისა და მისი „აზიურ ვეფხვად“ ფორმირების პროცესში **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1, 2 ).**

**აქტივობა 1 – რუკაზე მუშაობა:**

პროგრამა – earth.google.com-ის საშუალებით დაადგინე:
- სამხრეთ კორეის გეოგრაფიული მდებარეობა;
- სამხრეთ კორეის მოსაზღვრე ქვეყნები;
- სამხრეთ კორეის ბუნებრივი პირობები.

**აქტივობა 2 – სტატიის განხილვა:**

გაეცანი სტატიას (რესურსი 3) და დაადგინე:
- განვითარების რა გზა გაიარა სამხრეთ კორეამ?
- როგორ იქცა სამხრეთიკორეა განვითარებადი ქვეყნიდან განვითარებულ სახელმწიფოდ?
- როგორია სამხრეთ კორეის ეკონომიკური მიღწევები და მაჩვენებლები?
- რომელმა ფაქტორებმა განაპირობა სამხრეთი კორეის „აზიურ ვეფხვად“ ფორმირება?

**საამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა**
**ქვეცნება** – მეურნეობის სტრუქტურა, მეოთხეული და მეხუთეული დარგები
**ქვესაკითხი** – ეკონომიკა, ცირკულარული ეკონომიკა, მწვანე სამუშაო ადგილები, სახელმწიფო სტრატეგია

**ნაბიჯი 2**

როგორ აისახება მწვანე ეკონომიკის სასწაული მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**
როგორ მოქმედებს სახელმწიფოსა და მოსახლეობის გადაწყვეტილებები ქვეყნის განვითარების პროცესზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 3 ).**

**აქტივობა 3 – კითხვებზე პასუხი:**

შეასრულე სამუშაო რვეულში დავალება 1, 2 და 3 (გვ. 45) და უპასუხე კითხვას:
- რა წინაპირობები არსებობდა მწვანე ეკონომიკის შექმნამდე?
- რას მოიცავს მწვანე ეკონომიკა?
- სურ. 5.7-ის (გვ. 102) მიხედვით შეადარე ერთმანეთს სწორხაზოვანი და წრიული (ცირკულარული) ეკონომიკის მოდელები და იმსჯელე, თუ რატომაა მნიშვნელოვანი სწორხაზოვანი ეკონომიკიდან წრიულზე გადასვლა?

**აქტივობა 4 – შემთხვევის ანალიზის განხილვა – დილემის ამოხსნა:**

იმისათვის, რომ გადაჭრა დილემა – რომელ „მწვანე“ თუ „ლურჯ“ ეკონომიკას ანიჭებ უპირატესობას და რატომ – გაეცანი რესურს 6-სა და სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზ 2-ს (გვ.106), უპასუხე თანდართულ კითხვებს.

შეავსე სქემა და იმსჯელე დილემაზე: როგორ ფიქრობ, რომელი „მწვანე“ თუ „ლურჯი“ ეკონომიკის დაწინაურებაა მდგრადი განვითარების ახალი კონცეფცია?

| ლურჯი ეკონომიკა | მწვანე ეკონომიკა |
|---|---|
| | |

**აქტივობა 4 – შემთხვევის ანალიზის განხილვა:**

გაეცანი რესურს 4-ს, სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტსა და შემთხვევის ანალიზ 4-ს (გვ.114), უპასუხე თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე ახსენი:

- მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი და ეფექტური ქმედება, რომელმაც სამხრეთ კორეის ეკონომიკური სასწაული განაპირობა?

**აქტივობა 5 – კითხვებზე პასუხი:**

გაეცანი რესურს 5-ს, შეასრულე სამუშაო რვეულში დავალება 5 (გვ. 46) და ახსენი:

- როგორი აისახება მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?
- როგორ გავლენას მოახდენს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა მოსახლეობის საქმიანობაზე?

**სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება**
**ქვეცნება** – მოსახლეობის უსაფრთხოება და კეთილდღეობა;
**ქვესაკითხი** – გლობალური „მწვანე" ეკონომიკის ინდექსი, გარემოსდაცვითი ეფექტიანობის ინდექსი.

**ნაბიჯი 3**

როგორ განვითარდება მომავალში სამხრეთი კორეა, როგორ შეიცვლება ადამიანთა კეთილდღეობა ეკოლოგიური მოთხოვნების უზრუნველყოფის საფუძველზე და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

**აქტივობა 6 – კითხვებზე პასუხი და საქემაზე მუშაობა:**

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში, განიხილავენ რესურსებს 7, 8 და 9-ს, მსჯელობენ და პასუხობენ კითხვებს:

- რამ განაპირობა მსოფლიო მეურნეობის ეკოლოგიზაცია და რა ცვლილებები მოხდა მსოფლიო მეურნეობის სტრუქტურაში მისი ზეგავლენით?
- როგორ მოქმედებს ეკოლოგიურად საფრთხის შემცველი საწარმოს მშენებლობა ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობებზე?
- ეთანხმები თუ არა მოსაზრებას, რომ „მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების საფუძველი და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ქვაკუთხედია" – პასუხი დაასაბუთე.

მოსწავლის სამუშაო რვეულში ასრულებენ დავალება 4-ს (გვ. 46), ავსებენ სქემას და მსჯელობენ:

- რამდენად მყარი არგუმენტები აქვთ მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა გუნდის წევრებს?
- შეიძლება თუ არა მწვანე ეკონომიკის განვითარება ახალ (ე.წ. „მწვანე") ინდუსტრიულ რევოლუციად ჩაითვალოს?

- გაეცანი ვებგვერდზე – https://goo.su/k4EtY35 – მდგრადი განვითარების მიზნებს და დაადგინე, რომელ მათ-განს უკავშირდება „მწვანე“ ეკონომიკა?
- ახსენი ეთანხმები თუ არა ექსპერტების მოსაზრებას, რომ „მწვანე ეკონომიკამ შეცვალა ეკონომიკური პოლიტიკა, რათა ხელი შეეწყო დადებითი გარემოსა და სოციალური პირობების შექმნისთვის“. მოიყვანე შენი მოსაზრების დამამტკიცებელი არგუმენტები.

**აქტივობა 7 – იდეების ბორბალი:**

მოსწავლეები ჯგუფში შეთანხმდებიან, თუ როგორ დაარწმუნებენ დაინტერესებულ პირებს მწვანე ეკონომიკის უპირატესობაში – ახსნიან, რატომ.

- როგორ ვითარდება მწვანე ეკონომიკა საქართველოში?
- რა ნაბიჯებია გადადგმული?

დაგეგმონ, სამხრეთ კორეის მაგალითის გამოყენებით რა შეიძლება გაკეთდეს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში.
იდეებს განათავსებენ იდეების ბორბალშზე (იხ. სქემის ნიმუში).



**აქტივობა 8 – როლური თამაში – კონფერენცია:**

მოსწავლეები კომპლექსურ დავალებებს წარადგენენ კონფერენციაზე. კლასის მიერ შერჩეული ექსპერტები შეაფასებენ, რამდენად არგუმენტირებულად და დამაჯერებლად გამოვიდა მომხსენებელი და რეკომენდაციებს მისცემენ.
ექსპერტთა ჯგუფები იცვლება საჭიროებიდან გამომდინარე. მოსწავლე, რომელიც წარადგენს კვლევის ანგარიშს, ავტომატურად იხსნება ექსპერტთა ჯგუფიდან.

**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად (იხ. რეკომენდაცია, გვ. 34, კითხვები გვ. 33).**

**შემთხვევა (ქეისი) 3. შემთხვევის ანალიზი**

სამხრეთი კორეა პირველი სახელმწიფოა, რომელმაც „მწვანე“ ეკონომიკის იდეა ისე მიიღო, როგორც ეროვნული სტრატეგია. კორეა ომის შემდგომ დანგრეული ღარიბი ქვეყნიდან მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვანი და ძლიერი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, მაგრამ ინდუსტრიული განვითარებისა და ურბანიზაციის მაღალმა მაჩვენებლებმა სათბურის აირების ემისიების ინტენსიური ზრდა და ბიოსფეროს დაბინძურება გამოიწვია.

XIX საუკუნის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ ძველი სტრატეგიები, რომლებმაც ქვეყანის წარმატება განაპირობა, აღარ მუშაობდა. ამიტომ 2008 წელს მთავრობამ დაბალი ნახშირბადის მწვანე ზრდის (Low Carbon Green Growth) სტრატეგია შემოიღო. მას შემდეგ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის, დაახლოებით, 2% მწვანე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების პროექტებზე მოდის. აქცენტები კეთდება მწვანე ენერგიაზე, ტრანსპორტის მწვანე სახეებზე, ნარჩენების გადამუშავების მწვანეტექნოლოგიებსა და გარემოსდაცვით კვლევებზე.

2010 წლის ივნისში, სეულში, განვითარებადი ქვეყნების დახმარებისა და კონსულტაციების გაწევის მიზნით სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – გლობალური მწვანე ზრდის ინსტიტუტი (I) – ამოქმედდა. ინსტიტუტი 27 ქვეყანას აერთიანებს და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციისა და ინსტიტუტის პარტნიორია. მისი წყალობით, 2017 წელს ამ ქვეყნებში მწვანე ეკონომიკის განვითარებაში ჩადებულმა ინვესტიციებმა 524,6 მლნ დოლარი შეადგინა.

2011 წლიდან კორეაში მოქმედებს მწვანე გადახდის ბარათების უნიკალური სისტემა. ორგანული პროდუქტების (ეკოპროდუქტების) შეძენით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობითა და, თუნდაც, ქაღალდის ფულზე უბრალოდ უარის თქმით, კორეელები აგროვებენ ქულებს, რომლებიც შემდეგ შეიძლება დახარჯონ კომუნალურ გადასახადებზე ან ქველმოქმედებას მოახმარონ. ეს პროგრამა სამხრეთ კორეის იმ გეგმის ნაწილია, რომელიც 2020 წლისთვის სათბურის გაზების ემისიების 30%-ით შემცირებას ისახავდა მიზნად.

გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის (UNFCCC) თანახმად, 2016 წლის დეკემბრისთვის სამხრეთ კორეაში გაცემული მწვანე ბარათების რაოდენობამ 15 მილიონს გადააჭარბა, რაც ქვეყნის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 55%-ს უტოლდება.

**წყარო:** მოსწავლის წიგნი, გვ: 114.

# II თავი

| კლასი:<br>თემის სახელწოდება:<br><br>ძირითადი რესურსი: | XI<br>გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები<br><br>სახელმძღვანელო | | |
|---|---|---|---|
| **სამიზნე ცნება** | **საკითხი 1**<br>კულტურული გლობალიზაცია - თურქეთი - ოსმალეთის იმპერიიდან გლობალურ ქვეყნამდე. | **საკითხი 2**<br>კონფლიქტები, რესურსული ომები, ტერორიზმი- რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი. | **საკითხი 3**<br>უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა - მშვიდობის პარკი საქართველოში – სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მოგვარების მდგრადი გზა. |
| **გეოგრაფიული გარსი** | **ქვესაკითხი:**<br>თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა, თურქეთის ბუნებრივი პირობები.<br><br>**ქვეცნება:**<br>ნოოსფერო – ანთროპოგენური ლანდშაფტები. | **ქვესაკითხი:**<br>რუსეთისა და უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა, რესურსები, ლანდშაფტის დეგრადირება.<br><br>**ქვეცნება:**<br>ნოოსფერო – ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეები. | **ქვესაკითხი:**<br>„მწვანე სარტყელი“, მშვიდობის პარკი.<br><br>**ქვეცნება:** ნოოსფერო – დაცული ტერიტორიები. |
| **მოსახლეობა და მეურნეობა** | **ქვესაკითხი:** თურქეთის კულტურა, სოციალური გლობალიზაცია, თუერქეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე.<br><br>**ქვეცნება:**<br>მოსახლეობის სტრუქტურა – მოსახლეობის ცხოვრების დონე. | **ქვესაკითხი:** რუსეთისა და უკრაინის მოსახლეობის მოკვდავობა, შობადობა, უმუშევრობა, მიგრაცია.<br><br>**ქვეცნება:**<br>მოსახლეობის სტრუქტურა – დემოგრაფიული და სოციალური პრობლემები. | **ქვესაკითხი:** მშვიდობის ინდექსი, მოსახლეობის საქმიანობა, განიარაღება, მილიტარიზაცია.<br><br>**ქვეცნება:**<br>მოსახლეობის სტრუქტურა – მოსახლეობის ცხოვრების დონე. |
| **მდგრადი განვითარება** | **ქვესაკითხი:** თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება.<br><br>**ქვეცნება:**<br>საზოგადოება – მოსახლეობის კეთილდღეობა. | **ქვესაკითხი:** რუსეთისა და უკრაინის გარემოს დაბინძურება, დაავადებების გავრცელება, ჯანდაცვა, შიმშილი.<br><br>**ქვეცნება:**<br>გარემო – გარემოსდაცვითი პრობლემები. | **ქვესაკითხი:**<br>გეოპოლიტიკური პრობლემები, დელიმიტარიზებული ზონა.<br><br>**ქვეცნება:**<br>საზოგადოება – მოსახლეობის უსაფრთხოება და ცხოვრების დონე. |

| კომპლექსური დავალება | კომპლექსური დავალება 1<br>ლეპბუკის მომზადება თურქეთის სახელმწიფოს განვითარებაში გლობალიზაციის პროცესის როლსა და მნიშვნელობაზე. | კომპლექსური დავალება 2<br>სატელევიზიო გადაცემის სცენარის შექმნა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტისა და სავარაუდო შედეგების შესახებ. | კომპლექსური დავალება 3<br>მშვიდობის პარკის პროექტის მომზადება სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის მოგვარებისა და გარემოსდაცვის მიზნით. |
|---|---|---|---|
| რესურსები კომპლექსური დავალების შესასრულებლად | სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი. პარაგრაფი 11.<br>კულტურული გლობალიზაცია. | სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი. პარაგრაფი 13.<br>კონფლიქტები, რესურსული ომები, ტერორიზმი. | სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი. პარაგრაფი 14.<br>უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა. |

**თემასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები:**

- გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენს გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის განვითარებაზე;
- კონფლიქტები უკავშირდება გეოგრაფიულ მდებარეობასა და რესურსებს, რაც ნოოსფეროს ცვლილებას იწვევს;
- ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორისო მშვიდობიან თანაცხოვრებაში;
- ანთროპოგენური ფაქტორები გავლენას ახდენს ბუნებრივ პროცესებზე;
- გლობალური პოლიტიკური პროცესები განაპირობებს მოსახლეობის სოციალურ-კულტურული გლობალიზაციის პროცესს;
- კულტურული გლობალიზაცია მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ხარისხზე აისახება;
- გლობალიზაცია კულტურაში განაპირობებს გლობალური საზოგადოების ფორმირებას;
- კონფლიქტში მონაწილე მოსახლეობის ცხოვრება იცვლება, რაც მის დინამიკასა და ცხოვრების წესზე აისახება;
- ბუნებრივი პირობები გავლენას ახდენს ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და უსაფრთხოებაზე;
- სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა;
- ქვეყნის ბუნებრივი პირობებისა და მოსახლეობის ურთიერთქმედება დამოკიდებულია მოსახლეობის ცნობიერების დონეზე;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კულტურული გლობალიზაციის პროცესში;
- კონფლიქტები ქმნის გარემოსდაცვით პრობლემებს, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ცხოვრების ხარისხზე, ასევე, გარემოს მდგრადობაზე აისახება;
- გლობალური გეოპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა.

# კომპლექსური დავალება 1

**თემა** – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
**საკითხი** – თურქეთი – ოსმალეთის იმპერიიდან გლობალურ ქვეყნამდე (კულტურული გლობალიზაცია)

**სამიზნე ცნება** – გეოგრაფიული გარსი; **ქვეცნება** – ნოოსფერო – ანთროპოგენური ლანდშაფტები;
**ქვესაკითხი**: თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა, თურქეთის ბუნებრივი პირობები.

**სამიზნე ცნება** – მოსახლეობა და მეურნეობა; **ქვეცნება** – მოსახლეობის სტრუქტურა – მოსახლეობის ცხოვრების დონე; **ქვესაკითხი:** თურქეთის კულტურა, სოციალური გლობალიზაცია, თურქეთის მოსახლეობის ცხოვრების დონე.

**სამიზნე ცნება** – მდგრადი განვითარება; **ქვეცნება** – საზოგადოება – მოსახლეობის კეთილდღეობა;
**ქვესაკითხი**: თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება.

**საკვანძო შეკითხვა** – როგორ გადმოვცე ჩემი მოსაზრება ლეპბუკის საშუალებით თურქეთის განვითარებაზე გლობალიზაციის გავლენის შესახებ ისე, რომ დავაინტერესო საზოგადოება და მედია?

## კომპლექსური დავალების პირობა



თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესთან, უფრო კონკრეტულად კი მის შედეგებსა და ზეგავლენასთან დაკავშირებით, ერთიანი აზრი არ არსებობს. გლობალიზაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები, რომლებიც მაგალითებზე დაყრდნობით აანალიზებენ პროცესს და გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობენ. გლობალიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ან, პირიქით, უარყოფითი გავლენა მოახდინოს თითოეული ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე.

გლობალიზაციის პროცესები განაპირობებს ადამიანთა ცხოვრების რეალური დონის ამაღლებას, წარმოების შესაძლებლობების გაზრდას, წარმოებული საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებას, ასევე, ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

წარმოიდგინე, რომ კულტურული მრავალფეროვნების ინსტიტუტის თანამშრომელი ხარ. შენი მიზანია გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის საკითხების შესახებ თურქეთის მოსახლეობისა და მედიის ყურადღების მიპყრობა.

შექმენი ლეპბუკი, რომელიც გადმოსცემს შენს პირად დამოკიდებულებას/მოსაზრებას თურქეთის სახელმწიფოს განვითარებაში გლობალიზაციის პროცესის როლსა და მნიშვნელობაზე. ლეპბუკში ასახე, რომელ მიდგომას უჭერ მხარს: გლობალიზაციას თუ დეგლობალზიაციას?

**ლეპბუკში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები თურქეთის ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის, როგორც გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**

- როგორ აისახება გლობალიზაციის პროცესი თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**
- როგორ განვითარდება გლობალიზაციის პროცესი თურქეთში და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: |
|---|---|---|
| **გეოგრაფიული გარსი**<br>**1.** გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>1. ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>2. მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>3. სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>1. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>2. მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | **გეოგრაფიული გარსი**<br><br>• კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების გავლენის გააზრება გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში **(მ. წ. 1, 2).**<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>• რომელიმე ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით გლობალიზაციის პროცესის შედეგების შეფასება მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების პროცესში **(მ. წ. 1, 2);**<br>• გლობალიზაციის პროცესში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგების გაანალიზება **(მ. წ. 3).**<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>• კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე გლობალიზაციის მნიშვნელობის გაანალიზება მდგრადი მსოფლიოს შექმნის პროცესში **(მ. წ. 1, 2).** | • რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები თურქეთის ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის, როგორც გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**<br>• როგორ აისახება გლობალიზაციის პროცესი, თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**<br>• როგორ განვითარდება მომავალში გლობალიზაციის პროცესი თურქეთში და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).** |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსები/განსახილველი შემთხვევები (ქეისები):**

1. სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი, პარაგრაფი 11 – კულტურული გლობალიზაცია
2. როგორ შევქმნათ ლეპბუკი – http://mastsavlebeli.ge/?p=34888
3. პროგრამა – earth.google.com
4. თურქეთი – გლობალიზაცია – https://www.theglobaleconomy.com/Turkey/kof_overall_glob/
5. სანდრო ბაკურაძე – ურბანიზაცია და შეცვლილი თურქული საზოგადოება – https://goo.su/94ra9
6. ვიდეო – 42˚ პარალელი – თურქული ეჭვი გარესამყაროს მიმართ – სევრის სინდრომი /ტრამპის ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი – https://www.youtube.com/watch?v=LWrcdYTz-Wk&t=885s
7. ზურაბ დავითაშვილი – გლობალიზაცია და კულტურა – https://gfsis.org.ge/files/my-world/19/3.pdf

**რესურსი 1**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 1-ის საფუძველზე):**

- როგორ შევქმნათ ლეპბუკი?
- რა უნდა გაითვალისწინოთ ბლოგის მომზადებისას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ ლეპბუკის მომზადების დროს?

**რესურსი 2**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 2-ის საფუძველზე):**

**პროგრამა –** Google Earth **– გუგლი დედამიწა – დაგეხმარებათ გაეცნო და დაადგინო:**

- თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა
- თურქეთის ბუნებრივი პირობები

**რესურსი 3**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 3-ის საფუძველზე):**

- როგორია თურქეთის გლობალიზაციის მაჩვენებლები?
- როგორ აისახება გლობალიზაცია კულტურაში და როგორ ფორმირდება გლობალური საზოგადოება?

**რესურსი 4**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 4-ის საფუძველზე):**

- რა გავლენას ახდენს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე გლობალიზაცია და საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროებშია ყველაზე საკამათო გლობალიზაციის პროცესი?
- რა არის კულტურული გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალა?

**რესურსი 5 – ვიდეორგოლი**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 5-ის საფუძველზე):**

**მოცემული ვიდეორგოლის განხილვა დაგეხმარება, რომ გაეცნო:**

რა გავლენას ახდენს კულტურული გლობალიზაცია გლობალიზაციის დანარჩენ სახეებზე?
**რესურსი 6**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 6 – ის საფუძველზე):**

- არის თუ არა კულტურული განსხვავებულობა თავისი არსით ღირებული წინაპირობა?
- რაში და როგორ ვლინდება თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნება?

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**ქვესაკითხი – გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, გლობალური პრობლემები**

- რა არის გლობალიზაცია და რა როლს ასრულებს თანამედროვე მსოფლიოში?
- რა გავლენას ახდენს თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა გლობალიზაციის პროცესში მის განვითარებაზე?

**ქვესაკითხი – კულტურა, სოციალური გლობალიზაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონე**

- როგორ აისახება გლობალიზაციის პროცესი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?
- როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ მოსახლეობის უსაფრთხოება?

**ქვესაკითხები: კულტურა, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება**

- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები აქვს კულტურულ გლობალიზაციას?
- რომელი შედეგებია ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?

**კომპლექსური დავალება:**

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაო?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:**
**სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი**
**ქვეცნება** – ნოოსფერო, ანთროპოგენური ლანდშაფტები
**ქვესაკითხი** – თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა, თურქეთის ბუნებრივი პირობები, გლობალური პრობლემები

**ნაბიჯი 1**

რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები თურქეთის ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის, როგორც გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში **(გეოგრაფიული გარსი, მ.წ.1, 2)?**

**აქტივობა 1 – რუკაზე მუშაობა:**

პროგრამა earth.google.com-ის საშუალებით დაადგინე:

- თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა;
- თურქეთის მოსაზღვრე ქვეყნები;
- თურქეთის ბუნებრივი პირობები: მნიშვნელოვანი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ობიექტები, კლიმატური მდგომარეობა და ბუნებრივი ზონები.

**აქტივობა 2 – გრაფიკული ორგანიზატორის შექმნა – რეიტინგული სკალა:**

მოსწავლეები პასუხობენ კითხვებს და მუშაობენ გრაფიკულ ორგანიზატორზე.

1. შენი სიტყვებით განმარტე გლობალიზაცია.
2. ჩამოთვალე გლობალიზაციის სახეები და ახსენი, რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?
3. შეავსე რეიტინგული სკალა. ჩაწერე შენ მიერ ჩამოთვლილი გლობალური პრობლემები მნიშვნელობის მიხედვით:

4. რა ურთიერთკავშირია გლობალიზაციის სახეებს შორის და როგორ არის გამოხატული გლობალიზაციის ფორმები თურქეთის განვითარების პროცესში?

**სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა**
**ქვეცნება** – მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი
**ქვესაკითხი** – კულტურა, სოციალური გლობალიზაცია, მოსახლეობის ცხოვრების დონე

**ნაბიჯი 2**
როგორ აისახება გლობალიზაციის პროცესი თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2)?**

**აქტივობა 3 – მცირე დისკუსია:**

ბევრი სოციოლოგი და კულტუროლოგი თვლის, რომ კულტურა აღარ აღიქმება მხოლოდ წინაპრებისგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდნის სისტემად. ისინი მას ისე განიხილავენ, როგორც იდეების, ატრიბუტებისა და მოლოდინების ერთობლიობას, რომელიც მაშინ იცვლება, როცა ადამიანები ცვალებად გარემოებებზე რეაგირებენ.

**სადისკუსიო კითხვა:** ეთანხმები თუ არა ექსპერტების მოსაზრებას? პასუხი დაასაბუთე.

**დამატებითი კითხვა:** როგორ ფიქრობ, არის თუ არა სოციალური გლობალიზაცია აზროვნების ახალი მიმდინარეობების განვითარება, ცხოვრების ახალი ფორმებისა და სტანდარტების აღმოჩენა?

**აქტივობა 4 – გეოგრაფიული კვლევა:**

შეასრულე სამუშაო რვეულში დავალება 5, გეოგრაფიული კვლევა 2 (გვ. 93) და დაადგინე თურქეთის გლობალიზაციის მაჩვენებლები.

**კითხვა:**
რა გავლენას ახდენს სოციალური გლობალიზაცია გლობალიზაციის დანარჩენ სახეებზე?

**აქტივობა 5 – კითხვებზე პასუხი:**

1. გაეცანი სახელმძღვანელოში ნახ.11.2 (გვ. 259)-ზე მოცემულ კულტურათა ურთიერთქმედების პროცესის შედეგებს და შეეცადე შენი სიტყვებით განმარტო, რას უნდა ნიშნავდეს თითოეული მათგანი. მოიყვანე შენთვის ნაცნობი მაგალითები თითოეული შედეგისთვის.
2. როგორ ფიქრობ, კულტურათა ურთიერთქმედების პროცესის შედეგებიდან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?
3. ახსენი, როგორ აისახება გლობალიზაცია კულტურაში და როგორ ხდება გლობალური საზოგადოების ფორმირება.

**აქტივობა 6 – შემთხვევის ანალიზის განხილვა:**

გაეცანი სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზ 1-ს (გვ. 264), უპასუხე თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე ახსენი:

ა. რა გავლენას ახდენს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე გლობალიზაცია?
ბ. საზოგადოებრივი ცხოვრების რომელ სფეროებშია ყველაზე საკამათო გლობალიზაციის პროცესი? რატომ ფიქრობ ასე?

**აქტივობა 7 – ტექსტის ანალიზი QAR მეთოდით:**

შეასრულე სამუშაო რვეულში დავალება 3 (გვ. 96). ტექსტის ანალიზისთვის გამოიყენე QAR მეთოდი და შეავსე ცხრილი.
QAR მეთოდის ცხრილი:

| | |
|---|---|
| **სწორედ მანდ ან უშუალოდ ტექსტში**<br>განმარტება:<br>1. რომელია ის ოთხი კულტურა, რომელსაც დიდ ცივილიზაციებს უწოდებენ? მსოფლიოს კონტურულ რუკაზე მონიშნე ამ 4 ცივილიზაციის გავრცელების არეალი.<br>2. რომელმა ქვეყნებმა მიიღეს და გაითავისეს ნებაყოფლობით დასავლური კულტურა?<br>3. ტექსტში იპოვეთ სიტყვები, რომლებიც ადასტურებს ამერიკული კულტურის წამყვან როლს დღევანდელ ეტაპზე. რამდენად ობიექტურია ეს, თქვენი აზრით? | **ავტორი და შენ**<br>**განმარტება:**<br>1. როგორ იმოქმედა ინდუსტრიულმა რევოლუციამ უძველესი ცივილიზაციების კულტურაზე?<br>2. რომელ საზოგადოებებს მოიხსენიებს ავტორი „მარგინალურ სამყაროდ“? |
| **იფიქრე და მოძებნე**<br>განმარტება:<br>1. როგორ ფიქრობ, რატომ გავრცელდა დასავლეთ ევროპის კულტურა მთელ მსოფლიოში?<br>2. როგორ ფიქრობ, რამ შეიძლება გამოიწვიოს კულტურაში დომინანტური ტენდენცია ერთგვაროვნებისაკენ – შენ თვითონ (დამოუკიდებლად) | განმარტება:<br>1. რა გაიგე ამ ტესტიდან მსოფლიოს სხვადასხვა კულტურის ურთიერთქმედების შესახებ?<br>2. შენი აზრით, იწვევს თუ არა კულტურული გლობალიზაცია თითოეული კულტურის იდენტობის თანდათანობით ეროზიასა და მათ გაერთიანებას? |

**სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება**
**ქვეცნება** – მოსახლეობის კეთილდღეობა
**ქვესაკითხი** – კულტურა, მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება

**ნაბიჯი 3**

როგორ განვითარდება გლობალიზაციის პროცესი თურქეთში და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში (**მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2)?**

**აქტივობა 8 – კითხვებზე პასუხი და სქემაზე მუშაობა:**

მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში. მათ უნდა უპასუხონ კითხვებს:

1. შენი აზრით, რა არის კულტურული გლობალიზაციის მამოძრავებელი ძალა? როგორ ფიქრობ, არის თუ არა კულტურული განსხვავებულობა თავისი არსით ღირებული წინაპირობა? რაში და როგორ ვლინდება თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნება?
2. თუ მსოფლიოს ქვეყნები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაშინ რატომ ვსაუბრობთ მსოფლიოს ერთიანობაზე?
3. გაიხსენე, იყო თუ არა კაცობრიობის ისტორიაში ისეთი მომენტები, როცა ერთიანი, ზენაციონალური კულტურა ჩამოყალიბდა და გავრცელდა? როგორ გესმის თანამედროვე სამყაროს სლოგანი „ერთობა მრავალფეროვნებაშია“?
4. ახსენი, რა როლს ასრულებს კულტურული გლობალიზაციის პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები?
5. იმსჯელე, რა დადებითი და უარყოფითი შედეგები აქვს კულტურულ გლობალიზაციას და შეავსე კონცეფტუალური სქემა.

(იხ. სქემის ნიმუშები)




6. მათ შორის რომელ შედეგებს მიიჩნევ ყველაზე მნიშვნელოვნად და რატომ?

**აქტივობა 9 – იდეების ბორბალი:**

მოსწავლეები ჯგუფში შეთანხმდებიან, თუ როგორ აუმაღლებენ მოსახლეობას ცნობიერებას და, გეოგრაფიული პერსპექტივიდან გამომდინარე აუხსნიან, რომ გლობალიზაციის პროცესი თურქეთის ინტერესებშია? მოიყვანენ არგუმენტებს.
იდეებს განათავსებენ იდეების ბორბალზე ( იხ. სქემის ნიმუშები).



**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად (იხ. რეკომენდაცია, გვ. 34, კითხვები გვ. 33).**

**შემთხვევა (ქეისი) 4. შემთხვევის ანალიზი**

თურქეთის კულტურა მრავალფეროვნებით გამოირჩევა და აზიის სხვადასხვა რეგიონის, ასევე ევროპულ და კავკასიურ ელემენტებს აერთიანებს. იგი უმეტესად ოსმალურ იმპერიაში ჩამოყალიბდა, სადაც სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მოსახლეობა ცხოვრობდა.

XX-XXI საუკუნეების განმავლობაში თურქეთის კულტურა მნიშვნელოვნად შეიცვალა. ოსმალური სისტემის მიხედვით, ეთნიკური ჯგუფები ცალ-ცალკე ვითარდებოდა და მათი კულტურული შერწყმა უმეტესად არ ხდებოდა. იმპერიის დაშლისა და თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ დადგინდა უნიტარული პოლიტიკა, რომლის დროსაც ახალი ტრადიციებისა და ეროვნული თვითშეგნების შექმნის მიზნით განსხვავებული კულტურები ერთ-მანეთს ძალით შეერწყა, რის შედეგადაც ქვეყანაში უდიდესი კულტურული მრავალფეროვნება წარმოიქმნა. ახალი პოლიტიკა, ასევე, ითვალისწინებდა თურქეთის ყველა ასპექტის - საზოგადოების, ეკონომიკის, განათლების, მოდის, კულტურის – ვესტერნიზაციას მოდერნიზაციის მიზნით, რაც ათათურქის მმართველობის დროს მოხდა. შედეგად დღეს თურქეთი ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე და განვითარებული მუსლიმური ქვეყანაა.



**წყარო:** მოსწავლის წიგნი, გვ. 264.

# კომპლექსური დავალება 2

**თემა** – თემა – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
**საკითხი** – კონფლიქტები, რესურსული ომები, ტერორიზმი – რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი

**სამიზნე ცნება** – გეოგრაფიული გარსი; **ქვეცნება** – ნოოსფერო – ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეები; **ქვესაკითხი**: რუსეთისა და უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა, რესურსები, ლანდშაფტის დეგრადირება.

**სამიზნე ცნება** – მოსახლეობა და მეურნეობა; **ქვეცნება** – მოსახლეობის სტრუქტურა-დემოგრაფიული და სოციალური პრობლემები; **ქვესაკითხი**: რუსეთისა და უკრაინის მოსახლეობის მოკვდავობა, შობადობა, უმუშევრობა, მიგრაცია.

**სამიზნე ცნება** – მდგრადი განვითარება; **ქვეცნება** – გარემო-გარემოსდაცვითი პრობლემები; **ქვესაკითხი**: რუსეთისა და უკრაინის გარემოს დაბინძურება, დაავადებების გავრცელება, ჯანდაცვა, შიმშილი.

**საკვანძო შეკითხვა** – როგორ გადმოვცე ჩემი მოსაზრება სცენარის საშუალებით რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შესახებ ისე, რომ დავაინტერესო საზოგადოება?

## კომპლექსური დავალების პირობა




უკრაინული და რუსული დაპირისპირება მრავალ წელს ითვლის. რუსი ნაციონალისტები, ძირითადად, უკრაინას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, უკრაინელ ხალხს კი – ცალკე ერად არც განიხილავენ. ჯერ კიდევ კიევის რუსეთიდან მოყოლებული, უკრაინასა და რუსეთს ბევრი ტრაგედია თუ ტრიუმფი ერთად გაუზიარებია. ამ ორი ერის ისტორია მართლაც გადაჯაჭვულია ერთმანეთთან, თუმცა, რუსი ნაციონალისტები უკრაინის დამოუკიდებლობის იდეას უარყოფენ. დღეს კი ამგვარი დისკუსიის თანამონაწილე რუსეთის ხელისუფლებაცაა, რომლის წარმომადგენლებიც უკრაინის დამოუკიდებლობას ოფიციალურ განცხადებებშიც კი ეჭვქვეშ აყენებენ. თუმცა, გარდა ისტორიოგრაფიული დებატებისა, ბოლო წლებში რუსეთის ხელისუფლება აქტიურად მანიპულირებს უკრაინის უახლესი ისტორიით იმისათვის, რომ უკრაინელ ხალხში უთანხმოება და დაპირისპირება გააღვივოს.

წარმოიდგინე, რომ კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (ICCN) თანამშრომელი ხარ. შენი მიზანია მოსახლეობას გააცნობიერებინო, რომ კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო გზა მისი გაანალიზება და თანამშრომლობაა.

ამისათვის შეისწავლე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, შეარჩიე ექსპერტ-კონფლიქტოლოგები და მოამზადე სატელევიზიო გადაცემის სცენარი, სადაც განიხილავთ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს რეგიონულ და გლობალურ ჭრილში.

**გადაცემის სცენარში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- რა როლს ასრულებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა და

ბუნებრივი პირობები და როგორ აისახება კონფლიქტი ნოოსფეროს ჩამოყალიბებაზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**

- როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და რა როლს ასრულებს სახელმწიფოს გადაწყვეტილებები და საერთაშორისო ორგანიზაციები მიმდინარე პროცესებში **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2, 3);**
- როგორ გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი რეგიონისა და მსოფლიოს მდგრად მომავალზე და როგორ შეცვლის მას **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: |
|---|---|---|
| **გეოგრაფიული გარსი**<br>1. გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>1. ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>2. მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>3. სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>1. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>2. მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | **გეოგრაფიული გარსი**<br><br>• კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით, გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივი პირობების გავლენის გააზრება კონფლიქტში მონაწილე მხარეებისთვის **(მ. წ. 1, 2).**<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>• რომელიმე ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით კონფლიქტების შედეგების შეფასება მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების პროცესში **(მ. წ. 1, 2);**<br>• კონფლიქტების პროცესში სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგების გაანალიზება **(მ. წ. 3).**<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>• კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე კონფლიქტების მნიშვნელობის გაანალიზება მდგრადი მსოფლიოს შექმნის პროცესში **(მ. წ. 1, 2).** | • რა როლს ასრულებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები და როგორ აისახება კონფლიქტი ნოოსფეროს ჩამოყალიბებაზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**<br>• როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და რა როლს ასრულებს სახელმწიფო მიმდინარე პროცესებში **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2, 3);**<br>• როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი რეგიონისა და მსოფლიოს მდგრად მომავალზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).** |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსები/განსახილველი შემთხვევები (ქეისები):**

**სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი**
პარაგრაფი 13 – კონფლიქტები, რესურსული ომები, ტერორიზმი:

1. როგორ შევქმნათ გადაცემის სცენარი – https://goo.su/NDWcA
2. პროგრამა – earth.google.com
3. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტთან დაკავშირებული დეზინფორმაცია – გამოაშკარავებულია შვიდი მითი – https://goo.su/IzSkYXz
4. გაერო: უკრაინაც და რუსეთიც აწამებს სამხედრო ტყვეებს – https://goo.su/bkZJt
5. „ბინძური საწვავის“ ციებ-ცხელება. პუტინის ომი პლანეტას გადახურებით ემუქრება – https://goo.su/iENeR2
6. უკრაინისთვის ომით მიყენებული ეკოლოგიური ზიანის აღმოფხვრას წლები დასჭირდება – https://goo.su/sa7doJ
7. როგორი ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს უკრაინის ომმა გლობალურ საკვებზე – https://ourworldindata.org/ukraine-russia-food
8. რუსეთის ომი უკრაინაში და საქართველოს მივიწყებული კონფლიქტები: https://www.freiheit.org/ka/germany/rusetis-omi-ukrainashi-da-sakartvelos-mivicqebuli-konpliktebi
9. რუსეთი და უკრაინა – https://nationalgeographic.ge/ruseti-da-ukraina-gadakhlartuli-istoria-romelic-mat-akavshirebs-da-ashorebs-ertmanetisgan/

9\. ომი უკრაინაში – https://ourworldindata.org/ukraine-war

**რესურსი 1**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 1-ის საფუძველზე):**

- როგორ შევქმნათ გადაცემის სცენარი?
- რა უნდა გაითვალისწინოთ გადაცემის სცენარის მომზადებისას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგათ გადაცემის სცენარის მომზადების დროს?

**რესურსი 2**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 2-ის საფუძველზე):**

**პროგრამა – Google Earth – გუგლი დედამიწა – დაგეხმარება, რომ გაეცნო და დაადგინო:**

- რუსეთისა და უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა;
- რუსეთისა და უკრაინის ბუნებრივი პირობები: მნიშვნელოვანი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ობიექტები და ბუნებრივი რესურსები.

**რესურსი 3 და 4**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 3 და 4-ის საფუძველზე):**

- რა გავლენას ახდენს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე კონფლიქტები?
- როგორ ცვლის კონფლიქტები მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებსა და მიგრაციის პროცესებს?
- რა სოციალური პრობლემები წარმოიშობა კონფლიქტების გამო?

**რესურსი 5, 6 და 7**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 5, 6 და 7-ის საფუძველზე):**

- როგორ აისახება კონფლიქტების შედეგები გარემოზე?
- რა გავლენას ახდენს კონფლიქტები გლობალურ კლიმატცვლილებაზე?
- როგორ მოქმედებს კონფლიქტები მოსახლეობის ცხოვრების დონზე?

**რესურსი 8**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 8-ის საფუძველზე):**

- რას უნდა ველოდოთ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში?

**რესურსი 9**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 9-ის საფუძველზე):**

- რესურსი დაგეხმარება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის სიახლეების გაცნობაში.

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**

**ქვესაკითხი – გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი, კლიმატი, ჰიდროსფერო ბუნებრივი ზონები, გლობალური პრობლემები.**
- რა სახის კონფლიქტები არსებობს და რა როლს ასრულებს თანამედროვე მსოფლიოში?
- რა გავლენას ახდენს რუსეთისა და უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა კონფლიქტის პროცესში?

**ქვესაკითხი – მოკვდავობა, შობადობა, უმუშევრობა, მიგრაცია**
- როგორ აისახება კონფლიქტები მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?
- როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ მოსახლეობის უსაფრთხოება?

**ქვესაკითხები: გარემოს დაბინძურება, დაავადებების გავრცელება, ჯანდაცვა, შიმშილი**

- რა დადებითი და უარყოფითი შედეგები აქვს კონფლიქტებს?
- რომელი შედეგებია ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?

**კომპლექსური დავალება:**
- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში უნდა იმუშაო?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:**
**სამიზნე ცნება** – გეოგრაფიული გარსი
**ქვეცნება** – ნოოსფერო, ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეები
**ქვესაკითხი** – უკრაინისა და რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი პირობები, გლობალური პრობლემები.

**ნაბიჯი 1**

რა როლს ასრულებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ამ ქვეყნების გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები და როგორ აისახება კონფლიქტი ნოოსფეროს ჩამოყალიბებაზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1)?**

**აქტივობა 1 – რუკაზე მუშაობა:**

პროგრამა – earth.google.com-ის საშუალებით დაადგინე:
- რუსეთისა და უკრაინის გეოგრაფიული მდებარეობა;
- რუსეთისა და უკრაინის ბუნებრივი პირობები;
- მნიშვნელოვანი ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ობიექტები;
- ბუნებრივი რესურსები.

**აქტივობა 2 – გეოგრაფიულ თვალსაჩინოებებზე მუშაობა:**

გაეცანი სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას და სამუშაო რვეულში შეასრულე დავალება 1 (გვ: 104).
1. როგორ ფიქრობ, რა სახის კონფლიქტია გამოვლენის, მიზეზის, ზემოქმედების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და ფორმის მიხედვით?
2. რომელი ტიპის კონფლიქტს მიაკუთვნებ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს?
3. როგორ ფიქრობ, ახდენს თუ არა გავლენას ქვეყნის გეოგრაფიული, განსაკუთრებით კი პოლიტიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა მის რეგიონალურ კონფლიქტებში მონაწილეობაზე?
4. შენი აზრით, რა გზები არსებობს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოსაგვარებლად და რა როლს ასრულებს საერთაშორისო თანამეგობრობა?

**აქტივობა 3 – შემთხვევის ანალიზების განხილვა:**

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზს 1-სა და 2-ს (გვ. 298-300), პასუხობენ თანდართულ კითხვებს და ადარებენ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს გამოვლენის, მიზეზის, ზემოქმედების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და ფორმის მიხედვით.
შედეგებს გამოსახავენ მათ მიერ მოფიქრებული სქემის სახით.

**სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა**
**ქვეცნება** – მოსახლეობის სტრუქტურა, დემოგრაფიული და სოციალური პრობლემები
**ქვესაკითხი** – უკრაინის მოკვდავობა, შობადობა, უმუშევრობა, მიგრაცია

**ნაბიჯი 2**

როგორ აისახება რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და რა როლს ასრულებს სახელმწიფოს გადაწყვეტილებები და საერთაშორისო ორგანიზაციები მიმდინარე პროცესებში **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2, 3)?**

**აქტივობა 4 – ტექსტის ანალიზი:**

**გაეცანი რესურს 3-სა და 4-ს და უპასუხე კითხვებს:**

- რა გავლენას ახდენს ადამიანის ყოფა-ცხოვრებაზე კონფლიქტები?
- როგორ ცვლის კონფლიქტები მოსახლეობის დემოგრაფიულ მაჩვენებლებსა და მიგრაციის პროცესებს?
- რა სოციალური პრობლემები წარმოიშობა კონფლიქტებისას?
- ვებგვერდზე – https://goo.su/CbbVvNm – გაეცანი ბავშვთა უფლებების კონვენციას და იმსჯელე, რომელი უფლება ირღვევა რეგიონულ კონფლიქტებში მათი მონაწილეობის დროს? შენი აზრით, როგორ უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა?

**აქტივობა 5 – შემთხვევის ანალიზის განხილვა:**

გაეცანი სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზ 3-სა და 4-ს (გვ.304-311), უპასუხე თანდართულ კითხვებს და მათ საფუძველზე ახსენი:

- რაში მდგომარეობს XXI ს-ის ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები? წარმოადგინე შენი ხედვა მათი მოგვარების გზების შესახებ.
- იმსჯელე, რატომ ითვლება ომისა და მშვიდობის პრობლემა თანამედროვე კაცობრიობის უმთავრეს მიზნად?
- იმსჯელე, რატომაა მსოფლიოს საზოგადოება ერთსულოვანი უკრაინის დახმარების საქმეში?
- როგორ მოქმედებს მიგრაციული პროცესები მოსახლეობის ცხოვრების დონეზე?

**სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება**
**ქვეცნება** – გარემო, გარემოსდაცვითი პრობლემები
**ქვესაკითხი** – უკრაინის გარემოს დაბინძურება, დაავადებების გავრცელება, ჯანდაცვა, შიმშილი

**ნაბიჯი 3**

როგორ გავლენას მოახდენს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი რეგიონისა და მსოფლიოს მდგრად მომავალზე და როგორ შეიცვლება მსოფლიოს მდგრადი მომავალი **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2)?**

**აქტივობა 6 – როლური თამაში:**
**მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებში.**

წარმოიდგინეთ, რომ გადაცემაში მონაწილეობთ და იკრიბებით, რათა შეთანხმდეთ და დასახოთ პრიორიტეტული განსახილველი საკითხები. როლების განაწილება შესაძლებელია ინტერესებიდან გამომდინარე ან შემთხვევითობის პრინციპით.
გადაცემაში როლები გადანაწილდება, სავარაუდოდ, შემდეგი პროფესიების მიხედვით: კონფლიქტოლოგები, გარემოსდამცველები, ეკონომისტები, სამედიცინო და ჯანდაცვის წარმომადგენლები, სოციოლოგები და დემოგრაფები, გადაცემის ჟურნალისტები.

- გაეცანი სახლმძღვანელოში მოცემულ ტექსტს (გვ. 308), სქემებს და ახსენი, რა დადებითი მხარეები აქვს შეიარაღებულ კონფლიქტებს და როგორ შეიძლება მათი ეს დადებითი შედეგი გამოიყენოს ადამიანმა მომავლისთვის?
- მათ შორის რომელ შედეგებს მიიჩნევ ყველაზე მნიშვნელოვანად და რატომ?
- მოიყვანე კონკრეტული მაგალითები, როგორ შეიძლება გამოვლინდეს შეიარაღებული კონფლიქტის გრძლევადიანი შედეგები გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, სამედიცინო და ჯანდაცვის, სოციალური და დემოგრაფიული კუთხით?

**სახელმძღვანელოსა და რესურსი 5, 6-ისა და 7-ის დახმარებით იმსჯელე:**

- როგორ აისახება კონფლიქტების შედეგები გარემოზე?
- რა გავლენას ახდენს კონფლიქტი გლობალურ კლიმატცვლილებაზე?
- როგორ მოქმედებს კონფლიქტები მოსახლეობის ცხოვრების დონზე?

საკითხების განხილვის შემდეგ მოეწყობა დისკუსია.

**აქტივობა 7 – გადაცემის სცენარი:**

მოსწავლეები ჯგუფში შეთანხმდებიან, თუ როგორ გააცნონ მოსახლეობას და როგორ აუხსნიან გეოგრაფიული პერსპექტივიდან გამომდინარე, რომ კონფლიქტების შედეგებს მომავალში კიდევ უფრო მძაფრად იგძნობენ. აგრეთვე, აუხსნიან მიზეზებს.

**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად (იხ. რეკომენდაცია, გვ. 34, კითხვები გვ. 33).**

## შემთხვევა (ქეისი) 5. შემთხვევის ანალიზი

პოსტსოციალისტური კონფლიქტები პოლიტიკურმა  ბრძოლამ წარმოშვა. მათში ზოგიერთი პოლიტიკური ძალა იმ სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას ცდილობდა და ცდილობს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობდა, ზოგი კი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას ესწრაფვის. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ის 15 დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომლებიც 1991  წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა პოსტსაბჭოთა სივრცეში.

ამ კონფლიქტების მოუგვარებლობის შედეგია თვითგამოცხადებული, არაღიარებული პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების –  მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთ-მოლდოვეთის, დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების არსებობა.

2022 წლის  24 თებერვლის დილით რუსეთმა უკრაინაში სრულმასშტაბიანი ომი წამოიწყო. რუსეთის პრეზიდენტმა ვ. პუტინმა, დონბასისა და ლუგანსკის სეპარატისტული რეგიონების დაცვის საბაბით, უკრაინაში „სამხედრო ოპერაციის“ დაწყების შესახებ განაცხადა. პუტინმა იარაღის დაყრისკენ მოუწოდა უკრაინელ ჯარისკაცებს. რუსეთმა სარაკეტო დარტყმები განახორციელა უკარინაში, მათ შორის, დედაქალაქ კიევთან ახლოს. დასავლეთის ქვეყნებმა დაგმო უკრაინაზე თავდასხმა. ომმა უკრაინის წინააღმდეგ უკვე იმსხვერპლა ათასობით ადამიანი და დიდი ეკონომიკური ზიანი მიაყენა მთელ მსოფლიოს.



**წყარო:** მოსწავლის წიგნი, გვ: 304.

# კომპლექსური დავალება 3

**თემა** – გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები
**საკითხი** – მშვიდობის პარკი საქართველოში – სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების მოგვარების მდგრადი გზა (უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა)

**სამიზნე ცნება**– გეოგრაფიული გარსი; **ქვეცნება** – ნოოსფერო – დაცული ტერიტორიები; **ქვესაკითხი**: „მწვანე სარტყელი“, მშვიდობის პარკი.

**სამიზნე ცნება** – მოსახლეობა და მეურნეობა; **ქვეცნება** – მოსახლეობის სტრუქტურა-მოსახლეობის ცხოვრების დონე; ქვესაკითხი: მშვიდობის ინდექსი, მოსახლეობის საქმიანობა, განიარაღება, მილიტარიზაცია.

**სამიზნე ცნება** – მდგრადი განვითარება; **ქვეცნება** – საზოგადოება- მოსახლეობის უსაფრთხოება და ცხოვრების დონე; **ქვესაკითხი**: გეოპოლიტიკური პრობლემები, დელიმიტარიზებული ზონა.

**საკვანძო შეკითხვა** – როგორ წარმოვაჩინო პროექტში მშვიდობის პარკის მნიშვნელობა სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტის მოგვარებისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით?

## კომპლექსური დავალების პირობა



მშვიდობის პარკების იდეა, რომელიც მოსაზღვრე დაცული ტერიტორიების ერთობლივ მართვას გულისხმობს, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდის მიზნით, ჯერ კიდევ XIX ს-დან ჩაისახა. თანამედროვე მსოფლიოს რუკაზე უკვე ასზე მეტი მშვიდობის პარკი არსებობს.

წარმოიდგინე, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის“ წარმომადგენელი ხარ საქართველოდან. შენი მიზანია, შეისწავლო ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს სასაზღვრო ზონაში შეარჩიო ტერიტორია და მოამზადო მშვიდობის პარკის პროექტი.

**პროექტში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- როგორ მოქმედებს ბუნებრივი გარემო საქართველოს უსაფრთხოებასა და გეოპოლიტიკურ პროცესებზე (**გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1, 2**);
- რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო მშვიდობის პარკის დაარსებით საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და როგორ შეიცვლება მათი ცხოვრების დონე (**მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2**);
- როგორ აისახება მშვიდობის პარკის დაარსება საქართველოს მდგრად განვითარებაზე ლოკალურ და გლობალურ დონეზე(**მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2**).

| **სამიზნე ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები**<br><br>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ: | **შეფასების კრიტერიუმი**<br><br>მოსწავლეს შეუძლია: | ნაშრომში/ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინე: |
|---|---|---|
| **გეოგრაფიული გარსი**<br>1. გეოგრაფიული გარსი გეოსფეროებისგან შედგება, რომლებიც ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთშეღწევადია და მისთვის დამახასიათებელია კანონზომიერებები; ერთ გეოგრაფიულ სფეროში მიმდინარე ცვლილება სხვა სფეროებზეც ზემოქმედებს;<br>2. ადამიანების წყალობით ყალიბდება ნოოსფერო (გონის სფერო), რომელიც ზემოქმედებს სხვა გეოსფეროებზე.<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>1. ბუნებრივი გარემო გავლენას ახდენს მოსახლეობასა და მეურნეობაზე. სხვადასხვა ქვეყანაში მეურნეობის ესა თუ ის დარგია წამყვანი, რაც შრომის გეოგრაფიულ დანაწილებას განაპირობებს;<br>2. მოსახლეობისა და მეურნეობის სტრუქტურა, განაწილება და განლაგება ცვალებადია დროსა და სივრცეში;<br>3. სახელმწიფო გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებზე, რაც მის განვითარების დონეზე აისახება.<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>1. ლოკალურ ქმედებებს გლობალური შედეგები შეიძლება მოჰყვეს;<br>2. მდგრადი განვითარების მიზნების (სოციალური, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და კეთილდღეობა) შესრულება აუცილებელია მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის. | **გეოგრაფიული გარსი**<br><br>• კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით გეოგრაფიულ გარსში შემავალი გეოსფეროებისა და ნოოსფეროს ურთიერთდამოკიდებულების გააზრება **(მ. წ. 1, 2).**<br><br>**მოსახლეობა და მეურნეობა**<br>• კონკრეტული ქვეყნის ბუნებრივი გარემოს გავლენის გაანალიზება მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე, უსაფრთხოებასა და ცხოვრების დონეზე **(მ. წ. 1, 2);**<br>• სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიების მნიშვნელობის გაანალიზება მოსახლეობის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისთვის **(მ. წ. 3).**<br><br>**მდგრადი განვითარება**<br>• მშვიდობის პარკების შექმნის მნიშვნელობის გააზრება ქვეყნის მდგრადი განვითარებისთვისა და მომავალი თაობის კეთილდღეობისთვის ლოკალურ და გლობალურ დონეზე **(მ. წ. 1, 2).** | • როგორ მოქმედებს ბუნებრივი გარემო საქართველოს უსაფრთხოებასა და გეოპოლიტიკურ პროცესებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1, 2);**<br>• რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო მშვიდობის პარკის დაარსებით საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და როგორ შეიცვლება მათი ცხოვრების დონე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ.წ.1,2);**<br>• როგორ აისახება მშვიდობის პარკის დაარსება საქართველოს მდგრად განვითარებაზე ლოკალურ და გლობალურ დონეზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).** |

**კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპები (აქტივობები, რესურსები, შეკითხვები)**

**ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა**
**რესურსები/განსახილველი შემთხვევები (ქეისები):**

1. სახელმძღვანელო – გეოგრაფია XI კლასი, პარაგრაფი 14 – უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა
2. როგორ დავწეროთ სასკოლო პროექტი – http://mastsavlebeli.ge/?p=22050
3. ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი – https://www.iucn.org/
4. მშვიდობის პარკი – სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების მოგვარების მდგრადი გზა – https://sustainability.ge/peace-park/
5. 147 მშვიდობის პარკი მთელ მსოფლიოში – http://peace.maripo.com/p_parks.htm
6. მშვიდობის პარკები – https://www.peaceparks.org/
7. მსოფლიოს მემკვიდრეობის სია – https://whc.unesco.org/en/list/
8. ინტერაქტიული რუკა – https://www.visionofhumanity.org/maps/#/

**რესურსი 2**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 1-ის საფუძველზე):**

- როგორ შექმნი პროექტს?
- რა უნდა გაითვალისწინო პროექტის მომზადებისას?
- რა ნაბიჯები უნდა გადადგა პროექტის მომზადების დროს?

**რესურსი 3, 4**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 3-ის საფუძველზე):**

- რა არის მშვიდობის პარკი?
- როგორ შეუძლია მშვიდობის პარკს სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტის მოგვარება?

**რესურსი 5, 6 და 7**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 4-ის საფუძველზე):**

- როგორია მშვიდობის პარკების გეოგრაფია?
- რა როლი შეასრულა მშვიდობის პარკებმა ქვეყნებს შორის მშვიდობის დამყარების პროცესში?

**რესურსი 8**
**სარეკომენდაციო აქტივობა (სრულდება რესურსი 5-ის საფუძველზე):**

დაგეხმარება, გაეცნო მსოფლიო ქვეყნების გლობალური მშვიდობის ინდექსის მაჩვენებელს.

**კომპლექსური დავალების პირობის გააზრებაზე ორიენტირებული შეკითხვები:**
**ქვესაკითხი – ბუნებრივი გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოთაშორისო მშვიდობიანი თანაცხოვრების თვალსაზრისით.**

- რა გავლენას ახდენს მშვიდობის პარკები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე?
- როგორ აისახება სახელმწიფოთაშორისო მშვიდობიანი თანაცხოვრება და გარემოს დაცვა მოსახლეობის კეთილდღეობაზე?

**ქვესაკითხი – საერთაშორისო თანამშრომლობა და სახლმწიფო გადაწყვეტილებები გლობალური გეოპოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.**

- რა როლს ასრულებს მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვაში სახელმწიფოს გადაწყვეტილებები?
- როგორ არის დაკავშირებული მოსახლეობის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა?

**კომპლექსური დავალება:**

- შენი სიტყვებით ჩამოაყალიბე, რას შეეხება დღეს მოცემული დავალება, რომელზეც რამდენიმე გაკვეთი-ლის განმავლობაში მოგიწევს მუშაობა?
- მსგავსი ფორმის ან შინაარსის დავალება სხვა დროს თუ შეგისრულებია?

**ეტაპი II – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა:**
**სამიზნე ცნება – გეოგრაფიული გარსი**
**ქვეცნება** – ნოოსფერო, დაცული ტერიტორიები
**ქვესაკითხი** – „მწვანე სარტყელი", მშვიდობის პარკი

**ნაბიჯი 1**

- როგორ მოქმედებს ბუნებრივი გარემო საქართველოს უსაფრთხოებასა და გეოპოლიტიკურ პროცესებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ .წ. 1, 2)?**

**აქტივობა 1 – შემთხვევის ანალიზის განხილვა:**

მოსწავლეები განიხილავენ სახელმძღვანელოში მოცემულ შემთხვევის ანალიზ 5-ს (გვ. 353) და პასუხობენ კითხვებს:

1. რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი გარემო სახელმწიფოთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების წარმოქმნაში?
2. რას ნიშნავს ტერმინი „რკინის ფარდა"?

**აქტივობა 2 – რუკაზე მუშაობა:**

მოსწავლეები აანალიზებენ სახელმძღვანელოში მოცემულ რუკას და პასუხობენ კითხვებს.

სურ. 14.12-ისა (სახელმძღვანელო, გვ. 335) და მსოფლიოს ფიზიკური რუკის (დანართი 1) გამოყენებით უნდა დაადგინონ:

1. რომელი სახელმწიფოების ტერიტორიებზე გადის ევროპის „მწვანე სარტყლის" თითოეული ნაწილი და რომელ გეოგრაფიულ სარტყლებს მოიცავს იგი?
2. იმსჯელე, რა კულტურული და გარემოსდაცვითი დანიშნულება აქვს ევროპის „მწვანე სარტყელს" და რა როლი შეასრულა მშვიდობის დამყარების პროცესში?
3. იმსჯელე, როგორ გესმის ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსისა და თეორეტიკოსის ბეზილ ჰენრი ლიდელ ჰარტის გამონათქვამი, რომ „მშვიდობაა ყველა ომის მიზანი".

**სამიზნე ცნება – მოსახლეობა და მეურნეობა**
**ქვეცნება** – მოსახლეობის ცხოვრების დონე
**ქვესაკითხი** – მშვიდობის ინდექსი, მოსახლეობის საქმიანობა, განიარაღება, მილიტარიზაცია

**ნაბიჯი 2**

- რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო მშვიდობის პარკის დაარსებით საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრები მოსახლეობის ყოველდღიურობაზე და როგორ შეიცვლება მათი ცხოვრების დონე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ.წ. 1, 2)?**

**აქტივობა 3 – სიტუაციური ამოცანა:**

გაეცანი ინფორმაციას და უპასუხე კითხვას:
მშვიდობის საკითხების ნორვეგიელმა მკვლევარმა იოჰან გალტუნგმა ნეგატიური და პოზიტიური მშვიდო-ბის ცნებები წამოაყენა, რომლის მიხედვითაც ნეგატიური მშვიდობა ძალადობის უბრალოდ აღკვეთაა, ხოლო

პოზიტიური მშვიდობა ისეთი მექანიზმებისა და სტრუქტურების შექმნაა, რომლის დროსაც კონფლიქტები ან საერთოდ არ წარმოიქმნება, ან მათი გადაწყვეტა ადრეულ ეტაპზეა შესაძლებელი.

კითხვა:
როგორ ფიქრობ, რა სახის ნეგატიური და პოზიტიური მშვიდობა დომინირებს თანამედროვე მსოფლიოში? მოიყვანე შენი მოსაზრების დამამატკიცებელი მაგალითები.

**აქტივობა 4 – შემთხვევის ანალიზის განხილვა და ინტერაქტიული რუკის ანალიზი:**

შეასრულე სახელმძღვანელოში მოცემული შემთხვევის ანალიზი 1 (გვ. 332), უპასუხე თანდართულ კითხვებს, მათ საფუძველზე და ვებგვერდზე – https://www.visionofhumanity.org/maps/#/ – ინტერაქტიული რუკის გამოყენებით დაადგინე:

ა. მსოფლიოს ყველაზე მშვიდობისმოყვარე და არამშვიდობისმოყვარე ქვეყნების ათეული;
ბ. როგორია საქართველოს რეიტინგი, კიდევ რომელ ქვეყნებს აქვს მსგავსი მაჩვენებელი, როგორია ჩვენი ქვეყნის ინდექსის მიმართება რეგიონში მდებარე ქვეყნების ინდექსთან და მშვიდობის დონის მიხედვით რომელ ჯგუფში ხვდება იგი?
გ. იმსჯელე, შენი აზრით, რატომ ინაცვლებს სამხედრო ხარჯების „სიმძიმის ცენტრი“ ევროპიდან და და ჩრდილოეთ ამერიკიდან აზიის კონტინენტზე?

**აქტივობა 5 – პრობლემების ხე:**

გაეცანი სახელმძღვანელოში შემთხვევის ანალიზ 3-სა (გვ. 342) და 4-ს (გვ. 350), უპასუხე თანდართულ კითხვებს და იმსჯელე, როგორ შეიძლება ადამიანმა აიცილოს კონფლიქტური სიტუაციებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები.

შექმენი პრობლემების ხე:



**აქტივობა 6 – გრაფიკული ორგანიზატორის „მიმდევრობის ჯაჭვის“ შედგენა:**

ახსენი, როგორ აისახება მშვიდობის პარკების არსებობა გარემოზე და ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ყოფა-ცხოვრებასა და საქმიანობაზე და შექმენი მიმდევრობის ჯაჭვი.




**სამიზნე ცნება – მდგრადი განვითარება**
**ქვეცნება** – საზოგადოება, მოსახლეობის უსაფრთხოება და ცხოვრების დონე
**ქვესაკითხი** – გეოპოლიტიკური პრობლემები, დელიმიტარიზებული ზონა

**ნაბიჯი 3**

როგორ აისახება მშვიდობის პარკის დაარსება საქართველოს მდგრად განვითარებაზე ლოკალურ და გლობალ-ურ დონეზე (**მდგრადი განვითარება, მ.წ. 1, 2)?**

**აქტივობა 1: როლური თამაში – მშვიდობის მცველი:**

მოსწავლეები ირგებენ მშვიდობის მცველის როლს და ქმნიან გზავნილს (ლოზუნგს) მსოფლიოსთვის;

მოსწავლეები ეცნობიან სახელმძღვანელოში მოცემულ ინფორმაციას, მათ შორის, ჩანართებს მშვიდობის მცველი (გვ. 335 და 348 ) და პასუხობენ კითხვებს:

ა. გერმანელი მღვდლის, პროფესორის, თეოლოგისა და ეკლესიის რეფორმატორის მარტინ ლუთერის აზრით, „მშვიდობა ყველა სამართლიანობაზე მნიშვნელოვანია“. ეთანხმები თუ არა ამ მოსაზრებას? როგორ ფიქრობ, რატომ შეადარა მშვიდობა და სამართლიანობა ერთმანეთს მარტინ ლუთერმა?
ბ. რა როლს ასრულებს საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური გეოპოლიტიკური პრობლემების გად-აწყვეტის საქმეში?
გ. ვებგვერდზე – https://georgia.un.org/ka/Sdgs – გაეცანი მდგრადი განვითარების მიზნებს და ახსენი, რომელ მიზნებს უკავშირდება მშვიდობისა და უსაფრთხოების პრობლემა?
დ. შენ რისი გაკეთება შეგიძლია მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად?
ე. გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი (21 სექტემ-ბერი) მიძღვნილ გამოსვლაში აღნიშნა, რომ „ახლა ის დროა, როდესაც ადამიანები უნდა დაფიქრდნენ ომის საშინელებებსა და კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის საჭიროებაზე.“ როგორია ამ დღისადმი მიძღვნილი შენი გზავნილი მსოფლიოს საზოგადოებისადმი?

**აქტივობა 2 – პრობლემის გადაჭრა:**

- როგორ ფიქრობ, რამდენად აქტუალურია ჩვენს რეგიონში საქართველოსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში მშვიდობის პარკების დაარსება? რა რესურსები და პოტენციალი აქვს ჩვენს ქვეყანას მათ შესაქმნელად? შენ სად დააარსებდი ასეთ პარკებს და რატომ? რა როლს შეასრულებს არსებული პრობლემების გადაჭ-რაში?
- როგორ შეიძლება ადამიანმა აიცილოს კონფლიქტური სიტუაციებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები?
- მშვიდობის პარკებს რა უპირატესობა აქვს დემილიტარიზებულ ზონებთან შედარებით?

ვენის დიაგრამის ნიმუში:



**კომპლექსური დავალების შესრულებისა და პრეზენტაციის პროცესში მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები კონკრეტულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის საწარმოებლად (იხ. რეკომენდაცია, გვ. 34, კითხვები გვ. 33).**

**შემთხვევა (ქეისი) 6. შემთხვევის ანალიზი**

მსოფლიოში, რომელიც გადატვირთულია კონფლიქტებითა და დავებით, მშვიდობა მომავლის ერთ-ერთი ქვაკუთხედია. „მშვიდობის პარკები კი სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენს ამ პროცესში არა მარტო ჩვენს რეგიონში, არამედ, პოტენციურად, მთელ მსოფლიოში“ – ნელსონ მანდელა

**ეკვადორ-პერუს კონფლიქტის „მწვანე“ დასასრული**

სასაზღვრო დავა ეკვადორსა და პერუს შორის ათწლეულების განმავლობაში გრძელდებოდა კორდილიერა დელ კონდორის მთიან რეგიონში. ბიომრავალფეროვნებით მდიდარი ეს რეგიონი დავის საგანი ჯერ კიდევ XIX ს-ში გახდა და მრავალწლიანი დაპირისპირებების შემდეგ, 1995 წელს, ამ ორ ქვეყნებს შორის დავა კონფლიქტში გადაიზარდა. შეერთებული შტატები, არგენტინა, ბრაზილია და ჩილე ცდილობდა სამშვიდობო ხელშეკრულების მიღწევას.

*კორდილერა დელ კონდორი*



მას შემდეგ, რაც სახელმწიფოები ვერ შეთანხმდნენ საზღვრის გატარებაზე, აშშ-ს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა პირადად დაარწმუნა ეკვადორისა და პერუს ლიდერები, მოელაპარაკებინათ სასაზღვრო ზოლზე და დაეცვათ ტყიანი ტერიტორია. მართალაც, მათ აღნიშნული ტერიტორია ბუნების კონსერვაციის ზონად გამოაცხადეს და როგორც ეკვადორმა, ასევე პერუმ იმ ტერიტორიაზე ჯერ კონსერვაციის კორიდორი დაარსეს, ხოლო 2004 წელს ისინი მშვიდობის პარკად გადაიქცა. მოგვიანებით, გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, მათ საერთო გარემოსდაცვითი მართვის სისტემის შექმნა შეძლეს, რამაც, კონფლიქტის გარემოსდაცვითი მდგრადი მეთოდებით მოგვარებასთან ერთად, კიდევ უფრო მეტად გაამყარა სახელმწიფოთაშორისო კეთილმეზობლური ურთიერთობები. ამჟამად ეკვადორისა და პერუს საერთო საზღვარზე მდებარე კორდილერა დელ კონდორის მთიანი სისტემის ირგვლივ არსებული ტერიტორია მშვიდობის პარკის წარმატებულ მაგალითადაა მიჩნეული.

**წყარო:** მოსწავლის წიგნი, გვ: 353.

# 7 ● დამატებითი საკითხავი მასალა

## გლობალიზაცია და გლობალური პრობლემები

### რა არის გლობალიზაცია?

გლობალიზაცია ობიექტური, შეუქცევადი და ისტორიულ-ლოგიკური პროცესია, რომელიც საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს. გლობალიზაციის საყოველთაოდ შეთანხმებული განმარტება არ არსებობს. ამ საკითხის თაობაზე მეცნიერთა შეხედულებები განსხვავებულია. მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენლები განიხილავენ გლობალიზაციის გავლენას პოლიტიკურ, სოციალურ, გარემოსდაცვით, ისტორიულ, გეოგრაფიულ და კულტურულ სფეროებზე. ეკონომისტები კი გლობალიზაციაში საქონლის, კაპიტალისა და შრომის ბაზრების საერთაშორისო ინტეგრაციას გულისხმობენ. აღსანიშნავია, რომ ტერმინ „გლობალიზაციას“ თავდაპირველად მხოლოდ ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მოგვიანებით მან უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და „უსაზღვრო მსოფლიოს“ აღმნიშვნელ ცნებად იქცა.

გლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის პროცესია. ის ხელს უწყობს მსოფლიოს „შემჭიდროებას“, არღვევს ეროვნულ საზღვრებს, აახლოებს სხვადასხვა ეროვნულ ეკონომიკას, კულტურას, ტექნოლოგიას, მართვას, წარმოებას და ზრდის მათი ურთიერთდამოკიდებულების ხარისხს. მარტივი განმარტების მიხედვით, გლობალიზაცია ნიშნავს ერთ ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ასახვას სხვა სახელმწიფოებზე, რაც მათი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგადაჯაჭვის შედეგია.




გლობალიზაციის განვითარების ძირითადი მიზეზები

გლობალიზაციის პროცესი ყველაზე მკვეთრად ეკონომიკის სფეროში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური ინტეგრაცია გლობალიზაციის უმთავრესი მახასიათებელია, მკაფიოდ იკვეთება მისი სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, ინსტიტუციური და სხვა მნიშვნელოვანი მიმართულებები. შესაბამისად, გლობალიზაციის 4 სახეს განასხვავებენ, რომელთა შინაარსის გაგებაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დღევანდელი მსოფლიო უპრეცედენტო სისწრაფით მიილტვის ინტეგრაციისაკენ.

**ეკონომიკური**

- შრომის გლობალური დანაწილება;
- საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების წარმოქმნა (მაგ., IMF, WTO);
- ტრანსეროვნული კომპანიების გაჩენა (მაგ.,Toyota, Google, Samsung).

**სოციალური**

- სოციალური ნორმების გაერთიანება სხვადასხვა ქვეყანაში;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება სხვადასხვა ქვეყანაში.

**პოლიტიკური**

- სახელმწიფო სუვერენიტეტის შესუსტება;
- საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების (ნატო, CSTO) როლის გაძლიერება;
- დემოკრატიის გლობალიზაცია.

**კულტურული**

- ინტერნეტის განვითარება;
- საერთაშორისო საკომუნიკაციო ენის გაჩენა (ინგლისური);
- გემოვნებისა და პრეფერენციების გაერთიანება (კოკა-კოლა, ინსტაგრამი);
- სხვა ქვეყნების კულტურისა და ცხოვრების წესის გაცნობა.

გლობალიზაციის სახეები

გლობალიზაციის უმთავრეს შედეგს წარმოადგენს შრომის საერთაშორისო დანაწილება, კაპიტალის, შრომითი და საწარმო რესურსების მიგრაცია მთელი პლანეტის მასშტაბით, კანონმდებლობის, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების სტანდარტიზაცია, სხვადასხვა ქვეყნის კულტურათა დაახლოება და შერწყმა.

გლობალიზაციის თემის პოპულარობა XX ს-ის 90-იანი წლებიდან მომდინარეობს. ბევრი მეცნიერი ცდილობდა, ეპოვა თანამედროვე გლობალიზაციისა და მისი ისტორიული ანალოგების საერთო ნიშნები, ამიტომ გლობალიზაციის წარმოშობის შესახებ შეხედულებები სხვადასხვაგვარია: ისტორიკოსები მას, როგორც კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს, ისე განიხილავენ; ეკონომისტები ათვლას ტრანსეროვნული ფინანსური ბაზრების წარმოშობის დროიდან იწყებენ; პოლიტოლოგები მთავარ მიზეზად დემოკრატიული ორგანიზაციების გავრცელებას მიიჩნევენ; კულტუროლოგები კი გლობალიზაციის გამოვლენას კულტურის ვესტერნიზაციას, მათ შორის, ამერიკულ ეკონომიკურ ექსპანსიას უკავშირებენ. გლობალიზაციის შედეგად მსოფლიოს ქვეყნები სულ უფრო და უფრო უკავშირდება ერთმანეთს და საერთო გლობალურ სურათს ქმნის.

### მაგალითი 1

გლობალიზაციის ისტორიული შემთხვევები XIX საუკუნის მეორე ნახევრის იმპერიული სახელმწიფოების დაპირისპირების დროს ხდებოდა, თუმცა გლობალიზმის ადრეული ფორმები ძველ მსოფლიოშიც არსებობდა. თუ გავიხსენებთ ბერძნულ კოლონიზაციას, ამ პროცესს თავისუფლად შეგვიძლია, გლობალიზაცია ვუწოდოთ. ბერძნები სხვა ქვეყნებში ავრცელებდნენ და ნერგავდნენ თავიანთ კულტურას. ასევე, საუკუნეების განმავლობაში მოგზაურობდნენ ვაჭრები, შესაბამისად, ვითარდებოდა გლობალური კაპიტალბრუნვა.

გლობალიზაციის მაგალითია რომის იმპერია, პართია, ხანის დინასტია. ამ უკანასკნელის მმართველობის პერიოდში დაიწყო „აბრეშუმის გზის“ „დაწინაურება“. ასევე აღსანიშნავია „ისლამის ოქროს ხანა“ – მუსლიმმა ვაჭრებმა შეძლეს პროდუქციისა და ცოდნის გლობალიზება. მონღოლთა იმპერიაში კი აბრეშუმის გზას უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა.




გლობალიზაციის პირველი ტალღა, რომლის განმაპირობებელი მიზეზიც ტრანსპორტის განვითარება და სავაჭრო ბარიერების შემცირება იყო, 1870 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა. ვაჭრობის აყვავების შედეგად მსოფლიო შემოსავალში ექსპორტის წილი გაორმაგდა და მან 8% შეადგინა. ამ პროცესებმა ხალხის მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. მსოფლიოს მოსახლეობის, დაახლოებით, 10% უკეთესი სამუშაოს ძიებაში სხვა ქვეყნებში გლობალიზაციის პირველი ტალღა, რომლის განმაპირობებელი მიზეზიც ტრანსპორტის განვითარება და სავაჭრო ბარიერების შემცირება იყო, 1870 წლიდან პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე გაგრძელდა. ვაჭრობის აყვავების შედეგად მსოფლიო შემოსავალში ექსპორტის წილი გაორმაგდა და მან 8% შეადგინა. ამ პროცესებმა ხალხის მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. მსოფლიოს მოსახლეობის, დაახლოებით, 10% უკეთესი სამუშაოს ძიებაში სხვა ქვეყნებში გაემგზავრა. 60 მილიონი ადამიანი ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკასა და ახალი სამყაროს სხვა ნაწილებში წავიდა. იგივე მოხდა მჭიდროდ დასახლებულ ჩინეთსა და ინდოეთში, საიდანაც ხალხი ნაკლებად დასახლებულ ისეთ ქვეყნებში მიემგზავრებოდა, როგორებიცაა შრილანკა, მიანმარი, ტაილანდი, ფილიპინები და ვიეტნამი.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გლობალიზაციის მეორე ტალღა დაიწყო და, დაახლოებით, 1950-80 წლებამდე გაგრძელდა. ეს ძირითადად იაპონიის, ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების ინტეგრაციაში გამოიხატა, რომლებმაც აღადგინეს სავაჭრო ურთიერთობები. ამ პერიოდში ქვეყნების ეკონომიკური განვითარების აღმავლობის ხანა დადგა, რაც მაღალკვალიფიციური მუშახელით ვაჭრობის ბუმის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. თუმცა, განვითარებადი ქვეყნები ამ ინტეგრაციის ტალღის მიღმა აღმოჩნდნენ, რადგან ძირითადად მხოლოდ ნედლეულით ვაჭრობა შეეძლოთ.

1980 წელს გლობალიზაციის უახლესი ტალღა ტრანსპორტისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა ერთობლიობამ გამოიწვია. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ დიდი განვითარებადი ქვეყნების ქმედებებმა, რომლებიც ეკონომიკის გაძლიერებისათვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ცდილობდნენ.

გლობალიზაციას ზოგადად უზარმაზარი სარგებელი მოაქვს ქვეყნებისა და მოსახლეობისთვის. ის აუმჯობესებს მწარმოებლობას, ეხმარება ცოდნისა და ახალი ტექნოლოგიების გავრცელებას, ხვეწს მომხმარებელთა არჩევანის დიაპაზონს. გლობალიზაციის შედეგად ქვეყნები, რეგიონები, კონტინენტები ისე მჭიდროდ დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ მსოფლიოს „პატარა სოფლის“ მახასიათებლები შეიძინა.

არსებობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციის ბუნებას. ასეთი ჯგუფები იშველიებენ საკმაოდ მყარ არგუმენტებს, რომელთაგანაც ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყნებს შორის უთანასწორობის პრობლემაა.

## მაგალითი 2
## გლობალიზაციის თეორიის ფუძემდებლები

გლობალიზაციის თეორიის ფუძემდებელი ბრიტანელი სოციოლოგი მარტინ ელბროუა. იგი ერთ-ერთი პირველი მკვლევარია, რომელმაც გლობალიზაციის კონცეფცია წამოაყენა. ელბროუს განმარტებით, „გლობალიზაცია ყველა იმ პროცესს ასახავს, რომელთა მეშვეობითაც მსოფლიო ხალხები ერთ მსოფლიო, ანუ გლობალურ საზოგადოებაში ერთიანდებიან“.

მარტინ ელბროუ ავტორია წიგნისა „ჩინეთის როლი კაცობრიობის საერთო ბედის მქონე საზოგადოებაში“, რომელშიც იგი ახალ იდეებსა და მოსაზრებებს გადმოსცემს ჩინეთისა და მისი როლის შესახებ მომავალ გლობალურ სამყაროში.

გერმანელი სოციოლოგისა და ფილოსოფოსის, მიუნხენის უნივერსიტეტისა და ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორის, ულრიხ ბეკის შესწავლის ობიექტია თანამედროვე გლობალიზაცია. იგი გლობალიზმში გულისხმობს მოვლენას, რომლის დროსაც მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებას. ამ გაგებით, გლობალიზაციის პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები მსოფლიო ბაზარს ექვემდებარება. ბეკის მოსაზრების მიხედვით, გლობალიზაცია ისეთი პროცესი ან პროცესთა ერთობლიობაა, რომლის დროსაც ეროვნულ სახელმწიფოებსა და მათ სუვერენიტეტს ტრანსეროვნული კომპანიები ფარავს.





## რა არის გლობალური პრობლემები?

გლობალიზაციის განმარტებებში ყურადღებას ამახვილებენ მის ამა თუ იმ შედეგზე და არა თვით ამ პროცესის არსზე. სხვადასხვა სპეციალობის წარმომადგენლები ცდილობენ, გლობალიზაციის განმარტებაში შესაბამისი ასპექტები წარმოაჩინონ. გლობალიზაცია კი წარმოადგენს ინტერდისციპლინურ ფენომენს და, შესაბამისად, მისი ზოგადი განმარტების ჩამოყალიბება მოითხოვს ამ პროცესისადმი როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა კუთხით მიდგომას.

გლობალიზაციაზე საუბრისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ის საერთო პრობლემები, რომლებიც კაცობრიობის წინაშე დგას. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაცია ნიშნავს საერთო, შინაარსის მიხედვით მსგავსი პრობლემების (მაგალითად, ეკოლოგიური, სასურსათო, დემოგრაფიული, მიგრაციული, ჯანდაცვის და ა. შ.) წარმოშობას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, სახელმწიფოთა მუდმივად ორმხრივ სოციალურ-ეკონომიკურ დამოკიდებულებასა და საერთო ინტერესთა ზონების წარმოქმნას.

მსოფლიოში მიმდინარე მრავალმხრივი გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის წინაშე დგას გლობალური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც მსოფლიო მასშტაბით თანამშრომლობის გაღრმავებას, ყველა ქვეყნისა და ხალხის ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს. ეს კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს გლობალიზაციის პროცესს, რის გამოც იგი შეუქცევად ხასიათს იძენს.

გლობალურ პრობლემებს ისეთი საჭირბოროტო საკითხები განეკუთვნება, როგორებიცაა მსოფლიო თანასაზოგადოება და ქვეყნებს შორის კავშირურთიერთობები, ბუნებასა და ადამიანს შორის ურთიერთობა, რაციონალური ბუნებათსარგებლობა და გარემოს დაცვა, რესურსუზრუნველყოფის ერთობლივი გადაწყვეტა და სხვა. გლობალური პრობლემები ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფა.

| პოლიტიკური | ეკონომიკური | სოციალური | ეკოლოგიური (გარემოსდაცვითი) |
|---|---|---|---|
| ომი და მშვიდობა;<br>განიარაღება;<br>ტერორიზმი;<br>კონფლიქტები. | განვითარების დაბალი დონე;<br>სასურსათო;<br>ცხოვრების დონე და ხარისხი;<br>რესურსების ამოწურვა. | დემოგრაფიული;<br>ჯანმრთელობის დაცვა;<br>განათლება;<br>ეთნიკური;<br>კულტურული. | გარემოს ათვისება;<br>ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს, ტროპოსფეროს დაცვა;<br>მსოფლიო ოკეანის, სანაპირო ზოლისა და მთიანი ტერიტორიების ათვისება და დაცვა;<br>ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები. |

**თანამედროვეობის უმთავრესი გლობალური პრობლემები**

გლობალური პრობლემები ხასიათის მიხედვით განსხვავებულია, მაგრამ ყველა მათგანი კაცობრიობის გეოგრაფიული ერთიანობისა და მისი გადარჩენის იდეითაა გამსჭვალული.

გლობალურ პრობლემებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირია და ისინი ერთ მთლიან „ჯაჭვს“ ქმნის. შეუძლებელია ერთი რომელიმე პრობლემის გადაწყვეტა მეორის გარეშე და ა. შ.

## მაგალითი 3

თითოეული გლობალური პრობლემა კონკრეტული შინაარსით გამოირჩევა, მაგრამ ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება, მაგალითად: ენერგეტიკული და ნედლეულის პრობლემა – ეკოლოგიურს, ეკოლოგიური – დემოგრაფიულს, დემოგრაფიული – სასურსათოს და ა.შ. ამასთან, თითოეული მათგანი, თავის მხრივ, სხვადასხვა, შედარებით „მცირე“ პრობლემებს აერთიანებს; მაგალითად, ეკოლოგიურში ცალკე შეიძლება გამოიყოს გაუდაბნოება, ტყეების გაჩეხა, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს დაბინძურება და სხვა. დემოგრაფიული პრობლემის ფარგლებში გამოიყოფა დემოგრაფიული აფეთქება და დემოგრაფიული კრიზისი, უკონტროლო ურბანიზაცია, ლტოლვილთა და შრომითი მიგრაცია და სხვა.

გაეროს წევრმა ქვეყნებმა 2015 წლის 25-27 სექტემბერს ნიუ-იორკში (აშშ) გამართულ მდგრადი განვითარების სამიტზე მდგრადი განვითარების მიზნები დაამტკიცეს. მდგრადი განვითარების ახალი სამოქმედო გეგმა 17 მიზანს და 169 ამოცანას მოიცავს. შეთანხმებაში მონაწილე 193-ვე სახელმწიფომ მომდევნო 15 წლის განმავლობაში უნდა გაატაროს რეფორმები მდგრადი განვითარების მიზნების შესასრულებლად. მდგრადი განვითარების მიზნები გლობალური სტრატეგიაა, რომელიც ეხება მთელ მსოფლიოს, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებს. მდგრადი განვითარების მიზნები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად კი არა, ერთობლივად, შეთანხმებულად უნდა განხორციელდეს. ისინი ავსებს ერთმანეთს, უშუალოდ უკავშირდება და აბალანსებს მდგრადი განვითარების სამივე მიმართულებას: ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ ინკლუზიასა და გარემოს დაცვას.







გლობალური პრობლემები და მდგრადი განვითარების მიზნები

## მაგალითი 4
## მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) საერთაშორისო არასამთავრობო და ლობისტური ორგანიზაციაა, რომელიც 1971 წლის 24 იანვარს გერმანელმა ინჟინერმა და ეკონომისტმა კლაუს შვაბიმ შვეიცარიაში, ჟენევის კანტონ კოლონიში დააარსა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც თანამედროვეობის გლობალურ პრობლემებს, მათ შორის, გეოპოლიტიკურს განიხილავს. ფორუმის წევრი სხვადასხვა ქვეყნის 1000-მდე მსხვილი კომპანია და ორგანიზაციაა. ორგანიზაციის შეხვედრები შვეიცარიის კურორტ დავოსში იმართება, სადაც ყოველწლიურად მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული ელიტა იკრიბება.

ფორუმი გვთავაზობს ისეთი გლობალიზებული სამყაროს მოდელს, რომელსაც საუკეთესოდ მართავს ტრანსნაციონალური კორპორაციების, მთავრობებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ შერჩეული კოალიცია, რაც ისეთი ინიციატივებით გამოიხატება, როგორებიცაა „დიდი გადატვირთვა“ და „გლობალური გარდაქმნა“. ფორუმი გლობალური არასტაბილურობის პერიოდებს, მაგალითად, 2007-2008 წლების ფინანსურ კრიზისსა და კოვიდ-19 პანდემიას, პროგრამული ძალისხმევის გაძლიერების შესაძლებლობად მიიჩნევს.

https://www.weforum.org/

თუ გინდა, მეტი შეიტყო მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმის შესახებ, ეწვიე ვებგვერდს:

## რა გლობალური ტენდენციებით გამოირჩევა XXI საუკუნე?

XXI საუკუნეში კაცობრიობა გადავიდა განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე, რომელსაც ისეთი გეოპოლიტიკური გარდაქმნები ახასიათებს, როგორებიცაა: გლობალიზაცია, დიგიტალიზაცია, მსოფლიო ეკონომიკის ინფორმატიზაცია და ინტეგრაცია, რელიგიური და ეთნიკური კონფლიქტები. ეს პროცესები გავლენას ახდენს სახელმწიფოს საქმიანობის ყველა ასპექტზე, საერთაშორისო ურთიერთობებზე, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებზე, უსაფრთხოების საკითხებზე, კულტურასა და ეკოლოგიაზე.

XXI საუკუნის უმნიშვნელოვანეს გეოპოლიტიკურ ტენდენციებს შორის გამოყოფენ:

- გლობალიზაციის ისეთი ორი ძირითადი შედეგის გამოვლინებას, როგორებიცაა თანამედროვეობის გლობალური პრობლემების გამწვავება (ტერორისტული საფრთხეების ზრდა,

რეგიონული კონფლიქტების ზონის გაფართოება, სეპარატიზმი, ეთნორელიგიური ექსტრემიზმი, გარემოსდაცვითი პრობლემების გამწვავება, გარემოს დეგრადაცია და ა.შ.) და არსებული მსოფლიოს დანაწევრება აყვავებულ, პროგრესულ უმცირესობად (განვითარებული ქვეყნები – ჩრდილოეთი) და დაბალი სოციალური კეთილდღეობის უმრავლესობად (განვითარებადი ქვეყნები – სამხრეთის);

- მსოფლიო ეკონომიკის სტრუქტურის რადიკალურ ცვლილებას მრავალპოლარულობისკენ, რომელიც ძალაუფლების ახალი ცენტრების გაჩენისა და გაძლიერების ფონზე ხდება. აზია-წყნარი ოკეანის, ლათინური ამერიკის რეგიონებისა და ევროკავშირის როლი ერთდროულად იზრდება;
- მსოფლიო პოლიტიკის ფორმირებაზე ეკონომიკური ფაქტორების, უპირველესად კი, ენერგეტიკის გავლენის მკვეთრ ზრდასა და გეოპოლიტიკური პროცესების ერთ-ერთ ძირითად კომპონენტად ენერგეტიკის გადაქცევას; ეკონომიკური პროცესების გადანაცვლებას მსოფლიო პოლიტიკის ცენტრში;
- ეროვნული, ეთნიკური და კონფესიური კონფლიქტების გამწვავებასა და ამის შედეგად საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ზრდას მათი პრაქტიკული გადაწყვეტის საქმეში;
- სივრცის ვირტუალიზაციის ტენდენციას, რომელიც მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათის ისეთ განსაკუთრებულ განზომილებას ქმნის, სადაც ძირითადი პროცესები გლობალურ კომპიუტერულ ქსელში გადადის.

გეოპოლიტიკის ახალი საინფორმაციო პარადიგმის მიხედვით, XXI ს-ში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის პერსპექტივები, უპირველეს ყოვლისა, ვირტუალურ სივრცეში ინფორმაციული უპირატესობით განისაზღვრება.

მსოფლიოში გეოპოლიტიკური პროცესების განვითარების ყველაზე გავლენიანი მონაწილე ოთხი რეგიონია – ევროპული, აზია-წყნაროკეანური, ლათინურ-ამერიკული და ამერიკის შეერთებული შტატები.

საქართველო ისევე, როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის საერთო სივრცეშია მოქცეული და თანდათან იკავებს ადგილს თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოსთან ამყარებს ეკონომიკურ თუ სხვა სახის თანამშრომლობას.

# პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაცია

## რა არის პოლიტიკური გლობალიზაცია?

XXI საუკუნეში გლობალიზაციამ მთელი მსოფლიო მოიცვა და ის ყველა სფეროსა და სახელმწიფოში (გარდა ჩრდილოეთ კორეისა) გავრცელდა.

თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებით და საკვანძო როლს დამოუკიდებელი სახელმწიფოები ასრულებს. ისინი მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ სუბიექტებად გვევლინება, ხოლო ზოგიერთი მათგანი „პოლიტიკურ ამინდსაც“ კი ქმნის. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა მეთაურებმა იალტისა და პოტსდამის კონფერენციებზე მსოფლიოს „ახალი“ მოწყობის პრინციპები დაამტკიცეს. დამყარდა „ახალი“ მსოფლიო წესრიგი, რომლის შედეგადაც მსოფლიოს პოლიტიკური განვითარების ცენტრმა დასავლეთ ევროპის გარეთ გადაინაცვლა და პოლიტიკური გავლენის მქონე ორი ახალი პოლუსი შეიქმნა – აშშ და საბჭოთა კავშირი. მათ შორის არსებულმა დაპირისპირებამ და ე. წ. „ცივმა ომმა“ ბიპოლარული მსოფლიო წარმოშვა.

პოლიტიკური გლობალიზაციის პროცესში საჭირო გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფდა პოლიტიკურ სტაბილურობას მსოფლიოში. ეს პროცესი 1945 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე დაიწყო და მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები შეიქმნა: გაერო, ნატო, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა. საერთაშორისო ორგანიზაციები ცდილობენ, მსოფლიოში მშვიდი გარემო შექმნან ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

პოლიტიკური გლობალიზაცია პროცესია, რომელიც იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით მიმდინარეობს, რომლებიც მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებასა და კეთილდღეობაზე ზრუნავენ.

პოლიტიკური გლობალიზაციის საუკეთესო მაგალითია ევროკავშირი, რომლის წევრ სახელმწიფოებსაც ერთიანი პოლიტიკური აზროვნება და სამართალი აქვთ. ევროკავშირის იდეოლოგიის თანახმად, ევროპა ერთიანი პოლიტიკური ერთეულია, თავისი ენობრივი თუ კულტურული განსხვავებების მიუხედავად. ორგანიზაციის წევრი ქვეყნები იაზრებენ, რომ „ძალა ერთობაშია“ და ამიტომ წინსვლასა და გაძლიერებაში ერთმანეთს ხელს არ უშლიან. ამასთან, ამ ქვეყნებს არც თავისუფლება აკლდება და არც სუვერენიტეტი. პირიქით, ევროკავშირში გაწევრიანებამ მათ იმის საშუალება მისცა, რომ მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიდერებად ჩამოყალიბებულიყვნენ.

XX ს-ის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან, კერძოდ კი, საბჭოთა კავშირის ახალი ხელისუფლების მიერ გატარებული კურსის, ე. წ. „პერესტროიკის“ შედეგად, მდგომარეობა შეიცვალა – სოციალურმა სისტემამ კრახი განიცადა და „ცივი ომიც“ დასრულდა.



**სურ. 12.1.** აშშ-ის პრეზიდენტ როლანდ რეიგანისა და სსრკ-ს პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის, მიხეილ გორბაჩოვის შეხვედრა **1995** წელს გაიმართა და სწორედ მათი შეთანხმებული კურსის შედეგად მოხდა მნიშვნელოვანი გარდაქმნები მსოფლიოში.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, მსოფლიოში გლობალიზაციური და ინტეგრაციული პროცესების გავრცელება იწყება, რამაც ხელი შეუწყო სახელმწიფოებისა და ხალხების დაახლოებასა და მათ საყოველთაო კეთილდღეობას. თანამედროვე მსოფლიოში ახალი პოლიტიკური წესრიგი მყარდება და ის ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია. ზოგჯერ მას ერთპოლუსიან მსოფლიოდ მოიხსენიებენ და ამ ერთადერთ პოლუსს ზესახელმწიფო – აშშ – წარმოადგენს; თუმცა, ასევე არსებობს მოსაზრებაც, რომ დღევანდელი მსოფლიო მრავალპოლუსიანია – რამდენიმე ძლიერი ცენტრით (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია).

პოლიტიკური გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი ნიშან-თვისება თავისუფალი ვაჭრობაა, რაც ხელს უწყობს ექსპორტისა და იმპორტის ზრდასა და კაპიტალის მოძრაობას.

თანამედროვე მსოფლიოში გლობალური პოლიტიკა გარკვეულ გავლენას ახდენს ეროვნული სახელმწიფოების სუვერენიტეტზე. პოლიტიკური გლობალიზაცია გარდაქმნის თანამედროვე მსოფლიო წესრიგს, ეროვნული სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებულ ფორმებსა და საერთაშორისო პოლიტიკურ კავშირებს. გლობალური პოლიტიკა ცვლის ტრადიციულ დამოკიდებულებას საშინაო და საგარეო, შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო, ტერიტორიულ და არატერიტორიულ პოლიტიკას შორის. მსოფლიოს ერთ რომელიმე ნაწილში მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები და მოქმედებები სწრაფად აისახება დანარჩენ მსოფლიოზე. პოლიტიკური ცენტრები და მათ მიერ გატარებული ღონისძიებები, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, შესაძლებელია ერთობლივი გადაწყვეტილებების, შეთანხმებებისა და პოლიტიკური ურთიერთზემოქმედების რთულ სისტემად გარდაიქმნას. შესაბამისად, გაჩნდა ისეთი ფენომენი, როგორიცაა „გლობალური მმართველობა“ (Global Governance).

გლობალიზაციის ეპოქაში პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში განსაკუთრებულ როლს ასრულებს „დიდი შვიდეული“ და „დიდი ოცეული“.

დიდი შვიდეული (G7) მსოფლიოს შვიდი წამყვანი ქვეყნის – კანადის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოსა და შეერთებული შტატების – არაფორმალური გაერთიანებაა. ჯგუფი 1975 წელს შეიქმნა 6 სახელმწიფოსგან, რომელთაც ერთი წლის შემდეგ კანადაც შეუერთდა იმ მიზნით, რომ მსოფლიოს მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებს შესძლებოდათ ეკონომიკური პოლიტიკის განხილვა საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. ევროკავშირი დიდი შვიდეულის მუშაობაში 1977 წლიდან მონაწილეობს.

დიდ შვიდეულს 1998-2014 წლებში დიდ რვიანს (G8) უწოდებდნენ, რადგან მისი წევრი რუსეთიც იყო. 2014 წელს ყირიმის ანექსიის გამო რუსეთი ჯგუფის შემადგენლობიდან გარიცხეს.

ჯგუფის წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურები ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს სამიტზე, რომელზეც მსოფლიოს ძირითად პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს განიხილავენ და მათი გადაჭრის ერთობლივ ღონისძიებებს გეგმავენ.

დიდი შვიდეულის სამიტს არ გააჩნია მუდმივმოქმედი აპარატი ან სამდივნო. სამიტის საქმიანობას უძღვება თავმჯდომარე ქვეყანა, რომელიც ყოველწლიურად იცვლება. თავმჯდომარე სახელმწიფო ჯგუფის მუშაობისთვის საჭირო რესურსებს ქმნის და ადგენს მის პრიორიტეტებს.

დიდი შვიდეულის თვითმყოფადობას საფუძვლად მისი საერთო ღირებულებები – დემოკრატია, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, თავისუფალი ბაზრის პრინციპები და საერთაშორისო სამართლის პატივისცემა – უდევს, რაც იმას ნიშნავს, რომ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ განიხილონ ყველა საკითხი, მაშინაც კი, როდესაც მათი პოზიციები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება.

ტრადიციულად, დიდი შვიდეულის სამიტზე, გარდა წევრი ქვეყნებისა, საერთაშორისო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებიც იკრიბებიან. ამასთანავე, სამიტის მუშაობაში მონაწილეობენ სხვა სახელმწიფოებიც თავმჯდომარე ქვეყნის მიწვევით.

დიდ შვიდეულსა და მის ყოველწლიურ სამიტებს კრიტიკოსებიც ჰყავს, რომლებიც ჯგუფს „ძველი ეპოქის არტეფაქტს“ უწოდებენ. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია დიდი შვიდეულის მიერ მიღწეული რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატება, მათ შორის, შიდსის, მალარიისა და ტუბერკულოზის წინააღმდეგ შექმნილი გლობალური ფონდი, რომლის მუშაობამ 2002 წლიდან დღემდე 27 მლნ ადამიანის სიცოცხლე იხსნა. ასევე, მის მიღწევად შეიძლება მივიჩნიოთ პარიზის კლიმატური შეთანხმების გაფორმება.

დიდი შვიდეულის სამიტი ხშირად საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობს, რომლებ-

საც, ძირითადად, გარემოსდაცვითი აქტივისტები მართავენ. მათ სურთ, მსოფლიო ლიდერების ყურადღება მიაქციონ ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა, მაგალითად, კლიმატის ცვლილებები.

დიდ შვიდეულს სახელწოდებითა და ფუნქციებით დიდი ოცეული (G20) წააგავს, რომელიც 1999 წელს დააფუძნეს. 2009 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, უმაღლეს დონეზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, დიდი ოცეული მსოფლიოს მთავარი სტრატეგიული ეკონომიკური ფორუმია, რომელზეც ერთმანეთს წვერი ქვეყნების ფინანსთა მინისტრები და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები ხვდებიან.

დიდი ოცეული მსოფლიოში ეკონომიკურად წამყვან და სწრაფად განვითარებად ქვეყნებს აერთიანებს. ის მსოფლიოს შიდა პროდუქტის 85%-ს, ვაჭრობის 80%-სა და მოსახლეობის 2/3-ს მოიცავს.

### მაგალითი 1

ყოფილი საინვესტიციო ბანკირი და პრინსტონის უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორი მაიკლ ო'სალივანი წიგნში – „რა იქნება გლობალიზაციის შემდეგ“ (The Levelling: What's Next After Globalisation) გარკვეულ სამოქმედო გეგმას გვთავაზობს. ავტორი მულტიპოლარული სამყაროს ჩამოყალიბების მომხრეა, თუმცა იმასაც აცნობიერებს, რომ საერთაშორისო ინსტიტუტები ჯერ ამისთვის მზად არ არიან. ის შეშფოთებულია დაბალი ეკონომიკური ზრდითა და ჭარბვალიანობით, ამიტომაც ყველას მოუწოდებს „რისკის შესახებ მსოფლიო შეთანხმებისკენ“.

„ჩვენ უკვე უკან მოვიტოვეთ გლობალიზაცია, ამიტომ უნდა დავემშვიდობოთ მას და მრავალპოლარული მსოფლიოს ჩამოყალიბებაზე ვიზრუნოთ. ახალ მსოფლიოში სულ მცირე 3 წამყვანი რეგიონი იქნება: აშშ, ევროკავშირი და ჩინეთის ცენტრალური აზია, რომლებიც სულ უფრო ხშირად ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ მიდგომებს გამოიყენებენ პოლიტიკის, თავისუფლების, ომის, ტექნოლოგიებისა და საზოგადოების მიმართ. საშუალო მასშტაბის ქვეყნები, როგორებიცაა რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია და იაპონია, ყველანაირად მოინდომებენ საკუთარი ადგილის დამკვიდრებას მსოფლიოში, ხოლო პატარა და განვითარებული ქვეყნები ახალ კოალიციებს შექმნიან სკანდინავიისა და ბალტიისპირეთის მსგავსად. XX საუკუნის ინსტიტუციები – მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – წარსულს ჩაბარდება“.

## რა არის ეკონომიკური გლობალიზაცია?

ეკონომიკური გლობალიზაცია წარმოების, პროდუქციის, მომსახურების, ტექნოლოგიის, ინფორმაციის, შრომისა და კაპიტალის საერთაშორისო ინტეგრაციისკენ მიმართული ტენდენციაა. გლობალური ეკონომიკა ერთიანი და განუყოფელია და ამით განსხვავდება საერთაშორისო ეკონომიკისგან, რომელიც ეროვნული ეკონომიკებისა და მათი ურთიერთკავშირების სისტემას წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკაში გლობალიზაცია სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენს. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ჩართულია სხვადასხვა ქვეყანა, რომლებიც ერთმანეთთან ვაჭრობითა და მრავალმხრივი შეთანხმებებით დღითი დღე განვითარების ახალ ეტაპზე გადადიან. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ სამყარო ახალ საფეხურზე აიყვანა. დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით, ეკონომიკური გლობალიზაცია უალტერნატივო პროცესია. სწორედ ეს ფაქტი მიგვანიშნებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს თითოეული ადამიანის ცხოვრებაში.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განვითარებული ქვეყნები, რადგან სწორედ ისინი განსაზღვრავენ წესებს საერთაშორისო ეკონომიკურ ბირჟებზე.

ეკონომიკური გლობალიზაციის დროს იზრდება გლობალური ინტეგრაცია არა მარტო მსოფლიო ბაზარზე, არამედ ფინანსურ, სავაჭრო, საკომუნიკაციო და ტექნოლოგიურ სისტემებში, ასევე კანონებში, რომლებიც სცდება ტრადიციულ ეროვნულ, კულტურულ, ეთნიკურ და სოციალურ საზღვრებს. ეკონომიკური გლობალიზაციის წესები სავაჭრო შეთანხმებებმა, საერთაშორისო სამართალმა და დომინირებულმა ქვეყნებმა შექმნეს.

**მობილური ტელეფონების ბრენდების გეოგრაფია ეკონომიკური გლობალიზაციის კარგი მაგალითია.**




ეკონომიკური გლობალიზაცია, ძირითადად, სამ სფეროში ვლინდება: წარმოებაში, ვაჭრობასა და ფინანსურ ურთიერთობებში. წარმოების გლობალიზაციას, უპირველესად, ტრანსეროვნული კორპორაციების (ტეკ) სწრაფი განვითარება გამოხატავს. მეტ-ნაკლებად ურთიერთდაკავშირებული ქვეყნებიდან მსოფლიო ეკონომიკური საზოგადოება ერთიან, მთლიან ეკონომიკურ სისტემად გარდაიქმნა, რომელშიც ეროვნული ელემენტები ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს.




ეკონომიკური გლობალიზაციის მიზეზები, საშუალებები და სახეები

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების წინსვლამ საგრძნობლად შეამცირა კომუნიკაციისა და გადაზიდვების შემაფერხებელი ფაქტორები. საინფორმაციო რევოლუციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მძლავრი და სწრაფი განვითარების წყალობით, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად დაჩქარდა და გაძლიერდა. თანამგზავრების დახმარებით დედამიწის ნებისმიერი წერტილში მყოფ აბონენტებს შეუძლიათ, ერთმანეთს მობილური ტელეფონების, ტელეფაქსისა თუ ინტერნეტის საშუალებით დაუკავშირდნენ. ამ უახლესმა სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიებმა შექმნა „ზენაციონალური ხიდები“, რომელთა წყალობითაც ნებისმიერ ინფორმაციას შეუძლია, ადვილად გადალახოს ფიზიკური დაბრკოლებები და სახელმწიფო საზღვრები. ჩამოყალიბდა გლობალური „კიბერსივრცე“.

თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემები საშუალებას გვაძლევს, უმოკლეს დროში მოვიპოვოთ აუცილებელი ინფორმაცია ნებისმიერი მანძილიდან და ასევე სწრაფად მივიღოთ გადაწყვეტილებები, რომლებიც კაპიტალის საერთაშორისო ინვესტიციის, წარმოების კოოპერაციისა და მარკეტინგის ორგანიზებას ამარტივებს.

ეკონომიკური გლობალიზაცია თანამედროვე ცხოვრების განმსაზღვრელი ფაქტორია. ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესი, დიდი ხანია, გრძელდება, მაგრამ უკანასკნელ წლებში ამ სფეროში მიმდინარე სწრაფმა ცვლილებებმა მსოფლიო ეკონომიკაში ახალი პარადიგმა შექმნა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ახალი შინაარსი შესძინა. ერთი მხრივ, მსოფლიო არენაზე წარმოიქმნა ახალი ბაზრები, ხოლო, მეორე მხრივ, გლობალურად მიმდინარე ინტეგრაციულმა პროცესებმა ცალკეულ ქვეყნებსა და რეგიონულ გაერთიანებებს შორის ადრე არსებული საზღვრები თანდათანობით წაშალა. გლობალიზაციამ შექმნა პირობები საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ტექნოლოგიების ურთიერთხელსაყრელი გაცვლისთვის. შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ერთ „დიდ ქალაქად" გადაიქცა, სადაც ყველა ცდილობს მოგების მიღებას. ასეთია, ზოგადად, გლობალიზაცია და, მათ შორის, ეკონომიკური ინტეგრაციის ფილოსოფია, რომელიც აიძულებს ქვეყნებსა და რეგიონებს, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციისა და მომსახურების წარმოება, რათა ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში.

მსოფლიოს ქვეყნების ეროვნულ ეკონომიკათა უმრავლესობის ერთმანეთზე დამოკიდებულებამ ისინი მეტ-ნაკლებად ავტონომიური სამეურნეო სტრუქტურებიდან გლობალური სამეურნეო ორგანიზმის შემადგენელ ელემენტებად გარდაქმნა.

თანამედროვე მსოფლიო ქვეყნების ამოცანაა, საერთაშორისო ბაზარზე დინამიზმის შენარჩუნებით ხელი შეუწყოს ეკონომიკური გლობალიზაციის სამართლიანობას, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას, ეკონომიკური გლობალიზაციის სირთულეების უკეთ გააზრებას, გლობალიზაციის პროცესში სწორად ჩართვასა და სხვადასხვა ქვეყანასთან ურთიერთქმედებით განვითარების ტემპის დაჩქარებას, რითაც საბოლოო ჯამში, გაუმჯობესდება მოსახლეობის კეთილდღეობა.

# 8. შეფასება

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში ეფექტიანი და წარმატებული სწავლებისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება, რისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ობიექტურ შეფასებას, შეფასების მრავალმხრივ მიდგომას, შეფასების რუბრიკების გამოყენებას მუშაობის პროცესში. მოსწავლის შეფასება მასწავლებლის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი საქმიანობაა. მკვლევართა აზრით (მუისი და რეინოლდსი, 2005), შეფასებაზე მასწავლებლის დროის ერთი მესამედი იხარჯება.

მოსწავლის შეფასება გვაძლევს იმის საშუალებას, გავიგოთ, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა სასწავლო მასალა, რომელია მათი ძლიერი და სუსტი მხარე. შეფასების საშუალებით სწორად ვგეგმავთ სასწავლო პროცესს და, მოსწავლეთა პროგრესისა თუ რეგრესის გათვალისწინებით, ვადგენთ სასწავლო აქტივობებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში გამოიყენება ორი ტიპის შეფასება – განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს საგნობრივი სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. მოსწავლე ფასდება ათქულიანი სისტემით, ყველაზე დაბალი ქულაა 1, ხოლო ყველაზე მაღალი – 10. განმავითარებელი შეფასება ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ.

საკლასო შეფასება უნდა შეესაბამებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმის პირველი კარის მე-7 თავში განსაზღვრულ შეფასების პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მას ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება გამოუმუშავებს მას დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია, მოსწავლე გაერკვეს სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

## შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასება უნდა ზომავდეს, რამდენად ფლობს ან/და რამდენად ფუნქციურად იყენებს მოსწავლე სამიზნე ცნებებს. ცნებების დაუფლების ხარისხის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. სოლო ტაქსონომია (დაკვირვებადი სასწავლო შედეგების სტრუქტურის ტაქსონომია – ინგლ. SOLO – Structure of Observed Learning Outcomes), რომელიც წარმოადგენს პლატფორმას შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად. სოლო ტაქსონომია ზომავს მოსწავლეთა მიღწევებს 5 დონის მიხედვით.

ეს დონეებია:

| |
|---|
| SOLO 1: პრესტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს საერთოდ ვერ გაუაზრებია საკითხი, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია საკითხს. |
| SOLO 2: უნისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის განხილვა და მარტივი, აშკარა/ცხადი კავშირების დამყარება. მოსწავლეს შეუძლია ტერმინოლოგიის გამოყენება, ზეპირად გადმოცემა (გახსენება), მარტივი ინსტრუქციების/ალგორითმების შესრულება; პარაფრაზირება, ამოცნობა, დასახელება ან დათვლა. |
| SOLO 3: მულტისტრუქტურული დონე<br>მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის განხილვა განცალკევებულად, ერთმანეთთან კავშირის გარეშე. მას შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, კლასიფიცირება, კომბინირება; მეთოდების, სტრუქტურის გამოყენება; პროცედურების შესრულება და სხვა. |
| SOLO 4: მიმართებითი დონე<br>მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს კავშირი რამდენიმე ასპექტს შორის, აგრეთვე, ისიც, თუ როგორ ერგება/შეეხამება ეს ასპექტები ერთმანეთს და ქმნის მთელს, მთლიანობას. მისი ნააზრევი სტრუქტურირებულია და ამგვარად, მოსწავლეს აქვს იმის უნარი, რომ შეადაროს, დააკავშიროს, გააანალიზოს, გამოიყენოს თეორია, ახსნას საკითხი მიზეზებისა და შედეგების კუთხით. |
| SOLO 5: გაფართოებული აბსტრაქტული დონე<br>მოსწავლეს შეუძლია სტრუქტურის განზოგადება მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა, სტრუქტურის აღქმა მრავალი სხვადასხვა კუთხიდან/თვალთახედვით და იდეების გადატანა ახალ სფეროში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის წამოყენება, კრიტიკა ან თეორიის ჩამოყალიბება. |

სოლო ტაქსონომიის ერთ-ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ მასწავლებლებს გაუადვილდებათ დონის განსაზღვრა და დაეხმარებიან მოსწავლეებს სასწავლო პროცესის წარმართვაში.

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოითხოვს სამიზნე ცნებებით განსაზღვრული ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციური კონტექსტების ფარგლებში.

## ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისთვის

ქვემოთ გთავაზობთ სტანდარტით გათვალისწინებულ ტიპობრივ შემაჯამებელ დავალებათა ნუსხას. მოსწავლეზე და/ან მასწავლებელზეა დამოკიდებული, თუ რომელ დავალებას/დავალებებს შეარჩევს.

- პროექტი (ის შეიძლება ეხებოდეს ისეთ საკვლევ საკითხს, როგორიცაა „როგორ ვებრძოლოთ ნიადაგის ეროზიასა და დეგრადაციას?“კვლევის შედეგები სხვადასხვა სახით შეიძლება წარმოვადგინოთ (პრეზენტაცია, წერილობითი ანგარიში და/ან ესე);
- გეოგრაფიული ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით რუკების, გრაფიკების, ცხრილების, დიაგრამების შექმნა, მათ შორის, ელექტრონული სახით;
- ესე (მოსწავლეები დაწერენ ესეს პრობლემურ და/ან აქტუალურ საკითხზე, მაგ.: „როგორი იქნება ჩვენი პლანეტის დემოგრაფიული პორტრეტი 100 წლის შემდეგ?“);
- გეოგრაფიული სამაგიდო და საველე კვლევა (კვლევითი სამუშაო ტარდება საკლასო ოთახის გარეთ, მაგალითად, ამ დროს მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად მიდიან ბუნებაში ან რომელიმე საწარმოში და იკვლევენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: საწარმოს ტიპი და გამოშვებული პროდუქცია, მწვანე სოფლის მეურნეობა და სხვა).

გეოგრაფიაში უნდა შეფასდეს მოსწავლის ძირითადი გეოგრაფიული ცოდნა და მისი გააზრებული გამოყენება, ძირითადი გეოგრაფიული უნარების შეძენა და ღირებულებებისა და მიდგომების განვითარება მდგრადი განვითარებისათვის. შეფასების სხვადასხვა ხერხი გამოიყენება რაც შეიძლება ბუნებრივად, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა (იხ. დამატებითი ლიტერატურა, „გეოგრაფიული უნარები“).

მოსწავლეების შესახებ ამ ღირებული ინფორმაციის უმეტესი ნაწილი გროვდება ყოველდღიური დაკვირვების, განსაკუთრებით, ეფექტიანი გამოკითხვისა და დისკუსიის პროცესში. ასეთი დაკვირვება აუცილებელია დასკვნების გამოსატანად იმის შესახებ, თუ რა იციან მოსწავლეებმა, რა არის მათი ძლიერი მხარე და რას სჭირდება გაუმჯობესება, რათა დასახული მიზნების მისაღწევად შეირჩეს სათანადო, შესაბამისი სწავლების სტრატეგიები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია მოსწავლის სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, აგრეთვე, მოსწავლეების პასუხებზე დაყრდნობით, საკლასო დისკუსიებში მონაწილეობით, მოსწავლის ნამუშევრის განმსაზღვრელი შეფასებითა და ეფექტიანი, ხარისხიანი უკუკავშირით, მოსწავლეების თვითშეფასებითა და ურთიერთშეფასებით.

ღირებული ინფორმაცია მოსწავლის მიღწევის შესახებ შეიძლება შევაგროვოთ სხვადასხვა საკლასო აქტივობაში ჩართულობის დროს მოსწავლეზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგად. ეს აქტივობები მოიცავს: ინფორმაციის მოპოვებას პირველადი და მეორადი წყაროებიდან, ველზე დაკვირვებას, მარტივი ცდების შედეგად შესაძლო შედეგების პროგნოზირებას, კანონზომიერებების დადგენას, სამუშაო ფურცლების შევსებას, ზეპირ პრეზენტაციას, წერით სამუშაოს, კონტურულ და თემატურ რუკებზე მუშაობას, საკლასო ტესტებს, რუკების შედგენასა და ანალიზს, გრაფიკების გამოყენებასა და ინტერპრეტაციას, ელექტრონული მედიის საშუალებებიდან ინფორმაციის მოპოვებას, გეოგრაფიული კვლევის დამოუკიდებლად ჩატარებასა და დაკვირვების შედეგების პროექტის სახით წარმოდგენას.

სხვადასხვა სირთულის დავალებების გამოყენება განსხვავებულ სიტუაციებში მასწავლებელს საშუალებას აძლევს, უფრო ზუსტად შეაფასოს განსხვავებული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის გეოგრაფიული ცოდნა/გააზრების უნარი.

განმავითარებელი შეფასების პროცედურები მასწავლებლებს აძლევს ღირებულ ინფორმაციას მოსწავლის მიღწევის შესახებ და გავლენას ახდენს მათ პროგრესზე. შემაჯამებელი შეფასებები, როგორებიცაა შუალედური, სემესტრული წერები, არ უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ნიშნის დასაწერად, არამედ უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის მიღწევის შეფასებასაც.

ისინი უნდა შეიცავდეს განმავითარებელი შეფასების ელემენტებსაც, რათა წავახალისოთ მოსწავლეები, მოახდინონ რეფლექსია საკუთარ ნამუშევარზე, რაც, ამავე დროს, ეხმარება მასწავლებელს, შეაფასოს სწავლების წარმატება და დასახოს მიზნები მის გასაუმჯობესებლად.

მოსწავლის პროგრესის ამსახველი დოკუმენტაცია შეიძლება მოთავსდეს მოსწავლის პორტფოლიოში. ეს შეიძლება მოიცავდეს მარტივ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს მოსწავლის ძალისხმევას და შეიძლება წარმოადგენდეს რუკაზე ნამუშევარს, შექმნილი მოდელის ფოტოს, ნანახი საკვლევი ადგილების შესახებ ჩანაწერებსა და სურათებს, ექსპერიმენტების ჩატარების ამსახველ დოკუმენტებს, მოსწავლის ჩანაწერებს სამუშაო ფურცლის სახით ან კვლევის მასალებს მეორადი წყაროებიდან, თუნდაც, როგორიცაა ინტერნეტი.

# ᲡᲝᲚᲝ ᲢᲐᲥᲡᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲜᲘᲛᲣᲨᲘ

## რეკომენდაციები რუბრიკის პრაქტიკაში გამოსაყენებლად

პირველი ოთხი დონე (პრესტრუქტურული, უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი) ყველა ცნებასთან მიმართებით, პრაქტიკულად, იდენტურია, მეხუთე (აბსტრაქტული) დონე კი საერთოა ყველა სამიზნე ცნებისთვის.

რუბრიკის გამოყენება შეიძლება საგნის ფარგლებში ნებისმიერ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების კომენტარს ჩაწერს მხოლოდ იმ გრაფაში, რომელ სამიზნე ცნებასაც ამოწმებს და რომელ დონესაც შეესაბამება მოსწავლე.

ეს რუბრიკა განკუთვნილია განმავითარებელი შეფასებისთვის და არა ტესტების შესამოწმებლად, სადაც ყურადღება ექცევა ტერმინებს – „აღწერე-ახსენი-შეაფასე“.

თემა ____________________

საკითხი ____________________

კომპლექსური დავალების პირობა ____________________

| ᲡᲐᲛᲘᲖᲜᲔ ᲪᲜᲔᲑᲐ<br><br>ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘ | ᲒᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲠᲡᲘ | ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ | ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე**<br>მოსწავლე სიღრმისეულად იაზრებს საკითხის არსს / არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. იგი უკავშირებს განსახილველ საკითხს საკუთარ პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მაგალითებზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოყოფილ ყველა სამიზნე ცნებაზე. აკავშირებს კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილ მოცემულობასა (ცოდნის განზოგადება, პარალელების გავლება პირად გამოცდილებასთან – საქართველოს მაგალითზე ან/და სადაც ეს შესაძლებელია) და სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებს. მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე:** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს **გეოგრაფიულ გარსთან** დაკავშირებულ საკითხებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების /სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს **მოსახლეობა და მეურნეობასთან** დაკავშირებულ საკითხებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების/სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს **მდგრად განვითარებასთან** დაკავშირებულ საკითხებს. გამოკვეთს კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმების /სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. |
| **მულტისტრუქტურული დონე:** მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არ აქვს მწყობრი, თანამიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არა აქვს მწყობრი, თანამიმდევრული სახე. | მოსწავლეს აქვს არაერთი ასოციაცია შესასწავლ საკითხთან მიმართებით, თუმცა, იმავე საკითხთან დაკავშირებით, მის მიერ გადმოცემულ ამბებს არა აქვს მწყობრი, თანამიმდევრული სახე. |
| **უნისტრუქტურული დონე:** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/ წარმოდგენა განსახილველ აკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. | მოსწავლის მსჯელობა შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით შემოიფარგლება საკვანძო სიტყვებზე/სათაურზე მარტივი და ლოგიკური რეფლექსიით. |
| **პრესტრუქტურული დონე:** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არა აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს /კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს /კომპლექსური დავალების პირობას. | მოსწავლე მართებულად ვერ იგებს საკითხთან დაკავშირებულ შეკითხვებს /კომპლექსური დავალების პირობას. |

## მოსწავლის წიგნში მოცემული შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შეფასების რუბრიკები – სოლო ტაქსონომიის სქემები

პირველი ოთხი დონე (პრესტრუქტურული, უნისტრუქტურული, მულტისტრუქტურული, მიმართებითი) ყველა ცნებასთან მიმართებით, პრაქტიკულად, იდენტურია, მეხუთე (აბსტრაქტული) დონე კი საერთოა ყველა სამიზნე ცნებისთვის.

რუბრიკის გამოყენება შეიძლება საგნის ფარგლებში ნებისმიერ სამიზნე ცნებასთან მიმართებით. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების კომენტარს ჩაწერს მხოლოდ იმ გრაფაში, რომელ სამიზნე ცნებასაც ამოწმებს და რომელ დონესაც შეესაბამება მოსწავლე.

## თემა 1. კლიმატის გლობალური ცვლილება

### მაგალითი 1

**საკითხი:** ტუპუნგატოს მყინვარი - დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა (მყინვარების დნობა)

**კომპლექსური დავალების პირობა:** კლიმატის თანამედროვე ცვლილების დაწყებას მყინვარების სწრაფად დნობაც მოჰყვა და ეს უნიკალური გეოგრაფიული ობიექტები, თავიანთი განუმეორებელი ეკოსისტემით, დიდი გამოწვევების წინაშე დგას. არადა, მეცნიერთა აზრით, სწორედ მყინვარებია კლიმატის ცვლილების ყველაზე კარგი ინდიკატორი.

აშშ-ის თოვლისა და ყინულის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, მნიშვნელოვნად შემცირდა შელფური და მთის მყინვარების ფართობები. უკან დახეული მყინვარები თავიანთ ნაკვალევს „ტოვებენ, რომელიც წარსულის შესახებ გვიყვება“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთიანი ტერიტორიების სამეცნიერო შესწავლას, მისი ბუნების შენარჩუნებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის წარმოჩენას, აქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და ტრადიციების კვლევას, რეკრეაციული და რესურსული პოტენციალის განსაზღვრას, მდგრად ტერიტორიულ დაგეგმარებასა და სივრცით მოწყობას.

წარმოიდგინე, რომ ორგანიზაციის – „მთის მყინვარების მცველი“ – წევრი ხარ და შენი მიზანია, საზოგადოებამ გააცნობიეროს საკუთარი როლი მყინვარების დნობის პროცესში. შენი ამოცანაა, შეისწავლო ტუპუნგატოს მწვერვალი – დედამიწის ერთ-ერთი ყველაზე მყიფე ზონა; დაადგინო, როგორ იცვლება და რა ურთიერთკავშირია ტუპუნგატოს მთის მყინვარების დნობასა და ადამიანის საქმიანობას შორის. საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით შექმენი ბლოგი.

**ბლოგში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- როგორ აისახება გლობალური კლიმატცვლილება ტუპუნგატოს მთისა და პლანეტის მყინვარებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**
- როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და ცხოვრების დონე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2 );**
- რატომაა მნიშვნელოვანი მყინვარებისა და, მათ შორის, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობის შეჩერება და როგორ აისახება ეს მოვლენა მთიანი რეგიონების მდგრად განვითარებაზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

| სამიზნე ცნება<br><br>კრიტერიუმი | გეოგრაფიული გარსი | მოსახლეობა და მეურნეობა | მდგრადი განვითარება |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე:**<br>მოსწავლე სიღრმისეულად იაზრებს საკითხის არსს/არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილი საკითხის – ტუპუნგატოს მყინვარი – დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე მყიფე ზონა (მყინვარების დნობა) – მაგალითზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>მოსწავლე სრულყოფილად წარმოადგენს დავალებას – ბლოგს. სიღრმისეულად იაზრებს ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს.<br>მოსწავლეს მოჰყავს მაგალითები და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. აპელირებს შემდეგი ფრაზებით: „ვიცი, თუ როგორ აისახება გლობალური კლიმატცვლილება ტუპუნგატოს მთის მყინვარსა და პლანეტის მყინვარებზე და როგორ გადაჭრის მთის მყინვარების დნობით გამოწვეულ პრობლემებს მსოფლიო. შემიძლია ავხსნა, როგორ შეიცვლება ტუპუნგატოს მყინვარის დნობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურობა და ცხოვრების დონე და როგორ შეიძლება ამ პრობლემის გადაჭრა. საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტირებულად ასაბუთებს.<br>ბლოგში ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას კლიმატცვლილების შესახებ, კერძოდ: ნაშრომში გამოკვეთილია, რა გავლენა მოახდინა კლიმატის ცვლილებამ მთის მყინვარების მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე; მსჯელობს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების როლზე – როგორ შეცვალა კლიმატცვლილებამ მოსახლეობის დასაქმებულობის ხასიათი და როგორ აისახა ეს პროცესი მსოფლიო ეკონომიკაზე; განიხილავს კონკრეტულ ფაქტებს, აკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მსჯელობს და ასაბუთებს მოსახლეობის საქმიანობის გავლენაზე მთის მყინვარების დნობის შესაჩერებლად და მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარებისთვის.<br>ტუპუნგატოს მყინვარის დნობის პროცესს ადარებს სხვა მთის მყინვარებს, კლიმატცვლილების შედეგებსა და საჭიროებას განიხილავს მსოფლიოს (გლობალურ) ჭრილში.<br>მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით. | | |
| **მიმართებითი დონე:**<br>მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს გეოგრაფიული სფეროების ურთიერთკავშირს და მათ გავლენას გლობალურ კლიმატცვლილებაზე, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობაზე. საკითხს განიხილავს როგორც მთლიან/ერთიან სისტემას. განსაზღვრავს თითოეული ფაქტორის როლს და მსჯელობს, თუ როგორ შეიცვლება გეოგრაფიული სფეროები რომელიმე მათგანის ცვლილების შემთხვევაში. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად განსაზღვრავს ტუპუნგატოს მყინვარის დნობის ზეგავლენას ადამიანის სამეურნეო საქმიანობასა და ქვეყნის განვითარების პროცესზე, მსჯელობს ტუპუნგატოს მყინვარის დნობის ზეგავლენის შესახებ მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე და განსაზღვრავს კონკრეტულ დარგებს. გამოკვეთს შეფასების კრიტერიუმებისა და მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს, თუ როგორ გადაჭრის კლიმატცვლილების შედეგად გამოწვეული ტუპუნგატოს მყინვარის დნობის საკითხს და როგორ აისახება ეს პროცესი მთიანი რეგიონის მაცხოვრებლებზე. კერძოდ, შეამცირებს არარაციონალურ გამოყენებას. გამოკვეთს მდგრადი განვითარების სამ მთავარ კომპონენტს შორის ურთიერთკავშირს: სოციალურს, ეკონომიკურსა და გარემოსდაცვითს. |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მულტისტრუქტურული დონე: მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.** | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას გლობალურ კლიმატცვლილებაზე, ტუპუნგატოს მთის მყინვარის დნობაზე. ვერ აკავშირებს ნოოსფეროს გავლენას მთის მყინვარების დნობასთან და ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის, ჩამოთვლის და აღწერს მთის მოსახლეობის მეურნეობის სტრუქტურას, შეუძლია კრიტერიუმების შერჩევა, კლასიფიცირება და აღწერა, თუმცა მთის მყინვარების დნობასთან ვერ აკავშირებს და ვერ ხსნის რა გავლენას მოახდენს მათზე, ვერ გადმოსცემს მწყობრად და თანამიმდევრულად. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და ესმის საჭიროება, მაგრამ ვერ ხვდება, რა როლს ასრულებს კლიმატცვლილება და მთის მყინვარების დნობა მოსახელობის კეთილდღეობაზე, ვერ გადმოსცემს მწყობრად, თანამიმდევრულად. |
| **უნისტრუქტურული დონე:** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას გლობალურ კლიმატცვლილებასა და მთის მყინვარების დნობაზე. ვერ აკავშირებს ნოოსფეროს კლიმატცვლილებასთან და ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, იცის კლიმატცვლილების, მთის მყინვარების დნობისა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ, მაგრამ ვერ აკავშირებს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ქვეყნის მდგრად განვითარებასთან. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების შესახებ, მაგრამ ვერ აკავშირებს კლიმატცვლილების, მთის მყინვარების დნობით გამოწვეულ მსოფლიო მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან. არ იცის, როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს მოსახლეობის საქმინობას. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. |
| **პრესტრუქტურული დონე:** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არა აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია გეოგრაფიული გარსის კომპონენტებს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო ურთიერთმიმართება კლიმატცვლილებასა და მთის მყინვარების დნობის პროცესსა და მოსახლეობის საქმიანობას შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია კლიმატცვლილებასა და მთის მყინვარების დნობის პროცესს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. |

**მაგალითი 2.**

**თემა:** კლიმატის გლობალური ცვლილება

**საკითხი:** ტეიტიოტას საქმე (ლტოლვილები, დევნილები)

კომპლექსური დავალების პირობა: კლიმატის ცვლილება ათობით მილიონი ადამიანის მიგრაციას იწვევს, სხვადასხვა ბუნებრივი კატასტროფის, მათ შორის, ქარიშხლის, გვალვისა და წყალდიდობისგან თავის დასაღწევად. გარემოსდამცველების შეფასებით, 2010 წელს მსოფლიოში 40 მილიონზე მეტი კლიმატური მიგრანტი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი გარემო კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზეზების გამო. 2020 წელს მიუხედავად კოვიდ 19-ის პანდემიისა, მათმა რიცხვმა 34 მლნ-ს გადააჭარბა. პროგნოზის მიხედვით, 2050 წლისთვის ეკომიგრანტთა რაოდენობამ შესაძლოა 200-250 მილიონ ადამიანს მიაღწიოს.

წარმოიდგინე, რომ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) წევრი ხარ. როგორც ლტოლვილების უფლებების დაცვასა და კეთილდღეობაზე მზურველი ორგანიზაციის წევრს, კუნძულ კირიბატის მოქალაქის – ტეიტიოტას – საქმის შესწავლა და სასამართლო პროცესზე მისი დაცვა დაგევალა. იმიტირებული სასამართლო პროცესისთვის მომზადე სიტყვა, რომელიც შენი დაცვის ქვეშ მყოფი კლიმატური ლტოლვილის უფლებებს დაიცავს.

**დაცვის სიტყვაში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება კუნძულ კირიბატის ბუნებრივ გარემოზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**
- როგორ აისახება კლიმატის ცვლილების შედეგები კირიბატის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**
- როგორ მოქმედებს ქვეყნების მიერ გატარებული მიგრაციული პოლიტიკა კლიმატურ ლტოლვილთა პრობლემებსა და მიგრაციულ კრიზისზე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ.წ. 3);**
- როგორ შეიძლება კლიმატური ლტოლვილების პრობლემების მოგვარება **(მდგრადი განვითარება, მ .წ. 1, 2).**

| **სამიზნე ცნება**<br><br>**კრიტერიუმი** | **გეოგრაფიული გარსი** | **მოსახლეობა და მეურნეობა** | **მდგრადი განვითარება** |
|---|---|---|---|
| **აბსტრაქტული დონე:**<br>მოსწავლე სიღრმისეულად იაზრებს საკითხის არსს/ არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას. | მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილი საკითხის – ტეიტიოტას საქმის (ლტოლვილები, დევნილები) – მაგალითზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოყოფილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>მოსწავლე სრულყოფილად წარმოადგენს დავალება – დაცვის სიტყვას. სიღრმისეულად იაზრებს ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს. მოსწავლეს მოჰყავს მაგალითები და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. აპელირებს შემდეგი ფრაზებით: „ვიცი, თუ რა როლს ასრულებს კლიმატის ცვლილება რეგიონისა და ქვეყნის განვითარების პროცესში, როგორ შეიძლება კლიმატის ცვლილების შერბილება და კუნძულ კირიბატის მოსახლეობის ცხოვრების გაუმჯობესება.<br>დაცვის სიტყვაში ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას კლიმატის ცვლილების შესახებ, კერძოდ: ნაშრომში გამოკვეთილია, რომელ ფაქტორებზეა დამოკიდებული კლიმატის ცვლილება და რეგიონში წარმოქმნილი პრობლემები. განიხილავს კლიმატის ცვლილების შედეგებს ტეიოიტას ოჯახის მაგალითზე.<br>მსჯელობს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების როლზე - როგორ შეიძლება კლიმატის ცვლილების შეჩერება და მისი უარყოფითი ზეგავლენის შესუსტება გარემოსა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე და როგორ აისახა ეს პროცესი მსოფლიო ეკონომიკაზე; განიხილავს კონკრეტულ ფაქტებს, აკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. მსჯელობს და ასაბუთებს კლიმატის ცვლილების უარყოფითი ზეგავლენის შეჩერების საჭიროებას რეგიონისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში, განიხილავს მსოფლიოს (გლობალურ) ჭრილში.<br>მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით. | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე:** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს გეოგრაფიული სფეროების ურთიერთკავშირს და მათ გავლენას კუნძულ კირიბატის ბუნებრივ გარემოზე; საკითხს განიხილავს როგორც მთლიან/ერთიან სისტემას. განსაზღვრავს თითოეული ფაქტორის როლს და მსჯელობს, თუ როგორ შეიცვლება გეოგრაფიული სფეროები, თუ რომელიმე მათგანი განიცდის ცვლილებას. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად განსაზღვრავს კუნძულ კირიბატის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ტეიტიოტას ოჯახის მაგალითზე. მსჯელობს ლტოლვილების პრობლემებზე და განსაზღვრავს კონკრეტულ ფაქტორებს. შეფასების კრიტერიუმებს ადგენს მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს, თუ როგორ გადაჭრის კლიმატცვლილების შეჩერება კუნძულ კირიბატის მცხოვრებთა პრობლემებს. გამოკვეთს მდგრადი განვითარების სამ მთავარ კომპონენტს შორის ურთიერთკავშირს: სოციალურს, ეკონომიკურსა და გარემოსდაცვითს. |
| **მულტისტრუქტურული დონე: მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.** | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას კლიმატცვლილების პროცესში. ვერ აკავშირებს ნოოსფეროს გავლენას კუნძულ კირიბატის ბუნებრივი პირობების ცვლილებასთან და ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის, ჩამოთვლის და აღწერს ლტოლვილების პრობლემებს ტეიტიოტას ოჯახის მაგალითზე. შეუძლია კრიტერიუმების შერჩევა, კლასიფიცირება და აღწერა, თუმცა მათ კლიმატცვლილებათან ვერ აკავშირებს. ვერ გადმოსცემს მწყობრად და თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და ესმის საჭიროება, მაგრამ ვერ ხვდება, რა როლს ითამაშებს კლიმატის ცვლილების შეჩერება გარემოს დაცვის ღონისძიებაში. კერძოდ, წყლის დონის აწევას ვერ აკავშირებს ლტოლვილების პრობლემებთან ტეიოიტას ოჯახის მაგალითზე. ვერ გადმოსცემს მწყობრად, თანამიმდევრულად. |
| **უნისტრუქტურული დონე:** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას კუნძულ კირიბატის ბუნებრივ გარემოსთან. ვერ აკავშირებს ნოოსფეროს კლიმატცვლილებასთან და ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, იცის კლიმატის ცვლილების შესახებ, ლტოლვილების პრობლემებს ჩამოთვლის, მაგრამ ვერ აკავშირებს მოსახლეობის საქმიანობასა და ბუნებრივ პირობებს, ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების შესახებ, მაგრამ ვერ აკავშირებს კლიმატის ცვლილებასა და მოსახლეობის კეთილდღეობასთან. არ იცის, როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყნის განვითარების პროცესს. |
| **პრესტრუქტურული დონე:** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არა აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია გეოგრაფიული გარსის კომპონენტებს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა ურთიერთმიმართებაა კლიმატცვლილებასა და ქვეყნის განვითარების პროცესს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია კლიმატის ცვლილების შერბილებასა და მდგრად განვითარებას შორის.<br>მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. |

## თემა 2: გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები

**მაგალითი 1**

<table>
<tr><td colspan="4">

**თემა:** გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები<br>
**საკითხი: თურქეთი** – ოსმალეთის იმპერიიდან გლობალურ ქვეყნამდე (კულტურული გლობალიზაცია)<br>
**კომპლექსური დავალების პირობა:** თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესთან, უფრო კონკრეტულად კი მის შედეგებსა და ზეგავლენასთან დაკავშირებით, ერთიანი აზრი არ არსებობს. გლობალიზაციას ჰყავს როგორც მომხრეები, ასევე მოწინააღმდეგეები, რომლებიც მაგალითებზე დაყრდნობით აანალიზებენ პროცესს და გლობალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე მსჯელობენ. გლობალიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს ან – პირიქით – უარყოფითი გავლენა მოახდინოს თითოეული ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაზე.<br>
გლობალიზაციის პროცესები ხელს უწყობს ადამიანთა ცხოვრების რეალური დონის ამაღლებას, წარმოების შესაძლებლობების გაზრდას, წარმოებული საქონლისა და მომსახურების მრავალფეროვნებას, ასევე, ინოვაციებსა და ტექნოლოგიურ მიღწევებს, რაც დადებითად მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.<br>
წარმოიდგინე, რომ გლობალური მმართველობის ინსტიტუტის თანამშრომელი ხარ. შენი მიზანია გლობალიზაციისა და დეგლობალიზაციის საკითხების შესახებ თურქეთის მოსახლეობისა და მედიის ყურადღების მიპყრობა.<br>
შექმენი ლეპბუკი, რომელიც გადმოსცემს შენ პირად დამოკიდებულებას/მოსაზრებას თურქეთის სახელმწიფოს განვითარებაში გლობალიზაციის პროცესის როლსა და მნიშვნელობაზე. ლეპბუკში ასახე, თუ რომელ მიდგომას უჭერ მხარს: გლობალიზაციას თუ დეგლობალზიაციას?<br>
**ლეპბუკში ხაზგასმით წარმოაჩინე:**<br>
• რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები თურქეთის ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის, როგორც გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში (**გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1);**<br>
• როგორ აისახება გლობალიზაციის პროცესი, თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე (**მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**<br>
• როგორ განვითარდება გლობალიზაციის პროცესი თურქეთში და რა როლს შეასრულებს ქვეყანა მდგრადი მსოფლიოს მშენებლობის პროცესში (**მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

</td></tr>
<tr><th>სამიზნე ცნება<br><br>კრიტერიუმი</th><th>გეოგრაფიული გარსი</th><th>მოსახლეობა და მეურნეობა</th><th>მდგრადი განვითარება</th></tr>
<tr><td>

**აბსტრაქტული დონე:**<br>
მოსწავლე სიღრმისეულად იაზრებს საკითხის არსს/ არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.

</td><td colspan="3">

მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილი საკითხის – **თურქეთი – ოსმალეთის იმპერიიდან გლობალურ ქვეყნამდე** (კულტურული გლობალიზაცია) – მაგალითზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოყოფილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>
მოსწავლე სრულყოფილად წარმოადგენს დავალება – ლეპბუკს. სიღრმისეულად იაზრებს ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს.<br>
მოსწავლეს მოჰყავს მაგალითები და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. აპელირებს შემდეგი ფრაზებით: „ვიცი, თუ რა როლს ასრულებს გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები თურქეთის ეკონომიკური განვითარებისა და მისი მოსახლეობის, როგორც გლობალური საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში; შემიძლია ავხსნა, როგორ აისახება გლობალიზაციის პროცესი თურქეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებასა და ეკონომიკური განვითარების დონეზე; საკუთარ მოსაზრებებს არგუმენტირებულად ასაბუთებს.<br>
ლეპბუკში ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას კლიმატცვლილების შესახებ, კერძოდ: ნაშრომში გამოკვეთილია, რა გავლენა მოახდინა კულტურული გლობალიზაციის პროცესმა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე; მსჯელობს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების როლზე – როგორ შეცვალა გლობალიზაციამ მოსახლეობის დასაქმებულობის ხასიათი და როგორ აისახა ეს პროცესი ქვეყნისა და მსოფლიოს ეკონომიკაზე; განიხილავს კონკრეტულ ფაქტებს, აკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან; მსჯელობს და ასაბუთებს მოსახლეობის საქმიანობის გავლენაზე გლობალიზაციის პროცესსა და მდგრად განვითარებაში.<br>
თურქეთის განვითარების პროცესს ოსმალეთის იმპერიიდან გლობალურ ქვეყნამდე ადარებს სხვა სახელმწიფოს მოდელს და განიხილავს მსოფლიოს (გლობალურ) ჭრილში.<br>
მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით.

</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე:** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს გეოგრაფიული სფეროების ურთიერთკავშირს, ურთიერთქმედებას და მათ გავლენას თურქეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესზე. საკითხს განიხილავს როგორც მთლიან/ერთიან სისტემას. განსაზღვრავს თითოეული ფაქტორის როლს და მსჯელობს, თუ როგორ შეიცვლება გეოგრაფიული სფეროები, თუ რომელიმე მათგანი განიცდის ცვლილებას. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად განსაზღვრავს კულტურული გლობალიზაციის გავლენას ადამიანის სამეურნეო საქმიანობასა და ქვეყნის განვითარების პროცესზე, მსჯელობს გლობალიზაციის ზეგავლენის შესახებ მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე და განსაზღვრავს კონკრეტულ დარგებს. გამოკვეთს შეფასების კრიტერიუმებისა და მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით განსაზღვრულ ნიუანსებს. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს, თუ როგორ აისახება ქვეყნის მოსახლეობის ტრადიციებსა და თვითმყოფადობაზე, ასევე, კეთილდღეობაზე კულტურული გლობალიზაცია. |
| **მულტისტრუქტურული დონე: მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.** | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, იცის თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა, თურქეთის მოსაზღვრე ქვეყნები, თურქეთის ოროგრაფიული და ჰიდროგრაფიული ერთეულები, კლიმატი და ბუნებრივი ზონები, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ შორის ურთიერთმიმართებას. ვერ აკავშირებს ნოოსფეროს გავლენას ქვეყნის ბუნებრივ გარემოსთან. თანამიმდევრულად შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის, ჩამოთვლის და აღწერს თურქეთის მოსახლეობის მეურნეობის სტრუქტურას, შეუძლია კრიტერიუმების შერჩევა, კლასიფიცირება და აღწერა, თუმცა კულტურული გლობალიზაციის პროცესთან ვერ აკავშირებს და ვერ ხსნის, თუ რა გავლენა მოახდინა, ვერ გადმოსცემს მწყობრად და თანამიმდევრულად. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და ესმის საჭიროება, მაგრამ ვერ ხვდება, რა როლს ასრულებს კულტურული გლობალიზაცია მოსახლეობის ტრადიციებისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების პროცესში, ასევე, როგორ აისახება მათ კეთილდღეობაზე; ვერ გადმოსცემს მწყობრად და თანამიმდევრულად. |
| **უნისტრუქტურული დონე:** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას კულტურულ გლობალიზაციაზე. ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, იცის კულტურული გლობალიზაციისა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობის შესახებ, მაგრამ ვერ აკავშირებს მოსახლეობის ცხოვრების დონესა და ქვეყნის მდგრად განვითარებასთან. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების შესახებ, მაგრამ ვერ აკავშირებს კულტურული გლობალიზაციით გამოწვეულ ცვლილებებს მოსახლეობის ტარდიციებსა და თვითმყოფადობასთან, ასევე, კეთილდღეობასთან. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. |
| **პრესტრუქტურული დონე:** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არა აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია გეოგრაფიული გარსის კომპონენტებს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო ურთიერთმიმართება გლობალიზაციასა და მოსახლეობის საქმიანობას შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია გლობალიზაციასა და ქვეყნის განვითარების პროცესს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. |

**მაგალითი 2.**

**თემა:** გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები

**საკითხი:** მშვიდობის პარკი საქართველოში – სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების მოგვარების მდგრადი გზა (უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა)

**კომპლექსური დავალების პირობა:** მშვიდობის პარკების იდეა, რომელიც მოსაზღვრე დაცული ტერიტორიების ერთობლივ მართვას გულისხმობს, სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის გაზრდის მიზნით, ჯერ კიდევ, XIX ს-დან ჩაისახა. თანამედროვე მსოფლიოს რუკაზე უკვე ასზე მეტი მშვიდობის პარკია.

წარმოიდგინე, რომ საერთაშორისო ორგანიზაცია „ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის“ წარმომადგენელი ხარ საქართველოდან. შენი მიზანია, შეისწავლო ქვეყნების გამოცდილება, საქართველოს სასაზღვრო ზონაში შეარჩიო ტერიტორია და მოამზადო მშვიდობის პარკის პროექტი.

**პროექტში ხაზგასმით წარმოაჩინე:**

- როგორ მოქმედებს ბუნებრივი გარემო საქართველოს უსაფრთხოებასა და გეოპოლიტიკურ პროცესებზე **(გეოგრაფიული გარსი, მ. წ. 1, 2);**
- რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო მშვიდობის პარკის დაარსებით საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა ყოველდღიურობაზე და როგორ შეიცვლება მათი ცხოვრების დონე **(მოსახლეობა და მეურნეობა, მ. წ. 1, 2);**
- როგორ აისახება მშვიდობის პარკის დაარსება საქართველოს მდგრად განვითარებაზე ლოკალურ და გლობალურ დონეზე **(მდგრადი განვითარება, მ. წ. 1, 2).**

<table>
<tr><th>სამიზნე ცნება<br><br>კრიტერიუმი</th><th>გეოგრაფიული გარსი</th><th>მოსახლეობა და მეურნეობა</th><th>მდგრადი განვითარება</th></tr>
<tr><td>აბსტრაქტული დონე:<br>მოსწავლე სიღრმისეულად იაზრებს საკითხის არსს/არსობრივ მახასიათებლებს, რაც მას ამ ცოდნის განზოგადებისა და მისი დეკონტექსტუალიზების/სხვა მსგავს მაგალითებთან შედარების საშუალებას აძლევს. უკავშირებს განსახილველ საკითხს პირად გამოცდილებას.</td><td colspan="3">მოსწავლე კომპლექსური დავალების საშუალებით გამოკვეთილი საკითხის - მშვიდობის პარკი საქართველოში – სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების მოგვარების მდგრადი გზა (უსაფრთხოება, მშვიდობის დაცვა) – მაგალითზე დაყრდნობით ურთიერთდაკავშირებულად მსჯელობს საგნის ფარგლებში გამოკვეთილ ყველა სამიზნე ცნებაზე.<br>მოსწავლე სრულყოფილად წარმოადგენს დავალება – პროექტს. სიღრმისეულად იაზრებს ცნებებთან დაკავშირებულ მკვიდრ წარმოდგენებს.<br>მოსწავლეს მოჰყავს მაგალითები და ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებებს. აპელირებს შემდეგი ფრაზებით: „ვიცი, თუ როგორ მოქმედებს ბუნებრივი გარემო საქართველოს უსაფრთხოებასა და გეოპოლიტიკურ პროცესებზე, რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო მშვიდობის პარკის დაარსებით საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა ყოველდღიურობაზე და როგორ შეიცვლება მათი ცხოვრების დონე.<br>პროექტში ჩანს, რომ მოსწავლე ფლობს მასალას გლობალური პოლიტიკური გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ, კერძოდ: ნაშრომში გამოკვეთილია, რომელ ფაქტორებზეა დამოკიდებული გლობალური პოლიტიკური პროცესები და რეგიონში წარმოქმნილი პრობლემები. განიხილავს გლობალური პოლიტიკური ცვლილების შედეგებს საქართველოს მაგალითზე. მსჯელობს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული პროცესების როლზე – როგორ აისახება გლობალური პოლიტიკური პროცესები და რა გავლენას ახდენს გარემოსა და მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაზე. განიხილავს კონკრეტულ ფაქტებს, აკავშირებს ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან; მსჯელობს და ასაბუთებს გლობალური პოლიტიკური პროცესების გავლენას რეგიონისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესში, განიხილავს მსოფლიოს (გლობალურ) ჭრილში.<br>მსჯელობს ეროვნული სასწავლო გეგმის მაკროცნებაზე/მაკროცნებებზე კომპლექსური დავალების პირობაზე დაყრდნობით.</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| **მიმართებითი დონე:** მოსწავლეს ესმის განსახილველი საკითხის არსი; ხედავს ურთიერთმიმართებებს საკითხთან დაკავშირებულ არსებით სტრუქტურულ ერთეულებს შორის. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს გეოგრაფიული სფეროების ურთიერთკავშირსა და მათ გავლენას საქართველოს ბუნებრივ გარემოზე; განიხილავს როგორც მთლიან/ერთიან სისტემას. განსაზღვრავს თითოეული ფაქტორის როლს და მსჯელობს, თუ როგორ შეიცვლება გეოგრაფიული სფეროები, თუ რომელიმე მათგანი განიცდის ცვლილებას. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად განსაზღვრავს საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და ქვეყნის განვითარების პროცესს, მსჯელობს სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა პრობლემებზე და განსაზღვრავს კონკრეტულ ფაქტორებს. შეფასების კრიტერიუმებს ადგენს მკვიდრი წარმოდგენების საშუალებით. | მოსწავლე მწყობრად და თანამიმდევრულად გადმოსცემს, თუ როგორ გადაჭრის სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა პრობლემებს. გამოკვეთს მდგრადი განვითარების სამ მთავარ კომპონენტს შორის ურთიერთკავშირს: სოციალურს, ეკონომიკურსა და გარემოსდაცვითს. |
| **მულტისტრუქტურული დონე: მოსწავლეს აქვს მხოლოდ რამდენიმე, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უსისტემო ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.** | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებსა და ცვლილებებთან; ვერ აკავშირებს ნოოსფეროს გავლენას საქართველოს ბუნებრივი პირობების ცვლილებაზე და ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის, ჩამოთვლის და აღწერს საქართველოს სასაზღვრო ზოლში მცხოვრებთა პრობლემებს. შეუძლია კრიტერიუმების შერჩევა, კლასიფიცირება და აღწერა, თუმცა მათ გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებსა და ცვლილებებთან ვერ აკავშირებს. ვერ გადმოსცემს მწყობრად და თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების მნიშვნელობა და ესმის საჭიროება, მაგრამ ვერ ხვდება, რა როლს ითამაშებს გლობალური პოლიტიკური გამოწვევები და ცვლილებები გარემოს დაცვის ღონისძიებაში. ვერ გადმოსცემს მწყობრად, თანამიმდევრულად. |
| **უნისტრუქტურული დონე:** მოსწავლეს აქვს მხოლოდ ერთი არასტრუქტურირებული ასოციაცია/წარმოდგენა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. | მოსწავლე ასახელებს და აღწერს გეოგრაფიულ სფეროებს, თუმცა ვერ ამყარებს კავშირს და ვერ ხსნის მათ გავლენას საქართველოს ბუნებრივ გარემოზე. ვერ აკავშირებს ნოოსფეროს გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებსა და ცვლილებებთან და ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ გაიგო დავალების არსი, იცის გლობალური პოლიტიკური გამოწვევებისა და ცვლილებების შესახებ, პრობლემებს ჩამოთვლის, მაგრამ ვერ აკავშირებს მოსახლეობის საქმიანობასა და ბუნებრივ პირობებს, ვერ გადმოსცემს თანამიმდევრულად. შეუძლია ცალკეული კრიტერიუმების ჩამოთვლა. | მოსწავლემ იცის მდგრადი განვითარების შესახებ, მაგრამ ვერ აკავშირებს გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებსა და ცვლილებებს მოსახლეობის კეთილდღეობასთან. არ იცის, როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყნის განვითარების პროცესს. |
| **პრესტრუქტურული დონე:** მოსწავლეს საკითხთან დაკავშირებით არა აქვს რელევანტური ინფორმაცია. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა კავშირია გეოგრაფიული გარსის კომპონენტებს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო, რა ურთიერთმიმართებაა გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებს, ცვლილებებსა და ქვეყნის განვითარების პროცესს შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. | მოსწავლემ ვერ გაიგო, თუ რა კავშირია გლობალურ პოლიტიკურ გამოწვევებს, ცვლილებებსა და მდგრად განვითარებას შორის. მოსწავლემ არ შეასრულა დავალება. |

## განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა

განმავითარებელი შეფასება თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას აკონტროლებს და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას უწყობს ხელს. განმავითარებელი შეფასება განაპირობებს მოსწავლეთა მოტივირებას, აწვდის მათ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება სწავლის შედეგის გაუმჯობესება, ეხმარება მათ ადეკვატური თვითშეფასების, სხვათა შეფასების უნარის ფორმირებასა და წარმატების მიღწევაში.

განმავითარებელ და შემაჯამებელ შეფასებებს შორის ძირეული განსხვავება შეფასების პროცედურის ჩატარების დროა. მაგალითად, შემაჯამებელი ტესტირება ტარდება სასწავლო კურსის ბოლოს, ხოლო განმავითარებელი – კურსის დასაწყისში და მისი მიმდინარეობისას. განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ისეა შექმნილი, რომ უფრო მჭიდროდ უკავშირდება სწავლის პროცესსა და სასწავლო მასალას, ამიტომ მათ უფრო ხშირად და დინამიკურად იყენებენ. განმავითარებელი შეფასების პროცედურა ისეთ დროს უნდა განხორციელდეს, როდესაც მასწავლებელს, მის საფუძველზე, სწავლების პროცესში შესაბამისი ცვლილების შეტანა შეეძლება; მოსწავლეს კი უნდა შეეძლოს, სწავლის პროცესში შესაბამისი ცვლილება შეიტანოს ან შეფასებიდან მიღებულმა უკუკავშირმა მას მოტივაცია გაუძლიეროს.

განმავითარებელი შეფასების მიზანია, დაეხმაროს მოსწავლეს უნარების დახვეწაში, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შემუშავების მეთოდით. ამ ტიპის შენიშვნების დროს მოსწავლე, მასწავლებლის კომენტარების დახმარებით, მუდმივად იღებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მას ეხმარება ისწავლოს უკეთ, გააცნობიეროს საკუთარი სწავლის მიმდინარეობა. მასწავლებელი განმავითარებელი შეფასების საშუალებით გეგმავს სასწავლო პროცესსა და სწავლების ტემპს ისე, რომ მისი ქმედებები მიმართულია მოსწავლის განვითარებისკენ.

განმავითარებელი შეფასებისას გამოიყენება ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: სიტყვიერი კომენტარი, ზეპირი/წერილობითი რჩევა-დარიგება, დაკვირვების ფურცელი, თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების სქემა, კითხვარი, უნარის განვითარების დონის აღწერა და სხვა. ამდენად, განმავითარებელი შეფასება კონკრეტული მოსწავლის წინსვლის საფუძველზე ხორციელდება მოსწავლის მიღწევების გათვალისწინებით – თუ რა დონეს ფლობდა და შეფასების მომენტში რა დონეს შეესაბამება.

განმავითარებელი შეფასების ფორმაა ზეპირი ან წერილობითი კომენტარები, რომლებიც როგორც სემესტრის განმავლობაში, ისე მის ბოლოს კეთდება. კომენტარები აღწერს მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და შეიცავს რეკომენდაციებს სწავლის გაუმჯობესების შესახებ. მკვლევართა აზრით, კომენტარები სწავლების ძალიან ეფექტიანი მეთოდია. მკვლევარმა ჯონ ჰეთიმ (1992) 8000-მდე კვლევა განიხილა და დაასკვნა: ყველაზე ძლიერი მეთოდი, რომელიც მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას აუმჯობესებს, კომენტარებია. შესაბამისად, განათლების ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე მარტივი რეცეპტი იქნებოდა – „რაც შეიძლება ხშირად დაწერეთ კომენტარები“.

კვლევების შედეგად რეკომენდებულია კომენტარების გაკეთების შემდეგი მეთოდები:

1. მასწავლებლის კომენტარები ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. კომენტარი სასარგებლოა მაშინ, თუ ის ზედმიწევნით უხსნის მოსწავლეს, რა გამოუვიდა კარგად და რა – არა. მხოლოდ იმის მინიშნება მოსწავლისთვის, რომ მისი პასუხი არასწორია, უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. იმის მითითება კი, რომ იქამდე იმუშაოს დავალებაზე, სანამ განსაზღვრულ შედეგს არ მიაღწევს, მისი აკადემიური ზრდის ერთ-ერთი ფაქტორია.
2. მასწავლებლის კომენტარები დროული უნდა იყოს. მაგალითად, დავალების, ტესტის დასრულებისთანავე კომენტარი ყველაზე ეფექტიანად ითვლება, ვიდრე ტესტის რომელიმე ნაწილის დასრულების შემდეგ. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ გვიანი კომენტარები ნაკლებ გავლენას ახდენს მოსწავლესა და მის აკადემიურ მოსწრებაზე.

3. მასწავლებლის კომენტარები კონკრეტულ კრიტერიუმებს უნდა უკავშირდებოდეს. უნდა განისაზღვროს კრიტერიუმი, რომელიც კონკრეტული დონის ცოდნისა და უნარების განვითარებისკენაა მიმართული. კომენტარები უნდა უკავშირდებოდეს სწორედ ამ განსაზღვრულ კრიტერიუმებს. ასეთი კომენტარი გაცილებით საყურადღებოა, რადგან იგი ემსახურება მოსწავლის სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარის განვითარებას.
4. ეფექტიანი კომენტარების გაკეთება მოსწავლეებსაც შეუძლიათ. კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლეებსაც შეუძლიათ საკუთარი პროგრესის ეფექტიანი მონიტორინგი (თრამელი, შლოსი და ალფერი, 1994). ისინი სწავლის პროცესში ინიშნავენ საკუთარ წარმატებებს, მიმართავენ თვითშეფასებას. ეს ეხმარება მათ, დაეუფლონ კონკრეტულ უნარებს, ასევე მიაღწიონ მაღალ აკადემიურ შედეგებს.

მასწავლებლის მიერ გაკეთებული დროული, შედეგების გაუმჯობესებასა და კონკრეტული უნარების დაუფლებისკენ მიმართული კომენტარები სასწავლო პროცესს გახდის უფრო საინტერესოსა და შედეგზე ორიენტირებულს. კომენტარების არასათანადო სიხშირით გამოყენება კი სწავლების ეფექტიანობასა და მოქნილობაზე უარყოფითად აისახება.

# 9. დამატებითი ლიტერატურა და სასარგებლო ინტერნეტრესურსები

გამოყენებული ლიტერატურა:


1. მ. ბლიაძე, „მდგრადი განვითარების მიზნები“ –https://goo.su/DpjUWaX
2. მ. ბლიაძე და სხვა, მეცნიერება და ტექნოლოგიები – „ჩვენი სამყარო“ – https://vet.ge/api/files/educational_resources/621f86dcd16c28001cf9eb3d
3. მ. ბლიაძე და სხვ. მეცნიერება და ტექნოლოგიები – „მრეწველობა და ყოფა-ცხოვრება“ – https://vet.ge/api/files/educational_resources/621f88bfd16c28001cf9ecc1
4. მ. ბლიაძე და სხვ. მეცნიერება და ტექნოლოგიები – „ტექნოლოგიები და მედიცინა“ – https://vet.ge/api/files/educational_resources/621f8917d16c28001cf9ed9b
5. მ. ბლიაძე და სხვა, მეცნიერება და ტექნოლოგიები – „საცხოვრებელი გარემო და ეკოლოგია“ – https://goo.su/6b3n2
6. გაეროს მოდელირება – მონაწილის წიგნიდან – „საქართველოს გაეროს ასოციაცია“, თბ., 2006.
7. ვებსტერი ქ., „გადახედე, თქვი უარი, შეამცირე“, British Counuil თბ., 2007.
8. ხუნძუკიშვილი მ., ბივერი ს. – განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება, სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ. 2018.
9. სილვერი ჯეიმს ფ., გეოგრაფია, მეთოდური მასალები მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თბ. 2016.
10. მ. ბლიაძე, კვლევაზე დაფუძნებული სწავლება – http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2022/10/Mastsavleblis-Tsigni-2021-2-WEB.pdf
11. მ ბლიაძე, ნ. ზაალიშვილი, ზ. ბერია. ნ. არაბული, მეცნიერება და ტექნოლოგიები;
    თემა N1 - ჩვენი სამყარო: https://vet.ge/api/files/educational_resources/621f86dcd16c28001cf9eb3d
    თემა N2 – მრეწველობა და ყოფა-ცხოვრება: https://vet.ge/api/files/educational_resources/621f88bfd16c28001cf9ecc1
    თემა N3 – ტექნოლოგიები და მედიცინა: https://vet.ge/api/files/educational_resources/621f8917d16c28001cf9ed9b
    თემა N4 – საცხოვრებელი გარემო და ეკოლოგია: https://vet.ge/api/files/educational_resources/621f89a4d16c28001cf9eec0
12. მ. ბლიაძე, მდგრადი განვითარების მიზნები – https://goo.su/DpjUWaX
13. მ. ბლიაძე, მ. ზიბზიბაძე - კლიმატის ცვლილება, ბიომრავალფეროვნება, ნარჩენები და გარემოს დაბინძურება, წყალი და წყლის რესურსები, ენერგია და ენერგეტიკული რესურსები – https://www.ecolog.online/masala?fbclid=IwAR2YNn1k61C-Y8GJ5yWMIXw-fZjYET4_fEj6YuTi3XwxEVOPPkUHg-wHZmg
14. მ. სეხნიაშვილი, „რამდენი ქვეყანაა დღეს მსოფლიოში“ – http://mastsavlebeli.ge/?p=27667
15. მ. სეხნიაშვილი, განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში – http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2022/10/Maszavleblis-wigni-16-WEB.pdf
16. მ. სეხნიაშვილი, სინგაპური – „ლომის ქალაქი“ – http://mastsavlebeli.ge/?p=23206
17. მ. სეხნიაშვილი, გლობალური გარიგება და ერთი დედამიწა – http://mastsavlebeli.ge/?p=31979
18. მ. სეხნიაშვილი, დემილიტარიზებული ზონები და წყლის რესურსები – http://mastsavlebeli.ge/?p=1298
19. ლ. ალფაიძე, შანხაი – დასავლეთის სარკმელი ჩინეთში – ჩანაწერები საზოგადოებრივი გეოგრაფიის გაკვეთილებისთვის – http://mastsavlebeli.ge/?p=31620
20. მ. რატიანი, წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები – http://mastsavlebeli.ge/?p=1197

## საინტერესო ვებგვერდები რუკების შესახებ:

https://mapmakerclassic.nationalgeographic.org/

https://www.google.com/earth/versions/

http://unintentionalmaps.blogspot.com/

http://www.maps-for-free.com/

http://www.loc.gov/rr/geogmap/guide/gmilltoc.html

http://www.journalofmaps.com/

http://old.enciclopedia.com.pt/articles.php?article_id=1498

## გეოგრაფიული თამაშები:

http://www.hhmi.org/biointeractive/earthviewer-online-and-downloadable-version

http://kids.nationalgeographic.com/world/

https://itunes.apple.com/us/app/what-is-there-learn-geography/id660164295?mt=8

http://world-geography-games.com/

https://www.commonsensemedia.org/app-reviews/ansel-and-clairs-adventures-in-africa

https://www.commonsensemedia.org/app-reviews/stack-the-countries

https://geoguessr.com/

## საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური ორგანიზაციები

ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (ინგლ. International Union for Conservation of Nature; IUCN) – https://www.iucn.org/

ჩარლზ დარვინის ფონდი (ინგ.Charles Darwin Foundation) – https://www.darwinfoundation.org/en/

გლობალური ბუდე (ინგ. Global Nest) – https://www.gnest.org/

ცხოველთა დაცვის მსოფლიო საზოგადოება (ინგ. World Society for the Protection of Animals – WSPA) – https://www.worldanimalprotection.org/

ეკოლოგიური მარკირების საერთაშორისო ქსელი (ინგ. Global Ekolabelling Network – GEN) – https://globalecolabelling.net/

გლობალური ეკოლოგიური ფონდი (ინგ. Global Environment Facility, GEF) – https://www.thegef.org/

საერთაშორისო მწვანე ჯვარი – https://www.gcint.org/

მსოფლიო დაკვირვების ინსტიტუტი – http://www.worldwatch.org/

გარემოს ევროპული სააგენტო (ინგ. European Environment Agency – EEA) – https://www.eea.europa.eu/

კლუბი „სიერა“ (ინგ. Sierra Club) – www.sierraclub.org

## კალკულატორები

ეკოლოგიური ნაკვალევის კალკულატორი – https://footprintcalculator.henkel.com/en

მსოფლიოს მოსახლეობის კალკულატორი – https://countrymeters.info/en

## სასარგებლო ბმულები

გაეროს განვითარების პროგრამა – http://www.undp.org/

გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში – http://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home.html

განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია, იუნესკო – https://en.unesco.org/

გაეროს ქალთა ორგანიზაცია – https://georgia.unwomen.org/ka

გაეროს ბავშვთა ფონდი, UNICEF – https://www.unicef.org/

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, UNEP – https://www.unenvironment.org/

გაეროს მოსახლეობის ფონდი – www.unfpa.org

მსოფლიო ბანკი – http://www.worldbank.org/
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია – www.who.int
საერთაშორისო სავალუტო ფონდი – https://www.imf.org/
სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია – https://www.ifad.org/
მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაცია – https://public.wmo.int/
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – https://www.wto.org/
მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია – https://www.unwto.org/
www.wikipedia.org
www.unece.org
www.environmenthouse.ch
www.atlapedia.com
www.nationalgeographic.com
http://mastsavlebeli.ge/?cat=18